PRIME Time

N34 (284) ორშაბათი, 1 სექტემბერი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

რა კვალზე გადის პროკურატურა და დგას თუ არა ბაქრაძის საქმის უკან ნაციონალური „ყულაბა“

EXCLUSIVE

რას ეძებს პროკურატურა გამჭლავნებული სკანდალის მიღმა?

NDI NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

რა მიზნით ჩაატარა NDI-მ აგვისტოს კვლევები

EXCLUSIVE

დგას თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ NDI-ს კვლევის უკან

სკანდალური ექსკლუზივი

„სასარგებლო იდიოტი“

როგორ გააცურეს აფხაზებმა პაატა ზაქარეიშვილი

EXCLUSIVE

„პრეზიდენტების“ კლანური ინტერესები და შემოსავლის წყაროები

გია გვაზავა: „აფხაზეთში სხვადასხვა კლანების გავლენა ყოველთვის იყო. რუსეთიდან შემოსული ფულის გაყოფაზე, წილების თაობაზე დაპირისპირება ყოველთვის იყო“

EXCLUSIVE

რა გახდა გეგუთის კოლონიაში 62 წლის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი?!

თამარ რიჭამაძე: „მამაჩემს ცხოვრებაში არაფერი აწუხებდა და ორ დღეში ადამიანი გარდაიცვალა, მიზეზი მაინტერესებს“

EXCLUSIVE

დასკვნა, რომელიც სკანდალური მკვლელობის საქმეს თავდაყირა აყენებს

მაია ნიკოლეიშვილი ჯანდაცვის სამინისტროს ღიად უპირისპირდება

EXCLUSIVE

მაია ნიკოლეიშვილი: „მოდით, გეტყვით სიმართლეს: ფილტვების ანთებით ავადმყოფის დაღუპვა, თან მეთერთმეტე დღეს, ეს არის კატასტროფა კლინიკისთვის. და თუ ვინმეს შანსი აქვს, ყველა ცდილობს ამის დამალვას... ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალისტს ეს ყველაფერი რომ დაელაგებინა, აღარ იქნებოდა ამდენი დავა“

აგებს თუ არა სოზარ სუბარი პასუხს კორტავას საქმეზე?

„სქაი ბარის“ დიჯეის მკვლელობის უცნობი დეტალები

EXCLUSIVE

დავით კვირტია: „დაჩის სისხლი სდიოდა. ჭრილობა ძალიან ღრმა იყო. შველას ითხოვდა. „მიშველეთ, მიშველეთ“, – ამბობდა დაჩი. დაჭრილი მიწისქვეშა გადასასვლელთან ახლოს დავაწვინეთ. სასწრაფო გამოვიძახეთ. საავადმყოფოშიც მე გავყევი, მიყვანიდან 10 წუთში გარდაიცვალა“

„ჯიპიაის“ მხრიდან 2 000 ლარის დაზოგვის გამო, მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

სტატია, რომლის გამოც „ჯიპიაი ჰოლდინგი“ „ფრაიმტაიმს“ ეთიკის ქარტიის საბჭოში უჩივის

თვითმკვლელი მამის ტრაგედია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაქრაძე ფულის გათეთ

მარიამ ნადირაძე

უკვე დაკითხულია უმცირესობის ლიდერიც, მისი მეუღლეც და სიმამრიც. ახლა ჯერი პროკურატურაზეა, სადაც ყოფილ ხელისუფლებას მფარველების იმედი თითქმის ნახევარ წელზე მეტია, ვეღარ აქვს...

გაცდება თუ არა დავით ბაქრაძე მორიგი იმუნიტეტიანი ბრალდებული?

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, დავით ბაქრაძის გარშემო ატეხილი სკანდალის მიღმა პროკურატურა სულ სხვა საქმეებზე აპირებს გასვლას. ამ საქმეების თემების ჩამონათვალი კი საკმაოდ ვრცელია და კვლავაც ნაციონალების ე.წ. ყულაბის გარშემო ტრიალებს.

თუმცა, სანამ ამ კონკრეტულ თემებს განვიხილავდეთ, მანამდე მცირე ქრონოლოგია იმ არაინფორმირებული ნაწილისთვის, რომელსაც რიგი მიზეზების გამო, გამორჩა ინფორმაციები პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ:

ამბავი კი დაახლოებით 10 დღის წინ დაიწყო, როდესაც საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა დოკუმენტი, რაც ბაქრაძის მხრიდან სავარაუდო კანონდარღვევას ადასტურებდა. მას მოუვიდა წერილი ბრიტანული ბანკიდან „HCBS“, რაც მის მოთხოვნას, 276 849,89 გირვანქა სტერლინგის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანის შესახებ ოპერაციას შეეხებოდა. როგორც აღმოჩნდა, მას ეს თანხა დეკლარაციაში არ ჰქონია დაფიქსირებული. ბაქრაძის მისამართით გაგზავნილ HSBC-ს დოკუმენტზე აღნიშნულია 3-წლიანი ფიქსირებული ანგარიშის ნომერი 40228434012380. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინსტრუქციის საფუძველზე ზემოაღნიშნული ანგარიშის დახურვის გადაწყვეტილებაა მიღებული.

ცხადია, ამას შესაბამისი შეფასებებიც მოჰყვა. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ თავის პოზიციას ასე აყალიბებს: პარლამენტის წევრი ვალდებულია, თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად შეავსოს და წარადგინოს მისი და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია, მათ შორის ინფორმაცია საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებულ ანგარიშებსა ან/და შენატანებზე. დავით ბაქრაძის მიერ 2014 წლის 3 ივნისს წარდგენილ დეკლარაციაში ინფორმაცია ზემოხსენებული საბანკო ანგარიშის შესახებ არ არის მითითებული. თუ გავრცელებული ცნობა სიმართლეს შეესაბამება და უცხოურ ბანკში გახსნილი ანგარიში 2013 წელსაც არსებობდა, სახეზეა კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი ინფორმაციის შეტანა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაში.

როგორც კი ინფორმაცია მედიაში გამოჩნდა, პროკურატურამ მასზე მყისიერად მოახდინა რეაგირება და გამოძიებაც მაშინვე დაიწყო, სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლითა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, დეკლარაციაში განზრახ არასწორი მონაცემის შეტანისა და უკანონო ან/და დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.

ერთი სიტყვით, ბაქრაძისთვის ამ ეტაპზე სტატუსი არ მიუნიჭებიათ, თუმცა ის, ფაქტობრივად, ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი.

თუ ვივარაუდებთ, რომ ეს მუხლი უკანასკნელ ხანს ყველაზე ინტენსიურად გამოყენებადი მუხლი გახდა ყოფილი ხელისუფლების პირთა მიმართ ბრალის წარსადგენად, უფრო საფუძვლიანი ხდება ჩვენი ინფორმირებული წყაროს ცნობა იმის თაობაზე, რომ ეს თემა კეზერაშვილის მიერ პარტიისთვის დასახმარებლად გადმოგზავნილი თანხის კონტექსტში განიხილება. მით უმეტეს, რომ მსგავსი ისტორიები უკვე სახეზე ჰქონდა ჩვენს მკითხველს უგულავასა და მისი ქვისლის ბრალის ნაწილში და ცოტა ხნის წინ ბაქოს აეროპორტში განვითარებული მოვლენების დროს, როდესაც უმცირესობის ორი დეპუტატი სწორედ ასეთი წარმომავლობის ფულის გადატანაში წარუმატებლად, მაგრამ მაინც ამხილეს.

დავით ბაქრაძესთან დაკავშირებითაც სწორედ ასეთი ეჭვები არსებობს და არ გამორიცხავენ, რომ სწორედ მისი ანგარიშის გაშიფვრის შიშით გადაწყვიტა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ თანხის სხვა ანგარიშზე გადატანა.

ასეა თუ ისე, როგორც აღმოჩნდა, ბაქრაძეს „რკინის“ არგუმენტები ჰქონია და ამას ის საკუთარ წერილში ასე აყალიბებს: „მსურს, გამოვეხმაურო ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას ჩემი საბანკო ანგარიშების შესახებ:

„უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ არც ერთ ჩემს შემოსავალსა თუ ანგარიშს არანაირი კავშირი არ აქვს კანონის დარღვევით ან თანამდებობის გამოყენებით მიღებულ რაიმე სარგებელთან.

რაც შეეხება HSBC ბანკთან ჩემს ურთიერთობას: 2002 წლის 12 ნოემბერს საქართველოში შვეიცარიის საელჩომ შეიძინა კრწანისის ქუჩაზე მდებარე კერძო სახლი საელჩოს ახალი შენობისთვის. სახლის მესაკუთრე გახლდათ ჩემი სიმამრი, ლერი მეტრეველი. შეძენა გაფორმდა ყველა კანონიერი პროცედურის დაცვით (ნოტარიულად დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის აქტი თან ერთვის), გადახდილი იქნა ყველა შესაბამისი გადასახადი.

სახლის გაყიდვის შემდეგ ლერი მეტრეველმა გამოთქვა სურვილი, სახლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი სამომავლოდ დაეტოვებინა და შვილიშვილებისთვის გაენაწილებინა, რათა მათ შეძლებოდათ ამ თანხით სარგებლობა სრულწლოვანებას მიღწევის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნული თანხა თავდაპირველად ინახებოდა მასთან, როგორც კანონიერ მესაკუთრესთან. 2009 წელს ლერი მეტრეველმა სთხოვა ჩემს მეუღლეს (მის შვილს), მაკა მეტრეველს, გაეხსნა რომელიმე საიმედო ბანკში გრძელვადიანი საპროცენტო ანგარიში, სადაც თანხა უსაფრთხოდ განთავსდებოდა ბავშვების სრულწლოვანებას მიღწევამდე. ასეთ ბანკად შერჩეულ იქნა HSBC, რომელსაც იმ პერიოდში თბილისში ჰქონდა ოფისი და შესაბამისად, შესაძლებელი იყო ანგარიშის ადგილზე გახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც მაღალი რეპუტაციის ბანკი, HSBC ამოწმებს ყველა საბანკო შენატანის კანონიერებას. შესაბამისად, შემოწმდა აღნიშნული თანხაც და დადასტურდა, რომ ის წარმოადგენდა მართლაც სახლის გაყიდვით მიღებულ კანონიერ შემოსავალს.

მინდა ხაზი გავუსვა შემდეგ ფაქტებს:

1. თანხა წარმოადგენს კერძო პირის მიერ ქონების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს. შესაბამისად, მას არანაირი კავშირი არ აქვს სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებთან;

2. თანხის გადამხდელი წა-

რას ეძებს პროკურატურა

გამჭლავნებული სკანდალის მიღმა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეგაშია ეჭვმიტანილი?!

რა კვალზე გადის პროკურატურა და დგას თუ არა ბაქრაძის საქმის უკან ნაციონალური „ყულაბა“

EXCLUSIVE

რმოადგენს შვეიცარიის საელჩოს საქართველოში – შესაბამისად, გამორიცხულია ნებისმიერი ეჭვი გადახდილი თანხის კანონიერების ან მისი წარმომავლობის შესახებ;

3. სახლი გაყიდულია და თანხა მიღებულია 2002 წელს – შესაბამისად, გამორიცხულია კავშირი ჩემს მოქმედ თუ წინა პოლიტიკურ თანამდებობებთან, ვინაიდან 2002 წელს საერთოდ არანაირი შეხება არ მქონდა პოლიტიკასთან“.

რამდენად იყო ეს არგუმენტები „რკინის“, ამაზე პასუხი დანარჩენმა კითხვებმა გასცა, რომელიც ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ უფრო ჭარბად გაჩნდა.

ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ სახლის დასახელებული ღირებულების ადეკვატურობას, ვინაიდან უძრავ ქონებაზე ფასების კატასტროფული ზრდა სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში დაიწყო და 2002 წელს ხსენებული სახლის ფასი 400 ათასი დოლარი ვერ იქნებოდა, როგორც ამას ლერი მეტრეველი აცხადებს...

...და რაც მთავარია, ბაქრაძე ამ არგუმენტებით ვერ ხსნიდა, რატომ არ შეიტანა ეს თანხა დეკლარაციაში.

ამდენად, ამ თემაზე დამატებითი არგუმენტები ორიოდე დღის წინ გამოჩნდა:

„აქაც ვფიქრობ, რომ მე ზედმიწევნით ვიცავდი კანონს, რომლის მიხედვითაც დეკლარაციაში უნდა შეიტანო თანხა, რომლის განკარგვის უფლებაც გაქვს. მე ამ თანხის განკარგვის უფლება არ მაქვს, ეს თანხა არის ჩემი მეუღლის მშობლების საკუთრება, რომლებიც, თავის დროზე, სრულწლოვანების შემდეგ გადაეცემათ მათ შვილიშვილებს, მათ შორის ჩემს შვილებსაც“, – განაცხადა ბაქრაძემ.

საინტერესოა, თუ განკარგვის უფლება არ გაქვს, როგორ ხურავ ანგარიშს? და თუ ანგარიშის დახურვის უფლება გაქვს, ნიშნავს თუ არა ეს, რომ შენ განკარგავ ამ თანხას?

ეს იყო ის ძირითადი კითხვები, რითაც „პრაიმტაიმმა“ ექსპერტ კახა კახიშვილს მიმართა:

– განკარგვა არაფერ შუაშია. დეკლარაციაში მითითებულია გრაფები – ახლო ნათესავების მიერ მიღებული შემოსავალი, სადაც ის ვალდებული იყო, აესახა, რომ სიმამრის სახლის გაყიდვიდან მიიღო მან ეს თანხა. როდესაც პირად ანგარიშზე აქვს კაცს თანხა, მისი განკარგვის უფლება აქვს თუ არა, ამაზე მსჯელობა სასაცილოა. როცა პირად ანგარიშზე გაქვს თანხა, სხვამ ვინ უნდა განკარგოს ის?

– იქნებ ეს საბავშვო ანაბარი იყო...

– თუკი ის ხურავს ანგარიშს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მას განკარგავს. ამიტომაც იყო, რომ ბანკმა წერილი მას გამოუგზავნა და არა მის სიმამრს, ვინაიდან თანხის მფლობელი ის იყო და არა ვინმე სხვა პირი. მფლობელი და განმკარგველი სხვა რომ ყოფილიყო, სხვას გაუგზავნიდნენ ამ წერილს.

– რამდენად ადეკვატურია ასეთ საქმეზე სისხლის სამართლის და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყება?

– პროკურატურამ აუცილებლად უნდა შეისწავლოს ამ თანხის წარმომავლობა, ვინაიდან არსებობს სხვადასხვა ვერსიები. ეს ვერსიები უნდა გადამოწმდეს. თუ გამოძიება დაადგენს, რომ ბაქრაძის მოქმედებაში შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მოახდენს ამ მოქმედების კვალიფიცირებას, ხოლო თუ დაადგენს, რომ ასეთი ნიშნები არ არის, ჩვეულებრივ შეწყდება ამ საქმის გამოძიება. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ნამდვილად სიმამრისგან მიღებული თანხა იყო თუ არა ეს? რატომ და რა ვითარებაში გადასცა მან დავით ბაქრაძეს ეს პირად საკუთრებაში? რატომ არ იყო მის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ასახული დეკლარაციაში? სხვათა შორის, დეკლარაციების თემა ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის შექმნილი სპეციალური სამსახური, რომელიც სისტემატურად შეისწავლის უმაღლესი თანამდებობის პირების დეკლარაციაში ასახულ ქონებას და მათ წარმომავლობას. არსებული კანონმდებლობით ხდება მხოლოდ დავალდებულება, რომ წელიწადში ერთხელ შეივსოს დეკლარაცია. მაგრამ არის თუ არა იქ რეალური ინფორმაცია შეტანილი და სრულად არის თუ არა ის შევსებული, ამას არავინ ამოწმებს. ამაზე მუშაობს მხოლოდ პროკურატურა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ წარმოიშვება რაიმე ეჭვი. სხვათა შორის, არაერთხელ მივმართე ბიძინა ივანიშვილს, შექმნილიყო ანტიკორუფციული საბჭო, რომლის მუშაობის მიზანიც სწორედ მსგავსი ფაქტების შესწავლა იქნებოდა. ის რომ შექმნილიყო, დამიჯერეთ, ბევრ თანამდებობის პირს შეექმნებოდა პრობლემა. მეტიც, აუცილებლად უნდა მივიღოთ რეგულირება, რომლის მიხედვითაც თანამდებობის პირებს ექნებათ დეკლარაციის შევსების ვალდებულება არა მხოლოდ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, არამედ თანამდებობიდან წასვლის 5 წლის განმავლობაშიც, რათა არ აღმოჩნდეს, რომ თანამდებობაზე ყოფნის დროს პირი „ზეტებით“ ავსებს დეკლარაციას და მერე უცებ წარმატებული, მილიონიანი ბიზნესის მფლობელი ხდება და არავინ ეკითხება მას, საიდან ეს მილიონი? ასეთი შემთხვევა კი მრავლად ვიცით.

ლერი მეტრეველი

დაახლოებით იგივე პოზიციას იზიარებს კახა კოჟორიძეც, რომელიც აცხადებს: „საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც თანამდებობის პირების მიერ დეკლარაციის შევსების ვალდებულებას განსაზღვრავს, არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას იმის შესახებ, რომ, თუ თანამდებობის პირს ანგარიშზე თანხა აქვს, მაგრამ მას მისი განკარგვის უფლება არ აქვს, არ მიუთითოს ამის შესახებ დეკლარაციაში. ასეთი ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს. შესაბამისად, ეს გარემოება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ისეა, როგორც ამას ბატონი დავითი ამბობს, ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ თანამდებობის პირმა დეკლარაციაში არ მიუთითოს ის თანხა, რაც მის ანგარიშზეა განთავსებული... საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ვალდებულებას, რომ თანამდებობის პირმა შეავსოს ქონებრივი დეკლარაცია და მოცემულ შემთხვევაში პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა ეს ვალდებულება“.

აქვე, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ თემიდან პროკურატურას დავით ბაქრაძის სიმამრის ბიზნესისა და მის მიერ მოგებული ტენდერების საკითხზე სურს გადასვლა. მოგეხსენებათ, რომ ლერი მეტრეველი სააკაშვილის ხელისუფლების დროს ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი გახლდათ.

ლერი მეტრეველს 50-პროცენტიანი წილი აქვს სამშენებლო კომპანია „ბელდ ინვესტში“, რომლის შემოსავალი 30 მილიონი ლარია. გამარჯვებულია ორ სახელმწიფო ტენდერში (ტენდერის #SPA110020878 და SPA110012446), რომელთა ჯამური ღირებულება 1 118 181 ლარია. იმავდროულად ლერი მეტრეველი 14-პროცენტიან წილს ფლობს შპს „ჯიშსაშენში“, რომელსაც 2008 წლის 19 ნოემბრის პრივატიზებით საკუთრებაში აქვს დარეგისტრირებული 950 ჰექტარი მიწის ფართობი დმანისის რაიონში. გავრცელებული ინფორმაციით კი, დავით ბაქრაძის ცოლის, მაკა მეტრეველის სახელით დაფუძნებულ კომპანიებს: „ფეშენ გრუპს“, „ზვარეს“, „მოდის ასოციაციას“, მოგება ასიათასობით ლარი ჰქონდა.

„ბელდინვესტამდე“ ლერი მეტრეველი კიდევ ერთ სამშენებლო კომპანია „ელრიოს“ მფლობელი იყო. საჯარო რეესტრის მიხედვით, კომპანია „ელრიოს“ 50 პროცენტს ლერი მეტრეველი ფლობდა, 45 პროცენტს – რამაზ შალამბერიძე და 5 პროცენტს – დავით ჯაფარიძე. წლების განმავლობაში „ელრიო “, რომელიც გარდაბნის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის მე-15 კილომეტრზე იყო დარეგისტრირებული, სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა. მათ შორის, ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, დანადგარების შეკეთებას, ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ მომსახურებებსა და სხვადასხვა სამუშაოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კორტავა არასწორი მკ

„...საოცრება ის არის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი, რომელიც შემდეგ ჩართულია კომისიურ ექსპერტიზაში, წერს, რომ დიაგნოზი სწორად არის დასმული და მკურნალობაც ადეკვატური მიდიოდაო... ფაქტია, რომ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მიდის გამართლება. ეს მახინჯი პრაქტიკაა და უკვე მერამდენე შემთხვევაა, რომ ასეთი სპეციალისტებისგან საქმე, პრაქტიკულად ფუჭდება...“

დადგება თუ არა ექიმების პასუხისმგებლობის საკითხი

მარიამ ნადირაძე

26 წლის პატიმრის, ლევან კორტავას გარდაცვალების ფაქტი ნაციონალური ხელისუფლებისგან ნასროლი პირველი ქვა იყო ახალი ხელისუფლების ბოსტანში. მყარადაც სნამდათ, რომ პატიმრების წამების გამო უარყოფილი ხელისუფლება, ისევ იგივე მიზეზით ახალს შეუყენებდა წყალს. სამიზნეც განისაზღვრა – მინისტრი სუბარი. მიზეზი ჰქონდათ კიდეც, როდესაც სუბარის უწყებამ მომხდარის ფალსიფიკაცია სცადა და კორტავას დაზიანებებისა და გარდაცვალების მიზეზად მეორე სართულის კიბიდან დაგორება დაასახელა. თუმცა ის, რაც პრაიმტაიმმა“ გაარკვია, არაფერია ხსენებულ ფაბრიკაციასთან შედარებით.

თუ აქამდე საზოგადოებას საქმის გარშემო მხოლოდ ერთი მხარის, კორტავას ოჯახის პოზიციისგან ჰქონდა ინფორმაცია, დღეს „პრაიმტაიმი“ პირველად შემოგთავაზებთ იმ ვერსიებს, რასაც ბრალდებულების ადვოკატები გვიამბობენ.

მეტიც, სწორედ ამ პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ, ერთად შევიტყობთ და გავაანალიზებთ 26 წლის პატიმრის გარდაცვალების რეალურ მიზეზს.

ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები

პროკურატურამ საქმე გახსნილად გასული წლის 2 აგვისტოს გამოაცხადა და ისტორია ასეთი სახით შემოგვთავაზა:

2013 წლის 12 მაისს ლევან კორტავა სად-ის რუსთავის #6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს გეგუთის #14 დაწესებულებაში. დაახლოებით 20:00 საათზე, დაწესებულების მეექვსე კორპუსში განთავსებისას, ლევან კორტავასა და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ილია შანშაშვილს შორის, ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება. ილია შანშაშვილმა ლევან კორტავასთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძეს, მეტსახელად „ბულდოგას“. ლევან კორტავასა და შოთა სინაურიძეს შორის დაწყებული საუბარი კონფლიქტსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რომლის მიმდინარეობისას ლევან კორტავამ, ძალადობის საპასუხოდ, ხელი დაარტყა შოთა სინაურიძეს. მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა უსაფრთხოების ინსპექტორ ილია შანშაშვილისთვის, რომელმაც უგულებელყო მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა – უზრუნველეყო მსჯავრდადებულთა უსაფრთხოება, გამოევლინა და აღეკვეთა დანაშაული. ილია შანშაშვილის ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა შოთა სინაურიძემ და ამავე დანესებულებაში მცხოვრებმა, ასევე, მსჯავრდადებულმა გიორგი შემაზაშვილმა (მეტსახელად „გორსკი“) ლევან კორტავა ძალის გამოყენებით წაიყვანეს მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე #338 საკანში, სადაც სხვა მსჯავრდადებულებთან – სოლომონ დაშნიანთან, გელა უშხვანთან (მეტსახელად „გალსკი“) და თეიმურაზ გურეშიძესთან (მეტსახელად „რუბენჩი“) ერთად, ლევან კორტავას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდადებულთა მიერ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით ლევან კორტავას საკანში შეყვანის შესახებ იმთავითვე იყო ცნობილი ილია შანშაშვილისთვის, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა მსჯავრდადებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, თუმცა ამის მიუხედავად, არაფერი იღონა კონფლიქტის აღსაკვეთად და მისი უმოქმედობით მოძალადე პირებს საშუალება მისცა, გასწორებოდნენ ლევან კორტავას. #338 საკანში ძალადობის შედეგად ლევან კორტავას ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ცემის დასრულების შემდეგ კი მას მიეცა საკნის დატოვების საშუალება. რამდენიმე წუთში ნაცემ ლევან კორტავასთან, რომელიც, სხვა პატიმრებთან ერთად, მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე იმყოფებოდა, მივიდნენ ზემოხსენებული დანესებულების პატიმრები – ლაშა კვანტალიანი, შოთა სინაურიძე, გიორგი შემაზაშვილი, სოლომონ დაშნიანი, გელა უშხვანი, თეიმურაზ გურეშიძე და ნუგზარ ბუჩუაძე (მეტსახელად „რიჟა“), რომლებმაც სასაუბროდ გაიხმეს ლევან კორტავა #336 საკანში (საკნის სურათებს „პრაიმტაიმი“ წარმოგიდგენთ. – მ.ნ.), სადაც იგივე მიზეზით – მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, ჯგუფურად, გონების დაკარგვამდე, განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი. ამასთანავე, ამ უკანასკნელის ცემა არ შეუწყვეტიათ გონების დაკარგვის შემდეგაც რამდენიმე წუთის მანძილზე.

ახლა კი ვერსია ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატისგან, დალი სულაქველიძისგან:

– იმ პირებს, რომლებზეც ხელი შეიხოცეს და რომელთა მიმართაც საქმე დღეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იხილება, აქამდე საშუალება არ მიეცათ საზოგადოებისთვის სიმართლე ეთქვათ, რეალურად რა მოხდა და რამ შეინირა ლევან კორტავას სიცოცხლე... ეს შვიდი ადამიანი, რომელსაც კორტავას სიცოცხლის მოსპობაში ადანაშაულებენ, რეალურად გაინირა ორი ხელისუფლების ჭიდილის გამო. ძველი ახალს აბრალებდა, რომ მისმა უსუსურობამ განაპირობა მაყურებლების ინსტიტუტის ისევ გაძლიერება ციხეებში, ხოლო ახალი ძველს ადანაშაულებდა, რომ მათ მიერ სისტემაში დატოვებული მაყურებლების ბრალი იყო ეს ყველაფერი. არადა იმ ადამიანებს, რომელთა საქმეც დღეს სასამართლოში იხილება, არავითარი შეხება არ ჰქონდათ ამ ყველაფერთან. მეტიც, ლევან კორტავას სიცოცხლე სულ სხვა გარემოებამ შეიწირა. საქმე ექიმების მიერ არაკვალიფიციურად ჩატარებულ მკურნალობას შეეხება (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ინტერვიუში, მაია ნიკოლეიშვილთან. – მ.ნ.). გზადაგზა სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებოდით. საშუალება არ მოგვცეს, ის მოწმეები გამოგვეკითხა, რომლებიც სიმართლეს იტყოდნენ. მათთან შესვლის უფლება დეპარტამენტმა არ მოგვცა. არც სასამართლომ გასცა ბრძანება. პროკურატურას ვთხოვეთ მათი დაკითხვა და არ დაკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა. ამის მიუხედავად, ჩვენს ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე მაინც ნათლად ჩანს, როგორ დაიღუპა ლევან კორტავა.

– გვიამბეთ, რა მოხდა 2013 წლის 12 მაისს...

– როდესაც ის გეგუთის დაწესებულებაში შეასახლეს, შემთხვევით ნახა თავისი თანაქალაქელები, რომლებიც ისეთ დანაშაულზე იხდიდნენ სასჯელს, რაც კორტავასთვის მიუღებელი იყო. მათ შორის მოხდა შელაპარაკება. საქმე შეეხებოდა ამ ადამიანების მიერ ადრე ჩადენილ დანაშაულს – გაუპატიურების ფაქტს. ზუსტად ამის გამო მოხდა პირველი ინციდენტი, რასაც გამოძიება მალავს. მეტიც, მოგვიანებით ზუსტად ეს პირები გამოიყენა გამოძიებამ მოწმეებად, რომ თითქოს დღევანდელმა ბრალდებულებმა სცემეს კორტავას და ესენი ამ ცემის მოწმეები გახდნენ.

– იმ პატიმრებს, რომლებსაც ბრალი წაუყენეს, შეხება არ ჰქონიათ კორტავას ცემასთან?

– რეალურად იმ საკანში იმყოფებოდა მხოლოდ სამი პირი, დანარჩენებს შეხება არ ჰქონიათ ამ ფაქტთან. სულ სხვა ზონაში ცხოვრობდნენ. ერთი პირი, რომელიც ბრალდებულია, ისეთი ოპერაცია აქვს გაკეთებული, რომ მოძრაობა საერთოდ შეზღუდული აქვს.

– გინდათ თქვათ, რომ კორტავა სულ სხვა ადამიანებმა სცემეს და იმისთვის, რომ აქ მაყურებლის ინსტიტუტის არსებობა გამოკვეთილიყო, სულ სხვებს ადებენ ხელს?

– დიახ, სწორედ ეს იყო.

– იმ სამი ადამიანიდან, რომელიც რეალურად იმყოფებოდა საკანში, ბრალი რომელიმეს წაუყენეს?

– ერთს უკვე მიესაჯა. ორი მართალია, ბრალდებულია, მაგრამ არაადეკვატური მუხლით. დანარჩენ ოთხს საერთოდ არ ჰქონია ამ ინციდენტთან შეხება. ის პირები კი, რომელთა გამოც საერთოდ დაიწყო ეს ინციდენტი, ბრალდების მხარემ მოწმედ გამოიყვანა. ისინი წარსულში არაერთხელ არიან ნასამართლევი, მაგრამ ამის მიუხედავად, გარდა იმისა, რომ მათ ამნისტიით შეუმცირდათ სასჯელი, საპროცესო გარიგებაც გაუფორმეს და სასჯელის შეკრებითობის გაუქმებაც შეახეს. ამდენად, ვადაზე ადრე განთავისუფლდნენ სასჯელისგან, როცა მათი პირადი საქმეები, „საყვედურის“ გარდა, სხვას არაფერს მოიცავს და თანაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამო არიან ნასამართლები და მანამდე არასდროს უსარგებლიათ ვადაზე ადრე განთავისუფლებით, გარდა ამ შემთხვევისა. ესეც იმიტომ, რომ მათ თავიანთ ჩვენებებში ზუსტად ის სურათი დახატეს, რაც ბრალდებას აწყობდა.

– თქვენი დაცვის ქვეშ მყოფმა სასამართლოზე განაცხადა, ლიკვიდაციას მიპირებენო...

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ნუგზარ ბუჩუაძე, ცხოვრობდა ბარაკული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში, 1-ლი ბარაკის მე-2 სართულზე. ეს ინციდენტი მოხდა მე-6 კორპუსში, სადაც ნუგზარ ბუჩუაძეს არანაირი შეხება არ ჰქონდა, ვინაიდან ბარაკული სისტემის საცხოვრებელი კორპუსები განლაგებულია იზოლირებულად მე-6 კორპუსისგან. მათ შორის არის გამყოფი კედელი. მსჯავრდადებულებს იქ თავისუფალი გადაადგილება არ შეუძლიათ. ბუჩუაძე იმ დღეს იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ბარაკში. ინციდენტის დროს მისი საცხოვრებელი ბარაკი დაკეტილი იყო. მომხდარის შესახებ მან მეორე დღეს შეიტყო. გამოძიება ყველა ხერხითა და ყველა საშუალებით ცდილობს, მასზე ზენოლა მოახდინოს, რომ მან ეს დანაშაული დაიბრალოს. ამის შესახებ სასამართლოზეც განაცხადა, – ჩემი ლიკვიდაცია იგეგმება და წინასწარ გეუბნებით, თვითმკვლელობას არ ვგეგმავო. დღეს ის შიმშილობს. საერთოდ, უნდობლობა გამოუცხადა მთელი დაწესებულების სამედიცინო ნაწილს და უარი განაცხადა სამედიცინო მომსახურებაზე.

– არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ ინციდენტში სუბარის ახლობელიც მონაწილეობდა. შეგიძლიათ ამის დადასტურება?

– ბევრი მოწმე ასახელებს მშვენიერაძეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გამოძიებას მისი დაკითხვა რატომღაც აზრადაც არ მოსვლია. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ეს პატიმარი სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილის, გიორგი მშვენიერაძის ძმაა. ის მოადგილე იყო მაშინ, როდესაც სოზარ სუბარი სახალხო დამცველი გახლდათ.

მარიამ რუსაძე, თეიმურაზ გურეშიძის ადვოკატი:

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა. ბუასილის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ეს, უბრალოდ, ოპერაციის გაკეთება არ იყო. პირველად ოპერაცია წინა ხელისუფლების პერიოდში გაუკეთეს, ნარკოზის გარეშე, ისეთი გართულებები ჰქონდა, რომ მეორე ოპერაცია დასჭირდა. ისევ უნარკოზოდ გაუკეთდა. ისევ რომ არ იყო ცვლილება, გადაიყვანეს სამოქალაქო საავადმყოფოში და კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთდა. ექიმი გაკვირვებული იყო – მსგავსი არაფერი მინახავსო. დაჩეხილი იყო კაცი. ამ საავადმყოფოდან ის 11 მაისს გამოწერეს. შემთხვევის წინა დღეს. თემურს სარეაბილიტაციო პერიოდი ჰქონდა ორი თვე. ასე ეწერა ფორმა #100-ში. ანუ ფიზიკური აქტივობა ამ ხნის განმავლობაში შეზღუდული უნდა ჰქონოდა. მაგრამ ექიმმა ოჯახის წევრებს უთხრა, რომ მოქმედება შეზღუდული მას 6 თვის განმავლობაში ექნებოდა და ამის მერე კიდევ შეიძლება ერთი ოპერაციის ჩატარება კიდევ დასჭირდესო. გურეშიძე ყოველდღე ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც გადადიოდა სამედიცინო ნაწილში, სადაც ჰქონდა თავისი პრეპარატები. 12 მაისსაც გადავიდა პროცედურისთვის.

– ანუ ინციდენტის დროს სამედიცინო ნაწილში იყო?

– დიახ. ეს ვერ გათვალა გამოძიებამ. ჩვენ ექიმი დავკითხეთ და მან მისცა ჩვენება, 12 მაისს ეტაპი რომ მივიდა დაწესებულებაში, ძალიან ბევრი პატიმარი იყო შესამოწმებელი და ექიმი კარანტინში იყო გადასული ამისთვის. სამედიცინო ნაწილში დაბრუნება დააგვიანდა. როცა დაბრუნდა, მას პაციენტები დახვდნენ. მათ შორის იყო გურეშიძეც, რომელიც მას ერთ-ერთ პალატაში დახვდა, სადაც ორი მსჯავრდადებული ცხოვრობდა – შოთა ბუიძე და დურმიშხან თხელიძე. გადახვევებზე გურეშიძე მათთან შედიოდა ხოლმე, რადგან არ უნდოდა, ეს პროცედურა სხვა პატიმრებს ენახათ. შოთა ბუიძე ამას ადასტურებს თავის ჩვენებაში. ამასთანავე, ის ყვება, რომ როცა თემურმა გადახვევა დაამთავრა, ჩვენთან შემოვიდა დასამშვიდობებლად და ჩამოჯდაო. სწორედ ამ დროს ფანჯრიდან დავინახე, რომ სამედიცინო ნაწილში საკაცით შემოიყვანეს პატიმარიო. ანუ, იმ დროს ჰყავთ შემოყვანილი ეს საცოდავი კორტავა, ნაცემი, როცა თემური იქ არის.

– ვის და რისთვის დასჭირდა გურეშიძის დადანაშაულება ამ ინციდენტში?

– თემურ გურეშიძე ცხოვრობდა იმ საკანში, სადაც ეს ინციდენტი მოხდა... მაგრამ ამ ყველაფერს ერთი ფაქტი უძღოდა: დანესებულების დირექტორი, სინაურიძე აწუხებდა თემურს, ფული მასესხეო. პატიმარს ფული საიდან უნდა ჰქონოდა? 5000 დოლარი სჭირდებოდა სასწრაფოდ. სინაურიძემ თავისი მობილურით დაარეკვინა თემურს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ურნალოგით გარდაიცვალა...

- ლევან კორტავას არ ჩატარებია დეჰიდრატაციული მკურნალობა...
- ლევან კორტავას მკურნალობისას შეფასების გარეშე დარჩა ედსის მაღალი ციფრები და თრომბოციტოპენია....
- ლევან კორტავას მკურნალობისას არ ყოფილა გამოყენებული კორტიკოსტეროიდები...
- ლევან კორტავა არ ყოფილა გასინჯული ნევროპათოლოგის მიერ და არ იმყოფებოდა ნევროპათოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ...
- ლევან კორტავას არ ჩატარებია სასუნთქი გზების ტამპონადა...
- ლევან კორტავას არ ჩატარებია ყბა-სახის ქირურგის კონსულტაცია...
- ლევან კორტავა არ ყოფილა ინტუბირებული ტრავმის მიღებისთანავე...

ახლობელთან და ათქმევინა, ნახევარ საათში თანხა გვჭირდებაო. იმ ახლობელმა გამოაგზავნა მისი ცოლისძმა და მისცეს სინაურიძეს ეს ფული. სასამართლოზე ეს ფაქტი დავადასტურეთ. ისიც დავადასტურეთ, რომ სინაურიძის ტელეფონიდან იყო დარეკილი. ამის მერე, დაპირებული 10 დღე რომ გავიდა, სინაურიძე ფულს არ აბრუნებდა. ამის გამო შელაპარაკება მოუვიდათ. ბოლოს და ბოლოს, ივნისის ბოლოს თანხა დაბრუნდა, მაგრამ სინაურიძე გურეშიძეს დაემუქრა, ნახავ, ჩვენ კიდევ დავჭირდებით ერთმანეთსო. მუქარა აასრულა კიდეც – 5 ივლისს იმ მუშა პატიმრებს, რომლებიც პროკურატურამ ძირითად მოწმეებად გამოიყენა, ფოტოსურათზე ამოაცნობინეს თემურ გურეშიძე.

– ფოტოზე რომ არ ამოეცნოთ, ისე არ იცნობდნენ ეს პატიმრები გურეშიძეს?

– ყველა იცნობდა. ეს სასამართლოზეც დაადასტურეს. მაგრამ პირველ ჩვენებაში უწერიათ, ამ ინციდენტში მონაწილეობდა პირი, რომლის ამოცნობაც შეგვიძლიაო. შესაბამისად, ნებისმიერი პირის ჩასმა შეიძლებოდა და ჩასვეს თემურ გურეშიძე. როდესაც სინაურიძე მოხსნეს, ეს მუშა პატიმრები კარცერში გადაიკეტნენ და მათთან შედიოდნენ სინაურიძე, კუჭავა და კიდევ სხვა პირები და ადგენდნენ სიებს, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის პატიმრები, ვისაც ხელებს შეაწმენდდნენ.

სკანდალური ექსპერტიზა

სხვა ადვოკატებსაც აქვთ არგუმენტები, თავის დაცვის ქვეშ მყოფების სასარგებლოდ, თუმცა, ვფიქრობთ, საერთო სურათი უკვე შექმნილია და გაზეთის ფორმატის გათვალისწინებით ახლა დროა ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებაზე გადავიდეთ, რომელზეც დაცვის მხარემ სასამართლოზე საგამონაკლისო უფლებით ისარგებლა, ანუ ეს არის მტკიცებულება, რომელსაც დაცვა არ უცვლის ბრალდებას მტკიცებულებათა გაცვლის დროს და უბრალო ენით რომ ვთქვათ, სიურპრიზად ინახავს პროცესის მიმდინარეობის დროს. ერთი სიტყვით, ეს მტკიცებულება გახლავთ ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს აქამდე არსებული ვერსია იმის შესახებ, რომ ლევან კორტავას სიკვდილის მიზეზი მასზე განხორციელებული ძალადობით ქალა-ტვინის დახურული ტრავმის შედეგად განვითარებული ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება და დარბილება გახდა.

მაია ნიკოლეიშვილი პროცესზე 29 აგვისტოს დაიკითხა. „პრაიმტაიმი“ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

– თუ ჩვენ დეტალურად შევისწავლით ყველა დოკუმენტს – კომპიუტერული ტომოგრაფიის კვლევას, მიკროსკოპულ კვლევებს, ექიმების ჩვენებებს, ამ ყველაფრის გაანალიზება მიგვიყვანს იქამდე, რომ სიკვდილის მიზეზად ქალა-ტვინის ტრავმის დასახელება ძალიან სადავოა. შესაბამისად, მეც სადავო გავხადე ეს, როგორც არადამაჯერებელი და არაარგუმენტირებული. ყურადღების მიღმაა დატოვებული, რომ ამ ადამიანს გარდაცვალების შემდეგ დაუდგინდა ფილტვების ორმხრივი ანთება. მას ჰქონდა ცხვირის ძვლების მოტეხილობა ტრავმის მიღების მომენტში, მოხდა სისხლის ასპირაცია, ანუ სასუნთქ გზებში მოხვედრა, რაც დასტურდება იმ დღესვე ჩატარებული ბრონქოსკოპიით, შემდგომი ბრონქოსკოპიების დროს, გაკვეთითაც დადასტურდა და მიკროსკოპულადაც. საოცარი ის არის, რომ ამ დროს ექიმები ფილტვებს უსმენენ და პრობლემას ვერ ხედავენ. არსებობს ინფორმაცია, რომ სტაციონარში შეყვანისას ავადმყოფს შესაძლოა, ჰქონოდა მიღებული დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება, ვინაიდან ცნობილია, რომ ის ასეთ პრეპარატებს იღებდა. ნეიროქირურგი ამბობს, რომ ქალა-ტვინის ტრავმა მძიმე არ ჩანდა, არადა ავადმყოფი მივარდნილი იყო. გაგვიკვირდა კიდეც, რომ კლინიკური სურათი ასეთი განსხვავებული იყოო. ფაქტია, რომ ამ ადამიანთან არც ნარკოლოგი, არც ტოქსიკოლოგი არ გამოჩენილა... ნეიროქირურგმა თქვა, რომ ის საოპერაციო არ იყო და ამაში ის აბსოლუტურად მართალია. მაგრამ ნერვოპათოლოგი ხომ სჭირდებოდა? ის მკურნალობის პროცესში ჩართული არ ჰყოლიათ. შარდმდენები, რომელიც ასეთ დროს აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული, იმისთვის, რომ ორგანიზმი სითხისგან განთავისუფლდეს, რათა არ განვითარდეს ტვინის შეშუპება, არავის მიუცია ავადმყოფისთვის. საოცრება ის არის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი, რომელიც შემდეგ ჩართულია კომისიურ ექსპერტიზაში, წერს, რომ დიაგნოზი სწორად არის დასმული და მკურნალობაც ადეკვატური მიდიოდაო. ის და კიდევ ჯანდაცვის სამინისტროს რეანიმატოლოგი წერენ, რომ იყო ხარვეზები, მაგრამ მკურნალობა ძირითადად სწორად მიდიოდაო. არც ერთი არ საუბრობს იმაზე, რომ გაკვეთით ორმხრივი პნევმონია დადასტურდა. იქნებ დაუმალეს კიდეც მათ ეს დოკუმენტები. ფაქტია, რომ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მიდის გამართლება. ეს მახინჯი პრაქტიკაა და უკვე მერამდენე შემთხვევაა, რომ ასეთი სპეციალისტებისგან საქმე, პრაქტიკულად ფუჭდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მოიწვიონ ისინი და ის პასუხისმგებლობა აჰკიდონ, რომელიც მათ საკუთარ თავზე არ უნდა აიღონ. ეს პრაქტიკა ყოფილი ხელისუფლების დროს დაინერგა. ჟვანიას ექსპერტიზაზეც სპეციალისტებად შეყვანილები არიან პათანატომები. როგორ შეიძლება? პათანატომს თავის ტვინის ცოდნა აბსოლუტურად არ ევალება. ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ სოლიდარულად გაეწანწალებინათ პასუხისმგებლობა. ეს არის უსინდისობა. ასე მოხდა კორტავას საქმეზეც. სპეციალისტებად მოიწვიეს ნეიროქირურგი წიქარიშვილი და რეანიმატოლოგი უგულავა. რატომღაც ეს ადამიანები ხელს აწერენ დასკვნას, სადაც ახსნილია სიმაღლიდან ვარდნით მიღებულია თუ არა ესა თუ ის დაზიანება. უგულავამ, ან წიქარიშვილმა ეს რატომ უნდა დაადგინონ? ეს მათი სპეციალობაა? სასამართლო სხდომის 8 დისკი მოვისმინე. ყველა ექსპერტი თითქმის ყველა კითხვაზე სამარცხვინოდ პასუხობს – მე არ ვიცი, სპეციალისტს ჰკითხეთო. სირცხვილია ეს. ადვოკატი ეკითხება: ბატონო ჩემო, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ხარ და იქნებ მითხრა, რა იცი, რა გკითხოო... სირცხვილი იყო ამის მოსმენა. ყველამ ბოლოს ხელი წიქარიშვილისკენ გაიშვირა იმ დროს, როცა პროკურატურას დასაკითხთა სიიდან წიქარიშვილი მოხსნილი ჰყავს. შესაბამისად, საქმე რჩება აბსოლუტურად ღია. ყველა ამბობს, რომ ტრავმა არ იყო ისეთი, რომელიც სიკვდილს გამოიწვევდა.

– დასკვნაში წერია, რომ კორტავას მკურნალობდნენ ანტიბიოტიკებით, რომელზეც პაციენტს მგრძნობელობა არ ჰქონდა...

– ერთ-ერთზე საერთოდ არ ჰქონდა მგრძნობელობა. მეორეზე კვლევა არ გაკეთებულა. ფაქტია, რომ ანთების სანინააღმდეგოდ მიზანმიმართული მიდგომა არ ჰქონიათ. შესაბამისად, არც არავინ ფიქრობს, რომ სიკვდილის მიზეზი სხორედაც რომ პნევმონია შეიძლება იყოს. მოდით, გეტყვით სიმართლეს: ფილტვების ანთებით ავადმყოფის დაღუპვა, თან მეთერთმეტე დღეს, ეს არის კატასტროფა კლინიკისთვის. და თუ ვინმეს შანსი აქვს, ყველა ცდილობს ამის დამალვას. ამ შემთხვევაშიც ხომ არ გვაქვს ასეთ ფაქტთან საქმე? რატომღაც ნეიროქირურგს ედავებიან, ოპერაცია რატომ არ გააკეთეო. არადა, მართლაც არ იყო ეს საჭირო. ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალისტს ეს ყველაფერი რომ დაელაგებინა, აღარ იქნებოდა ამდენი დავა. თუ პნევმონიით დაიღუპა, აღიარონ ეს. თუ სისხლის შეუდედებლობით დაიღუპა, რომელიც ხშირად პნევმონიით ვითარდება, მაშინ ეს აღიარონ. თუ ფსიქოტროპული ნივთიერებებით ინტოქსიკაციით დაიღუპა და არ მოუყვანეს ტოქსიკოლოგი, მაშინ ეს აღიარონ. წარმოიდგინეთ, როგორი გაჟღენთილი უნდა ყოფილიყო მისი ორგანიზმი ასეთი ნივთიერებით, რომ საავადმყოფოში მიყვანიდან მეთერთმეტე დღესაც კი აღმოჩნდა ეს ნივთიერება, იმ დროს, როდესაც გადასხმების შედეგად ის 2-4 დღეში ეს ყველაფერი გამოიყოფა.

– ანუ ამ ნივთიერების კვალი გაკვეთის დროსაც ნახეს?

– შეგიძლიათ ნახოთ მათივე ექსპერტიზის დასკვნა.

– თქვენ შეგიძლიათ კონკრეტულად თქვათ, რა გახდა კორტავას დაღუპვის მიზეზი?

– მე სადავო გავხადე არსებული დასკვნა. კატეგორიულად ვამბობ, რომ ტვინის ღეროს შეშუპება ტრავმებს არ გამოუწვევია. თუ პნევმონიით წავიდა შეშუპება, ვერაფერს ვიტყვი... თუ ინტოქსიკაციით წავიდა შეშუპება, ვერაფერს ვიტყვი... თუ სისხლის შეუდედებლობით დაიღუპა და წავიდა ტვინის შეშუპება, ამაზეც ვერაფერს ვიტყვი. ეს ყველაფერი, არატრავმულია... აქვე ერთ ნონსენსზე გიამბობთ: ექსპერტიზის დანიშვნის საფუძვლად ორი დადგენილებაა მითითებული, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამომძიებლის მიერ არის გაცემული. პირველი სასჯელაღსრულების გამომძიებლის მიერ, როცა კორტავა ჯერ კიდევ ცოცხალია, მეორე კი პროკურატურის გამომძიებლისგან – კორტავას გარდაცვალების შემდეგ. ორ დადგენილებაზე ექსპერტს ერთი დასკვნა აქვს გაცემული. ამაზე გამოძიება ხმას არ იღებს და ეს დასკვნა, წარმოგიდგენიათ, დღეს მტკიცებულებად განიხილება. ეს ნონსენსია, აბსოლუტური გაურკვევლობა. ბოლოს და ბოლოს, „ჩვენს ჯიხურში მართლა ყველაფერი მოსულა“?

– როგორც ვხვდები, აქ შეიძლება ექიმების დანაშაული გამოიკვეთოს...

– ეს არ არის ჩემი კომპეტენცია. ეს გამოძიებამ, ან ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა შეაფასოს. ფაქტია, რომ ტვინის ღეროს ჩაჭედვა, რითაც სიკვდილს ხსნიან, არატრავმულია. იმის ნაცვლად, რომ ამ ყველაფერზე სპეციალისტებს ემსჯელათ, დაედგინათ, ამ კაცს სწორად უმკურნალეს თუ არა, ეს საქმე იმდენად პოლიტიზებული გახდა, რომ ერჩივნათ ე.წ. მაყურებლებს „მოეკლათ“. ახლა მაინც შეისწავლოს ჯანდაცვამ ეს საქმე, შექმნას კომისია და ძირფესვიანად, ნამუსიანად, არავისზე ხელის დაფარებით გაარკვიოს, თეთრხალათიანებმა სწორედ იმოქმედეს თუ არა, ან უმკურნალეს საერთოდ? მე კი ვხედავ სრულ უსამართლობას.

№6 კორპუსი
B 8
კედელი
კედელი
150 მ
100 მ
სასადილო
III ბარაკი
II ბარაკი
I ბარაკი
ბუფეტის სალარო
ტ
ტ
ტ

რის გამო გარდაიცვალა 62 წლის მამ

სალომე გოგოხია

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა. 62 წლის ფრიდონ რიჟამაძე სასჯელს გეგუთის კოლონიაში იხდიდა. 15 აგვისტოს პატიმარი იმერეთის კლინიკურ საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მოათავსეს. გარდაცვალების გამომწვევ მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის მოთხოვნით დანიშნეს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, რიჟამაძე საავადმყოფოში სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის გამო მოათავსეს. წინასწარი დიაგნოზით - პოლისეგმენტური პნევმონია.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

თავად პატიმრის ოჯახი აცხადებს, რომ ფრიდონ რიჟამაძის გარდაცვალების მიზეზი ინტერფერონის ნემსი გახდა, რომელმაც უკურეაქცია გამოიწვია. პატიმარს ძლიერი ტკივილები ჰქონდა, თუმცა, ოჯახის განცხადებით, ექიმებმა დახმარება არ აღმოუჩინეს.

ციხეში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, ფრიდონ რიჟამაძეს ქრონიკული C ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი დაუდგინეს. რიჟამაძე C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩართეს. ოჯახის განცხადებით, როდესაც ინტერფერონის ნემსმა უკურეაქცია გამოიწვია, ციხის სამედიცინო მედპერსონალს მკურნალობა უნდა შეეწყვიტა. თუმცა, ასე არ მოხდა, რამაც პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა.

15 აგვისტოს ფრიდონ რიჟამაძე იმერეთის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოჯახის განცხადებით, ციხის ადმინისტრაციამ პატიმარი მხოლოდ მას შემდეგ გადაიყვანა კლინიკაში, რაც მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და მისი გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

„რამდენიმე წუთში საავადმყოფოში ციხის უფროსი, ქალაქის სამმართველოს უფროსი, მოადგილეები მოვიდნენ, მკითხეს ჩივიხართო? ჩემმა ქმარმა უპასუხა, ჯერ არ ვჩივით, ექსპერტიზის ჩატარება გვინდა, გვაინტერესებს ჯანმრთელი კაცი რითი მოკვდაო. ეს იგივე ჩივილიაო, გვიპასუხეს“



როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში გარდაცვლილის ძმისშვილმა თამარ რიჟამაძემ განაცხადა, პირველმა სწორედ მან ნახა ბიძა, რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა და სუნთქვის ხელოვნურ მართვაზე იყო გადაყვანილი:

„საავადმყოფოში ღამე მივედი. როცა მე ვნახე, კომაში იყო. ექიმმა დეტალებში მიამბო, რა მდგომარეობაში მიიყვანეს. საიმედო არ არის, სასიკვდილოაო, მაშინვე მითხრა ექიმმა. როცა კლინიკაში შემოიყვანეს პირიდან სისხლი სდიოდაო. პირველად რენტგენი გადაუღეს, მაგრამ არაფერი არ აჩვენა. მოგვიანებით, ძვირადღირებული ანალიზები ჩაუტარეს და იქ გამოჩნდა, რომ მარჯვენა ფილტვი საერთოდ დაშლილი ჰქონდა, მარცხენაც ცუდ მდგომარეობაში იყო, ასევე, დაშლილი ჰქონდა ღვიძლიც“.

„პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის ოჯახმა სამედიცინო დასკვნა მოაწოდა, სადაც აღნიშნულია თუ რა გამოკვლევები ჩაუტარდა პატიმარს. მათ შორის, ნათქვამია, რომ:

„აღწერილი ცვლილებები, პირველ რიგში, შეესაბამება ორივე ფილტვის პოლისეგმენტურ ანთებას. ანამნეზის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, სპეციფიკური პროცესით განპირობებული პროცესი, რომელიც დისიმინირებს ჰემატო-ბრონქოგენური გზით“. - ნათქვამია დასკვნაში.

თავად გარდაცვლილის ოჯახი აცხადებს, ციხეში შესვლისას ფრიდონ რიჟამაძე აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და სავარაუდოდ, ციხეში დაავადდა C ჰეპატიტით.

გარდაცვლილის შვილი, თამარ რიჟამაძე:

- მამაჩემი სრულიად ჯანმრთელი იყო. ჯანმრთელობის მხრივ არაფერს უჩიოდა, წნევაც კი არ გაუსინჯავს. ამიტომ, ოჯახს გვაინტერესებს რა გახდა ჯანმრთელი კაცის გარდაცვალების მიზეზი. ბოლოს მამაჩემი მიმდინარე წლის 30 ივლისს ვნახე, ციხეში პაემანზე ვიყავი. მითხრა, ციხეში C ჰეპატიტზე უფასოდ მკურნალობენ და მეც ვმკურნალობ, ნემსებს ვიკეთებო. წონაში დაკლებული მეჩვენა, რაზეც მითხრა, ამ ნემსს სცოდნია და მერე უფრო კარგად ვიქნებიო. ამის შემდეგ ერთხელ ტელეფონზე ვესაუბრე. მაშინაც არ უთქვამს რამე მაწუხებსო.

- როდის შეიტყვეთ, რომ მამათქვენი საავადმყოფოში მოათავსეს?

- ციხეში სასჯელს იხდის ჩვენი მეზობელი, რომელმაც თავის ცოლს დაურეკა და შემოგვითვალა, რომ მამაჩემი ქუთაისის საავადმყოფოში მოათავსეს. ინტერფერონის ნემსმა შეტევა მისცა და საავადმყოფოში წევსო. ბიძაშვილს დავურეკე, ის ქუთაისში ცხოვრობს და პირველად სწორედ მან მიაკითხა საავადმყოფოში. რეანიმაციაში ჰყავდათ. როგორც მოგვიანებით ექიმმა გვითხრა, როცა მამაჩემი საავადმყოფოში მიიყვანეს გონზე აღარ იყო.

ნათია რიჟამაძე, გარდაცვლილის შვილი: - მე მგონი, ციხის საავადმყოფოდან მას შემდეგ გადმოიყვანეს, როცა უკვე აღარაფერი ეშველებოდა. პატიმრებმა გვითხრეს, ბოლოს რამდენჯერაც ვნახეთ სულ ექიმის კაბინეტთან იყო ატუზული, მაგრამ ექიმი ყურადღებას არ აქცევდაო. მამაჩემს C ჰეპატიტი არასდროს ჰქონია. ეს დიაგნოზი მას ციხეში დაუსვეს. ინტერფერონის ნემსი ძლიერია, ამაში ჩახედული ვარ და ვიცი. თუ ღვიძლი ძალიან დაზიანებულია, მაშინ ამ ნემსის გაკეთება სარისკოა, უკუჩვენებები აქვს. მკურნალობა რომ შეეწყვიტათ, მამაჩემი გადარჩებოდა. საავადმყოფოს ექიმმა გვითხრა, რომ ანალიზების შედეგად ტუბერკულოზის მძიმე ფორმა აღმოაჩნდაო. თუ მწვავე ფორმა ჰქონდა, ციხის ექიმი რას აკეთებდა? ასეთ მდგომარეობაში ინტერფერონის ნემსის გაკეთება როგორ შეიძლება? პატიმრებმა გვითხრეს, თუ იჩივლებთ გვერდში დაგიდგებით, ყველაფერს ვიტყვითო. მეტი არაფერი ვიცი, ხომ იცით, ციხიდან როცა რეკავენ ბოლომდე სიმართლეს არ ამბობენ, რადგან ტელეფონები ისმინება.

- ოჯახმა ექსპერტიზა მოითხოვეთ?

- დიახ, რადგან მამაჩემს ცხოვრებაში არაფერი აწუხებდა და ორ დღეში ადამიანი გარდაიცვალა, მიზეზი მაინტერესებს. როგორც კი ვთქვი, რომ ექსპერტიზას ვითხოვ, გავიგო რატომ გარდაიცვალა-მეთქი, რამდენიმე წუთში საავადმყოფოში ციხის უფროსი, ქალაქის სამმართველოს უფროსი, მოადგილეები მოვიდნენ, მკითხეს ჩივიხართო? ჩემმა ქმარმა უპასუხა, ჯერ არ ვჩივით, ექსპერტიზის ჩატარება გვინდა, გვაინტერესებს ჯანმრთელი კაცი რითი მოკვდაო. ეს იგივე ჩივილიაო, გვიპასუხეს. ერთ-ერთმა, აღარ მახსოვს ვინ იყო, მაშინ შენი მკვდარი შენი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აკაცი გეგუთის კოლონიაში?!

„მამაჩემს ცხოვრებაში არაფერი აწუხებდა და ორ დღეში ადამიანი გარდაიცვალა, მიზეზი მაინტერესებს“



„პატიმრებმა გვითხრეს, ბოლოს რამდენჯერაც ვნახეთ სულ ექიმის კაბინეტთან იყო ატუზული, მაგრამ ექიმი ყურადღებას არ აქცევდაო. მამაჩემს C ჰეპატიტი არასდროს ჰქონია. ეს დიაგნოზი მას ციხეში დაუსვეს“

ხარჯებით გადაიყვანე მორგშიო. შემდეგ რომელიღაცამ თქვა, ჩემი კეთილი გულით ათ ლიტრა ბენზინს ჩავუსხამ და მორგში გადავაყვანინებო. ნუთუ, მიცვალებულს ისიც არ ეკუთვნოდა, რომ კლინიკიდან მორგამდე ადმინისტრაციის ხარჯებით გადაესვენებინათ, რომ ექსპერტიზა ჩატარებოდა?! როგორც კი ვთქვი, რომ ექსპერტიზა მინდა-მეთქი, ყველა გაიქცა. ციხის უფროსმა გვითხრა, ჩემი საკუთარი ხარჯებით შემიძლია მიცვალებული ბათუმში გადაგასვენებინოთო, რაზეც ჩვენ უარი ვუთხარით. პატიმრებს რომ არ ეთქვათ, მამათქვენი მოიკითხეთ, ორი დღეა არ გვინახავსო, ალბათ, კარგა ხანს ვერ გავიგებდით რა მოხდა. წარმოიდგინეთ, სასჯელაღსრულების სამინისტროდან მამაჩემის გარდაცვალების შესახებ ცნობა მისი დაკრძალვის დღეს მივიღეთ. ახლა ექსპერტიზის პასუხს ველოდებით, 40 დღეში იქნებაო გვითხრეს. გავიგებთ რითი გარდაიცვალა მამაჩემი.

ფრიდონ რიჟამაძეს ნარკოტიკების მოხმარებისთვის და საზღვარზე მათი გადმოტანისთვის 28 წელი ჰქონდა მისჯილი. აქედან, 4 წელი და 7 თვე მოიხადა.

მომხდართან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განაცხადეს, რომ პატიმარი პაციენტი იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში სუნთქვის და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის დიაგნოზით მოათავსეს. წინასწარი დიაგნოზით - პოლისეგმენტური პნევმონია.

„სამწუხაროდ, ინტენსიური მკურნალობის მიუხედავად, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ამ შემთხვევაზე მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც დაადგენს გარდაცვალების ზუსტ მიზეზს, თუმცა არსებობს სამედიცინო მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც ინტერფერონოთერაპია მის გარდაცვალებასთან კავშირში არ არის. კერძოდ, 2014 წლის მაისში ფრიდონ რიჟამაძეს სასჯელაღსრულების სისტემაში ჩაუტარდა ლაბორატორიული ტესტები და მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები, რომლის შედეგადაც დაუდგინდა ქრონიკული C ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი („ჩაილდ-ს“ შკალით A კლასი). ექიმებმა მას მიაწოდეს ყველა აუცილებელი ინფორმაცია მისი დაავადების პროგნოზის და მკურნალობის შესახებ. როდესაც მსჯავრდებული მკურნალობაში ჩაერთო, მას განემარტა რა გვერდითი მოვლენები მოჰყვება ამ მკურნალობას, მაგრამ მან, ამის მიუხედავად, მოისურვა მკურნალობა და ხელმოწერით დაადასტურა მკურნალობის ჩატარების სურვილი. მიუხედავად ღვიძლის არსებული დაზიანებისა, ჩაერთო C ჰეპატიტის მკურნალობაში, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო გაიდლაინებით ღვიძლის ციროზის A კლასის შემთხვევაში უკუჩვენებას არ წარმოადგენს და მკურნალობის და პაციენტის გადარჩენის ერთადერთი გზაა. მკურნალობის დაწყებიდან 12.08.2014 ჩათვლით პაციენტს უტარდებოდა რეგულარული საკონტროლო კვლევები, სადაც ჩანს, რომ მკურნალობა C ჰეპატიტზე მიმდინარეობდა წარმატებით, რაზეც მეტყველებს ანალიზების ძირითადი მონაცემები: თრომბოციტები მკურნალობის ფონზე = 112 (ჩატარებულია 12.08.14); ჰემოგლობინი მკურნალობის ფონზე = 104 (ჩატარებულია 12.08.14); ალბუმინი = 41.5 (ჩატარებულია 12.08.14); aFP = 4.4 (ჩატარებულია 12.08.14); ღვიძლის ფუნქციები - ALT=21; AST=48; γ-GT = 32; თავბრუსხვევა, თავის და სახსრების ტკივილი, გამონაყარი კანზე და სხვა ჩივილები ინტერფერონის და რიბავირინის ინექციებს პაციენტების უმრავლესობის შემთხვევაში ახლავს თან და არ წარმოადგენს მკურნალობის შეწყვეტის საფუძვლებს - ამ გვერდით მოვლენებს, მკურნალობის პარალელურად, მართავს ექიმი. სამინისტრო სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და მზადყოფნას გამოთქვამს დააკმაყოფილოს ოჯახის წევრთა ყველა ლეგიტიმური ინტერესი აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით“. - განაცხადეს სამინისტროში.

როგორც უკვე გითხარით, მომხდართან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება. პარალელურად, პატიმრის გარდაცვალების საქმის შესწავლა დაიწყო სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონალურმა ბიურომ.

რა ხდება რუსთავის მე-6 დაწესებულებაში?

სალომე გოგოხია

გასულ კვირას სასჯელაღსრულების რუსთავის მე-6 დაწესებულებაში ინციდენტი მოხდა. პატიმრებს შორის დაწყებული კონფლიქტი ციხის ადმინისტრაციამ მალევე გაანეიტრალა და ისინი მე-7 დაწესებულებაში გადაიყვანა, ხოლო ადგილზე საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი გამოიძახა. პარალელურად, მე-6 დაწესებულებაში 6 პატიმარი ამ დრომდე შიმშილობს.

როგორი სიტუაციაა რუსთავის მე-6 დაწესებულებაში და რას ითხოვენ მოშიმშილე პატიმრები, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს თეა პერტაიას ესაუბრა.

- ქალბატონო თეა, ამჟამად როგორი სიტუაციაა რუსთავის მე-6 დაწესებულებაში?

- რუსთავის მე-6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დღეის მდგომარეობით აბსოლუტური სიმშვიდეა.

- რა მოხდა გასულ კვირას დაწესებულებაში? როგორც მედიით გავრცელდა, ორ პატიმარს შორის კონფლიქტი აღინიშნა.

- 22 აგვისტოს, ღამის პირველი საათისთვის, რუსთავის მე-6 დაწესებულების ერთ-ერთ საკანში მსჯავრდებულებს შორის მოხდა კონფლიქტი. ერთ-ერთი მსჯავრდებული, რომელიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა, თანასაკნელებისა და მისივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასჯელაღსრულების ნომერ მე-7 დაწესებულებაში გადაიყვანეს. ეტაპირება მოხდა კანონის დაცვით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პატიმრის გადაყვანა მიზნად ისახავდა სიტუაციის განმუხტვას. როგორც გადაყვანილი პატიმრის, ასევე, სხვა პატიმრების უსაფრთხოებას.

- კონფლიქტის მონაწილეთა შორის გაიჟღერა პატიმარ თაბაგარის გვარმა, ის მე-7 დაწესებულებაშია გადაყვანილი? რა გახდა კონფლიქტის მიზეზი?

- თაბაგართან დაკავშირებით ინფორმაციას არ გიდასტურებთ. ის კვლავ მე-6 დაწესებულებაში იხდის სასჯელს. კონფლიქტთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. გეტყვით, რომ მოხდა დანაშაულის პრევენცია.

- რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს იმ ღამით დაწესებულებაში სპეცრაზმი გამოიძახეს, გვიდასტურებთ?

- ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ადმინისტრაცია თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა სიტუაციას. ორ პატიმარს შორს მოხდა დაპირისპირება და სიტუაცია ჩვენს კონტროლს დაექვემდებარა. რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, რამდენიმე ეკიპაჟი მართლაც გამოიძახეს, რომ გარე პერიმეტრზე სიმშვიდე დაეცვათ, რადგან ამ დეზინფორმაციის ფონზე დაწესებულებასთან პატიმრების აღელვებული ახლობლები შეიკრიბნენ. ადმინისტრაცია დაწესებულების შიგნით წესრიგს იცავდა და იცავს. სამინისტრო თავის ქმედებებში ემორჩილება კანონის უზენაესობას. შესაბამისად, კანონის ფარგლებში გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ პატიმრის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მაქსიმალურად დაცული იყოს.

- ასევე, გავრცელდა ინფორმაცია პატიმრების შიმშილობის შესახებ. გვიდასტურებთ ამ ინფორმაციას? რა სიტუაციაა ამ მხრივ დაწესებულებაში? ითქვა ისიც, რომ პატიმრები არახელსაყრელი სამედიცინო მომსახურების გამო შიმშილობენ...

- ამჟამად 6 პატიმარი შიმშილობს. ისინი ამ ფორმით ითხოვენ საქმეების გადახედვას, რაც სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. მოშიმშილე პატიმრები მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. მათ ყოველდღიურად მოუწოდებენ, რომ შეწყვიტონ შიმშილობა. ამასთან, განემარტებათ შიმშილობის უარყოფითი შედეგები. ისინი ყოველდღე გადიან სამედიცინო შემოწმებას. ციხეებში სამედიცინო სერვისი მაღალ დონეზეა. შიმშილობის დროს ვხელმძღვანელობთ მინისტრის N 169-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით. მოშიმშილეთა მდგომარეობა ამ მომენტისთვის სტაბილურია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ჩამოდის პენტაგონის თავდაცვის მდივანი საქართველოში

ჩაკ ჰეგელის ტურნე ინყება

ქეთი ხატიაშვილი

ჩაკ ჰეგელი საქართველოში ჩამოდის. პენტაგონის თავდაცვის მდივანი აქ თავდაცვის მინისტრს შეხვდება. უკრაინის კრიზისის ფონზე ასეთი ვიზიტი, ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს.

ჰეგელი და ალასანია ერთმანეთს ერთხელ უკვე შეხვდნენ. ზუსტად ერთი წლის წინათ პენტაგონში ორი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი შეთანხმდა, რომ ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

– ვისაუბრეთ ჩვენს საერთო ოპერაციებზე ავღანეთში, მაგრამ უფრო მეტი დრო დავუთმეთ ჩვენს მომავალ ურთიერთობებს. ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს, შექმნას თავდაცვის ადეკვატური შესაძლებლობები, რაც უპასუხებს არსებულ საფრთხეებს ჩვენს რეგიონში. ამერიკა უფრო გააღრმავებს ჩვენს მხარდაჭერას სამხედრო განათლების მიღების კუთხით. აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული ქარტიით გათვალისწინებული ყველა ურთიერთობა უახლოეს პერიოდში იქნება შესწავლილი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც დაიწყება, რათა ის ექვსპუნქტიანი შეთანხმება განხორციელდეს, რაც საქართველოსა და ამერიკას სამხედრო თანამშრომლობის კუთხით არსებობს, – განაცხადა მაშინ ჰეგელთან შეხვედრის შემდეგ ალასანიამ.

ჩაკ ჰეგელი თბილისში პირველად ჩამოდის, ალასანიას კი მესამედ შეხვდება. პენტაგონის სპიკერის განმარტებით, ჰეგელი საქართველოს პრემიერსაც შეხვდა მიუნხენში ვიზიტის დროს.

თბილისში ჩამოსვლის თარიღი ჯერ არ სახელდება. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს არის ერთგვარი ტურნე და თავდაცვის მდივანი თბილისიდან ანკარაში გაემგზავრება.

ექსპერტ გიორგი თავდგირიძის შეფასებით, დღეს ამერიკა და ევროპა უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნასა და ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ეს ვიზიტი უსაფრთხოების ახალ სისტემაში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას უკავშირდება.

თუმცა, სოციალურ ქსელებში ჰეგელის ვიზიტი ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ გეგმებს დაუკავშირეს. ზოგმა თქვა, რომ თეთრი სახლი ფსონს სწორედ ალასანიაზე დებს, ზოგის აზრითაც, ამ ვიზიტით თვითონ ალასანია შეეცდება, საკუთარი პოლიტიკური იმიჯისა და მნიშვნელობის გაზრდას.

ალასანიას პოლიტიკურ ინტერესებზე დიდი ხანია საუბრობენ. თუმცა, ახლა ქვეყანა სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას და თუ ვინმე ამაზე საკუთარი პოლიტიკური ინტერესების აგებას ცდილობს და მხოლოდ ეს ინტერესი ამოძრავებს, დაუჯერებლად ჟღერს. თუმცა, ნაციონალები ამბობენ, რომ ალასანიასგან ზურგში დანის ჩაცემას მიჩვეულები არიან.

ყველაზე ხშირად ყოფილი ხელისუფლება 2008 წლის ომს იხსენებს, რის შემდეგაც ირაკლი ალასანია გადადგა. სხვათა შორის, ზოგიერთები მაშინაც ამტკიცებდნენ, თეთრმა სახლმა ზურგი აქცია სააკაშვილს და მის ხელისუფლებას, ფსონი ალასანიაზე კეთდებაო. თუმცა, ირაკლიმ მაშინ პოლიტიკაში ყველა მიმართულებით წააგო. გიორგი ბარამიძის შეფასებით კი, ირაკლიმ სწორედ მაშინ დატოვა ვერტიკალი და უღალატა გუნდს, როცა ის საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ანუ ომის შემდეგ მძიმე კრიზისის დროს.

ახლა ის პენტაგონის პირველ პირს ხვდება და მისი მომხრეები ისევ ალასანიას პირად პოლიტიკურ კარიერაზე ალაპარაკდნენ. თუმცა ქვეყანა ახალი საფრთხეების წინაშე დგას და ახლა შიდაპოლიტიკური ინტრიგები და კინკლაობა სრულიად

უადგილოა.

რუსული აგრესიის ფონზე ნატო ახალ საპარტნიორო ჯგუფს ქმნის. NATO-ს სწრაფი რეაგირების არმიის შექმნის ინიციატივით უკვე გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთი, დანია, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, ნიდერლანდები და ნორვეგია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ პროექტში საქართველოს ჩართვის თემა შეიძლება განიხილონ ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა. უკვე ცნობილია, რომ NATO-ს არმიას სათავეში დიდი ბრიტანეთი ჩაუდგება, რომელიც საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ბრძოლისთვის მუდამ მზად იქნება.

ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უკრაინის შემდეგ მოსკოვი იერიშს უკვე მოლდოვასა და საქართველოზე მიიტანს. ვარაუდობენ, რომ ბალტიისპირა ქვეყნებიც დარტყმის ქვეშ იქნებიან. სხვათა შორის, NATO-ს არმიის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაც სწორედ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დაცვაა. ევროპა ცდილობს, საკუთარი საზღვრები გაამაგროს და ტერიტორია რუსული აგრესიისგან დაიცვას.

ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის პოლ გიბლის განმარტებით, პუტინის ინტერესი NATO-ს განადგურება და აღმოსავლეთ ევროპასა და ამერიკას შორის კავშირების გაწყვეტაა, ეს არის პუტინის საბოლოო მიზანი, აცხადებს ექსპერტი.

ჯერჯერობით დასავლეთი საკმაოდ ფრთხილ განცხადებებს აკეთებს და რადიკალურ გადაწყვეტილებებს არ იღებს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რაც შესაძლებელია. გიორგი თავდგირიძის განმარტებით, ახლა ნაციონალები რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მხოლოდ იყვირებდნენ და საქმით ვერც ვერაფერს გააკეთებდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯეოსელი

50 ლარი

- უსასრულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასრულო SMS-ები
- უსასრულო ინტერნეტი

ერთი უსასრულო

შეიძინეთ გადახდის აპარატებში ან ჯოდით *010#OK

7036 - ჯეოსელიდან (ზარი უფასოა)
110110 - ყველა ქსელიდან
www.geocell.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე არაფერი მერიდება და შემიძლია, ვთქვა ჩემი აზრი, მაგრამ სჯობს, რაკი მთავრობა არსებობს, მთავრობის სახელით ილაპარაკოს მან, ვისაც ეს ევალება“

როგორ გააცურეს აფხაზებმა პაატა ზაქარეიშვილი

ქეთი ხატიაშვილი

პაატა ზაქარეიშვილი რამდენჯერმე ისე გააცურეს, რომ ახლა ცდილობს, არც ხმამაღალი განცხადებები გააკეთოს და არც აფხაზებს ენდოს დიდად. თუმცა თავიდან, როცა რეინტეგრაციის მინისტრად დაინიშნა, ირწმუნებოდა, რომ კონფლიქტური ზონებისკენ გარღვევა ჰქონდა; რომ კულისებში დიალოგი დაწყებული იყო; რომ კონტაქტი შედგა; და რომ ყველაფერზე ღიად ვერ ისაუბრებს...

თუმცა, ძალიან მალე მიხვდა, რომ აფხაზები დიალოგზე კი არ გამოვიდნენ, უბრალოდ მას იყენებდნენ. ამის კლასიკური მაგალითია სირიიდან ლტოლვილი ეთნიკური აფხაზების აფხაზეთში ჩასვლის თემა. პაატა ზაქარეიშვილმა მაშინ დარწმუნებით თქვა, თუ აფხაზები წინააღმდეგნი არ იქნებიან, შესაძლებელია, სირიიდან ლტოლვილების აფხაზეთისკენ გატარება საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გავლითაც მოხდეს:

– მზად ვიქნებოდი, ამაზე გველაპარაკა და ეს აფხაზური მხარისთვის შეგვეთავაზებინა. ახლაც ვთავაზობ. შეიძლება ჩვენი კეთილი ნება გამოგვეხატა და ავტობუსით სამშვიდობოზე გამოგვეყვანა, ან ჩვენი ტერიტორიაც კი შეგვეთავაზებინა, თუკი ეთნიკური აფხაზები არიან. მზად ვიქნებოდი, ამაზე გვემსჯელა და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა. ამაში საში-ში არაფერია, ეს იქნებოდა კეთილი ნაბიჯი, რომელიც ან დაფასდებოდა, ან არ დაფასდებოდა. უფრო არ დაფასდება. ნახავთ ყველა მათი მხრიდან რეაქციას, კარგად ვიცნობ აფხაზებს.

ჰოდა, სწორედ იმ აფხაზებმა ზაქარეიშვილი კარგად რომ იცნობს, საქართველოს მინისტრი მწარედ გააცურეს. პაატა ზაქარეიშვილის ამ განცხადების შემდეგ სოხუმმა მოსკოვი „დააშანტაჟა“, ლტოლვილებს თქვენ თუ არ შემოუშვებთ, მაშინ საქართველომ უკვე გააკეთა განცხადება და ისინი დაგვეხმარებიანო და კრემლმაც მაშინვე გაუხსნა გზა სირიიდან მომავალ ეთნიკურ აფხაზებს.

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ამ ისტორიის მთელი ინტრიგა ის გახლავთ, რომ აფხაზებმა თავად სთხოვეს ზაქარეიშვილს ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება, შემდეგ კი მოსკოვთან სარფიანად ივაჭრეს.

საერთოდ, უნდა ვაღიაროთ რომ სოხუმს თბილისთან შედარებით პრაგმატული და რეალისტური პოლიტიკა ჰქონდა.

მოკლედ, აფხაზებმა ზაქარეიშვილი გამოიყენეს. შესაძლოა, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, თუმცა ახლა ჩვენი მინისტრი ცდილობს, უკანასკნელი მაინც იყოს. ამიტომაც განცხადებებს ნაკლებად აკეთებს.

ისე კი, ამ ისტორიამ ექსპერტებს ლენინის ცნობილი ფრაზა გაახსენა სასარგებლო იდიოტების შესახებ. სწორედ ამ როლში დააფიქსირებდა თავს პაატა ზაქარეიშვილიც...

ახლა ის ცდილობს, სასარგებლო იდიოტის როლში არ აღმოჩნდეს,

თუმცა კიდევ უფრო სერიოზულ სკანდალში გაეხვია, როცა უკრაინაში რუსეთის აგრესიაზე თქვა: ამაზე პოზიცია არ მაქვსო...

იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრების შეფასებისას გააკეთა, შემდეგი მინისტრი, ვინც შეიძლება პოსტი დატოვოს, სწორედ რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი უნდა გახდეს. უკრაინის კრიზისის ფონზე მინისტრს რომ პოზიცია არ ექნება, ეს უკვე მეტისმეტია. „ტაბულამ“ ზაქარეიშვილის სკანდალური კომენტარი რამდენიმე დღის წინ გაავრცელა:

– მე მთავრობის წევრი ვარ, რომელსაც მევალება სხვა მიმართულებები. მე არაფერი მერიდება და შემიძლია, ვთქვა ჩემი აზრი, მაგრამ სჯობს, რაკი მთავრობა არსებობს, მთავრობის სახელით ილაპარაკოს მან, ვისაც ეს ევალება. მე, მაგალითად, თამამად ვლაპარაკობ, რაც ჩემი მიმართულებაა, რელიგიაზე ვსაუბრობ, არა? საგარეო საქმეთა სამინისტრო არსებობს, რომელიც აკეთებს განცხადებებს და არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა მკაფიოდ გამოთქმული პოზიციები. გუშინ, გუშინწინ ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ ძალიან მკაფიო განცხადება გააკეთა, აშკარად ჩანს იქ, რა თქმა უნდა, რუსეთის ჩართულობა და დღეს ითქვა კიდეც, რომ ეს არის ტრაგედია და მე მგონი, პუტინმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ეს ტრაგედია თავიდან იქნეს აცილებული. მაგრამ მაინც სჯობია, როცა მთავრობას ველაპარაკებით. მე საზოგადოების წინაშე ახალგამოჩენილი არ ვარ და არასდროს მერიდებოდა ჩემი მოსაზრებების გამოთქმა, მაგრამ რაკი მთავრობის წევრი ვარ, სჯობია, რომ... მთავრობაში არსებობს სპეციალური მიმართულებები, ხელმძღვანელები, ისინი აკეთებენ განცხადებებს და ეს არის სწორი, ასეც უნდა იყოს.

დამატებით კითხვაზე, „თქვენი აზრით, არის თუ არა ეს რუსეთის აგრესია“, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა უპასუხა: „ასე რომ მისვამთ კითხვას, მე უნდა გაგიშვათ აუცილებლად მთავრობის სხვა წევრებთან, ვინც ვალდებულია, გააკეთოს ეს განცხადება“. ჟურნალისტებმა მისი პირადი პოზიციის დაფიქსირება სთხოვეს, ზაქარეიშვილის განცხადებით კი: „მე მინისტრი ვარ, უკაცრავად, მე არ მაქვს ჩემი პოზიცია ამ შემთხვევაში“.

ისტორიის მთელი ინტრიგა ის გახლავთ, რომ აფხაზებმა თავად სთხოვეს ზაქარეიშვილს ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება, შემდეგ კი მოსკოვთან სარფიანად ივაჭრეს...

უკრაინაში რუსეთის ძალისმიერ შეჭრასთან დაკავშირებით პოზიცია რომ არ გექნება, ეს უკვე ნიშნავს, რომ არ გაქვს საკუთარი აზრი, ან გაქვს და გეშინია პასუხისმგებლობის აღების, ან უბრალოდ წარმოადგენ და ლობირებ რუსულ ინტერესებს, ან გირჩევნია, ისე იყოს, როგორც ცისფერ მთებშია – დაეთანხმო მთავრობაში გამოთქმულ პოზიციას და სულერთია, რა პოზიცია იქნება ეს... მოკლედ, ზაქარეიშვილის პოზიცია სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. ის სუსტი მინისტრია და ცუდია, თუკი მოსკოვი და სოხუმი მას მიუდგება, როგორც სასარგებლო იდიოტს...

„მე მგონი, პუტინმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ეს ტრაგედია თავიდან იქნეს აცილებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შემოგვიერთდით! ძალა ერთობაშია!

კომპანია „ნოვა“ Ice Bucket Challenge-ის აქციაში ერთვება და მეგობარ კომპანიებს იწვევს

Ice Bucket Challenge – მარათონს, რომელმაც ქველმოქმედებისთვის მსოფლიო გააერთიანა, კომპანია „ნოვაც“ შეუერთდა. ყინულიანი წყლის გადასხმის აქცია, კომპანიის დამფუძნებლებმა, სიმბოლურად, 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულს დაამთხვიეს. „ნოვას“ თბილისისა და ბათუმის ფილიალის თანამშრომლებმა ყინულიანი წყალი ოფისების წინ, სახალხოდ გადაისხეს და აქციაში მეგობარი კომპანიები გამოიწვიეს. თანხა „სოლიდარობის ფონდში“ გადაირიცხა. მეტიც, კომპანიის გადაწყვეტილებით, სოლიდარობის ფონდში 500-ლარიანი შენატანი ყოველთვიურად გაკეთდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი ფონდი არაა, რომელსაც კომპანია „ნოვა“ და მისი თანამშრომლები ყოველთვიურ დახმარებას უწევენ.

„ფონდი ივერიისას“ (ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობისთვის შექმნილი ფონდი), „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“-სა და „დიტო ცინცაძის ფონდს“, რომელსაც კომპანია ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვიურად ეხმარება, ახლა უკვე „სოლიდარობის ფონდიც“ შეემატა. კომპანია „ნოვა“ და მისი თანამშრომლები ამ ფონდებში ნებაყოფლობით, ყოველთვიურად რიცხავენ თანხას მათ დასახმარებლად, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, „სოლიდარობის ფონდის“ შექმნა დროული იყო. ისინი ქველმოქმედებისთვის მუდამ მზად არიან და ამ კეთილ საქმეში მეგობარ კომპანიებსაც იწვევენ.

„სოლიდარობის ფონდში“ გაკეთებული შენატანის გარდა, „ყინულიანი წყლის გადასხმის აქციის“ ფარგლებში, კომპანია „ნოვამ“ გადაწყვიტა, გიორგი ჯიშკარიანს დაეხმაროს, რომელსაც დღეს ჩვენი თანადგომა სჭირდება.

კომპანია „ნოვამ“ Ice Bucket Challenge-ის აქციაში გამოიწვია სამშენებლო-საარემონტო კომპანიები: „გორგია“, „პატრიოტი 2006“, „ოცნება“, „ზოდი პლიუსი“ და „ახალი მთვარე“.

ახლა ჯერი მათზეა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ vs „პრაიმტაიმი“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

პირადი ჟურნალისტური პრაქტიკის დაახლოებით ათწლიანი გამოცდილების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ დგას, კლასიკური მაგალითია იმისა, რატომ უნდა მიაქციონ კონკრეტულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება საკითხებს, რომელიც უშუალოდ მათ კომპანიებს ეხება. თემაზე მუშაობისას ჟურნალისტი ყველაზე ხშირად ერთ პრობლემას აწყდება – ორგანიზაციები, კომპანიები ცდილობენ, თავი აარიდონ პასუხების გაცემას, არ გასცენ საჭირო ინფორმაციები, ან სულაც უპასუხოდ დატოვონ სატელეფონო ზარები. მედიასთან ურთიერთობის ასეთი ფორმის შედეგი ყოველთვის „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ანალოგით სრულდება – ისინი პირველ რიგში იმუქრებიან სასამართლოში საჩივრის შეტანით. ცხელ გულზე პროფესიონალ იურისტებთან საკითხის გავლის შემდეგ ხვდებიან, რომ სასამართლო გზა „შებღალულ იმიჯს“ ისევ და ისევ მათი უყურადღებობის გამო ვერ აღადგენს და უკვე შემდეგ იწყებენ ალტერნატიული გზების ძებნას... ეს გზა კი, როგორც წესი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომდე მიდის. შედეგად მათ უწევთ ბევრად მეტი ენერგიის, ყურადღებისა და ნერვების დახარჯვა სტატიის დაბეჭდვის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ ჟურნალისტის თხოვნისთანავე, უბრალოდ, რამდენიმე კითხვას გასცენ პასუხი... გთავაზობთ იმ ბრალდებებს, რომელსაც „ჯიპიაი ჰოლდინგი“ „პრაიმტაიმს“ უყენებს. ბუნებრივია, ჩვენ არც ერთ მათგანს არ ვეთანხმებით და თითოეულზე გვაქვს საკუთარი პასუხი.

ბრალდება #1

„სტატიის დასაწყისშივე ჟურნალისტი, ნებსით თუ უნებლიეთ, ახდენს ფაქტების ინტერპრეტირებას ისე, რომ „დამნაშავედ“ გამოიყვანოს სადაზღვევო კომპანია. ის, რომ დაზღვეულს ოპერაცია მას შემდეგ გაუკეთდა, რაც მამამ თავი მოიკლა, ფაქტია, თუმცა სულაც არ ამტკიცებს კომპანიის ბრალეულობას ტრაგედიაში. ჟურნალისტს არ მოჰყავს ციტატა, არამედ ფაქტად ასაღებს იმას, რომ „ჯიპიაი ჰოლდინგი“ უარს ამბობდა დაფინანსებაზე და თითქოსდა ეს გახდა თვითმკვლელობის მიზეზი. ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტის მიჩქმალვა, რადგან ჟურნალისტი გაეცნო და გამოაქვეყნა კიდეც კომპანიის პოზიცია, რომელშიც სრულიად სხვა ფაქტია მითითებული. ამასთანავე, ეს არის ფაქტებით მანიპულირებაც, რადგან ჟურნალისტი არსად ამბობს, რომ „ჯიპიაი“-ს ოფიციალურ პოზიციას არ ენდობა ან ეჭვი შეაქვს, ან რომ დამატებით დოკუმენტებს საჭიროებს იმისთვის, რომ „ჯიპიაი“-ს პოზიციაში დარწმუნდეს“.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ სტატიაში წარმოდგენილი იყო როგორც ოჯახის წევრის, ასევე სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმისა და მისი ხელმძღვანელის პოზიცია, რომლებიც ადასტურებდნენ, ერთი მხრივ, გადაუდებელი ოპერაციის აუცილებლობას და მეორე მხრივ, ვერსიას, რომ 13 წლის გოგონას მამამ სწორედ იმიტომ მოიკლა თავი, რომ დახმარებაზე უარი განუცხადეს როგორც სადაზღვევო კომპანიაში, ასევე საავადმყოფოში. შესაბამისად, კომპანიის „დამნაშავედ“ წარმოდგენას ვცდილობდი არა მე, ანუ ჟურნალისტი, არამედ ეს გარდაცვლილის მეუღლის მოსაზრება იყო. რაც შეეხება „ჯიპიაი“-ს ოფიციალური პოზიციისადმი ნდობა-არნდობის საკითხს და მით უფრო დამატებითი დოკუმენტების არმოთხოვნას, მე არაერთხელ დავრეკე კომპანიაში, ვითხოვე ინფორმაციის მოწოდება, დაზუსტება და ასევე, ვითხოვდი კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირებას, თუმცა ყველა ჩემი მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მხრიდან იგნორირებულ იქნა. ეს დამტკიცდა კიდეც სატელეფონო საუბრების ჩანაწერების ამოღებით, რომელიც თავად სადაზღვევო კომპანიამ უზრუნველყო და ჩვენთან საუბარში დაადასტურა კიდეც. შესაბამისად, საუბარი ზედმეტია დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნაზე, მაშინ როდესაც კომპანიამ უარი განაცხადა ჩვენთან თანამშრომლობაზე და ინფორმაციის დამალვის მიზეზად დაასახელა ის, რომ მე არ ვიყავი ირინა ქარჩხაძის ოჯახის წევრი, თუმცა მათ უფლება არ ჰქონდათ, ჟურნალისტისთვის ინფორმაცია დაემალათ.

ბრალდება #2

„ჟურნალისტი აცხადებს: „მართალია, ქარჩხაძეების ოჯახს საჩივარი არ დაუწერია „ჯიპიაი“-ს სახელზე, მაგრამ ფაქტია, რომ მერაბ ქარჩხაძის თვითმკვლელობის შემდეგ გოგონას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და დღეს ის ჯანმრთელია, თუმცა დაობლებული“. ამ დაასკვნით ჟურნალისტი კიდევ უფრო ამყარებს თავის პოზიციას მკითხველის თვალში, რომ კომპანიაა დამნაშავე ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიაში. მსგავსი მძიმე ბრალდების უაპელაციოდ ტირაჟირება კომპანიის ოფიციალური პოზიციისა და ფაქტების უგულებელყოფით და მხოლოდ რესპონდენტთა ნაამბობზე დაყრდნობით, გვაფიქრებინებს, რომ სახეზეა ჟურნალისტის მხრიდან ფაქტების განზრახ დამახინჯება და ფაქტებით მანიპულირება“.

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ თავისივე საჩივარ-წერილში ადასტურებს, რომ ოპერაცია გოგონას მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ გაუკეთდა, რაც ბავშვის მამამ თავი მოიკლა. ეს ფაქტია და, შესაბამისად, სტატიაშიც ფაქტის სახით არის მოყვანილი და არა რაიმეს გასამყარებლად. თუმცა ბრალდების მეორე ნაწილში სადაზღვევო კომპანია ღიად ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ ჟურნალისტმა უაპელაციოდ და კომპანიის ოფიციალური პოზიციის უგულებელყოფით დაბეჭდა ინფორმაცია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მასალის წერის პროცესში არაერთხელ დავრეკე კომპანიაში და ვითხოვე, როგორც ინფორმაციის მოწოდება, ასევე ახსნა, რატომ არ დაუფინანსდა ოპერაცია 13 წლის ირინა ქარჩხაძეს დროულად, რაზეც კომპანიამ პასუხი არ გამცა და ყოველ ჯერზე სხვადასხვა მიზეზით მოახდინა კითხვების იგნორირება. რაც შეეხება: რესპოდენტების ნაამბობზე დაყრდნობით“ დაწერას, ჩემი რესპონდენტები იყვნენ გარდაცვლილი ადამიანის მეუღლე, ანუ დაზარალებული ბავშვის დედა, რომელიც დეტალურად აღწერდა, რა სირთულეებს წააწყდა კომპანიასთან ურთიერთობაში, როგორ და რამდენჯერ ეთქვა მას უარი დახმარებაზე და ასევე, ჩაწერილი მყავს სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმი, რომელიც ორჯერ იმყოფებოდა ირინა ქარჩხაძესთან სახლში და სასწრაფო დახმარების მთავარი ექიმი, რომელმაც დოკუმენტურად დაადასტურა, რომ დასკვნაში მითითებულია გადაუდებელი ოპერაციის საჭიროება. შესაბამისად, ბავშვის დედისა და სასწრაფოს ექიმის მიერ გადმოცემულ ფაქტებს ვერანაირად ვერ შევაფასებ „ფაქტების განზრახ დამახინჯებად და ფაქტებით მანიპულირებად“, როგორც ამას „ჯიპიაი ჰოლდინგი“ უწოდებს.

ბრალდება #3

„ჟურნალისტის სუბიექტური შეფასებებითა და მსხვილი შრიფტით თვალსაჩინოდ გამოტანილი ქვესათაურით გაზეთი ცდილობს, მოახდინოს ფაქტებით მანიპულირება და განზრახ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში“.

ჩემ მიერ სტატიაში მოყვანილია არა შეფასებები, როგორც ამას „ჯიპიაი ჰოლდინგი“ აღნიშნავს, არამედ ფაქტები, რომლებიც გამყარებულია დაზარალებული მხარის, ამ შემთხვევაში ბავშვის დედის ინტერვიუთი, ერთი მხრივ, და ჟურნალისტმა და ერთმნიშვნელოვნად დაასკვნა კომპანიის ბრალეულობა. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტმა მიჩქმალა მნიშვნელოვანი ფაქტი“.

ერთადერთი, რაშიც კომპანიას ვეთანხმები, არის ის, რომ მათ მიერ საჩივრის წერილში წარმოდგენილი ახსნა-განმარტება ნამდვილად მნიშვნელოვანია და მე მათგან სწორედ აღნიშნული ინფორმაციის მიღებას ვცდილობდი სტატიაზე მუშაობის პროცესში, თუმცა, მიუხედავად ჩემი არაერთი მცდელობისა, ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიისგან მაინც ვერ მივიღე. შესაბამისად, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მე რაიმე ინფორმაცია მივჩქმალე. რაც არ მქონდა, იმას ვერც მივჩქმალავდი, ვფიქრობ, ამას ბევრი მტკიცებაც არ სჭირდება. მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა, „პრაიმტაიმის“ აღნიშნულ სტატიაში კომპანიის ოფიციალური პოზიცია მაინც დაიბეჭდა. ოფიციალური განცხადება კომპანიამ მხოლოდ მას შემდეგ გაავრცელა, როცა საქმეს რეზონანსი მოჰყვა და სადაზღვევოს პოზიციით სხვა მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. შეიძლება ითქვას, კომპანიის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადების სტატიაში ჩადება ჩვენი მხრიდან უფრო კეთილი ნების გამოხატულება იყო, ვიდრე ვალდებულება, რადგან პირადად „პრაიმტაიმის“ კითხვებს კომპანიაში ორი დღის განმავლობაში აიგნორებდნენ.

ბრალდება #4

„ირინა ქარჩხაძემ ლავიწის ძვალი მოიტეხა 18 მარტს. 19 მარტს მიმართა ქუთაისის საავადმყოფოს, სადაც მკურნალმა ექიმმა ჩათვალა, რომ ოპერაციის ჩატარება არ იყო მიზანშეწონილი სამედიცინო თვალსაზრისით და დაფინანსების მოთხოვნაში ასეც დააფიქსირა, რომ ოპერაციის ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა 5 დღის გასვლის შემდეგ. მოზარდის მამამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 21 მარტს – იმ პერიოდში ოპერაციის ჩატარება არც იყო შესაძლებელი სამედიცინო თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვანია ამ მოვლენის შეფასებისას, თუმცა არ გაითვალისწინა ასევე, ექიმის წერილობითი დოკუმენტით. შესაბამისად, ეს ყველაფერი არის ფაქტების კონსტატაცია.

ბრალდება #5

„დარღვეულია მე-10 და მე-8 მუხლიც: საზოგადოებისთვის თვალსაჩინო გახდა ერთი კონკრეტული ოჯახის შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება პირად ცხოვრებაში შეჭრად ჩაითვალოს – მსგავსი დეტალების გასაჯაროებამ შეიძლება კიდევ უფრო დიდი ტრავმა მიაყენოს მოზარდს და მის გარშემო შექმნას არაჯანსაღი აჟიოტაჟი“.

როგორც ჩანს, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ შეცდომაშია შეყვანილი, ან მათ, უბრალოდ, წაკითხული არ აქვთ სტატია, რომელზეც დაობენ, რადგან პირად ცხოვრებაში შეჭრად ითვლება მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც ადამიანის პირად ინფორმაციას ბეჭდავ და ასაჯაროებ მისი ნებართვის გარეშე. რაც შეეხება ჩემს სტატიას, მასში მოყვანილია დაზარალებული ბავშვის დედის ინტერვიუ, ბუნებრივია, მისი ნებართვით მოპოვებული. რაც შეეხება არაჯანსაღ აჟიოტაჟს, მიმაჩნია, რომ მსგავსი ფაქტები სწორედაც რომ ყოველთვის უნდა გახდეს საზოგადოების განხილვის საგანი, რადგან მომავალში კვლავ არ მოხდეს უმწეოთა უფლებების დარღვევა, მით უფრო, ისეთი კომპანიების მიერ, როგორიც „ჯიპიაი ჰოლდინგია“.

„პრაიმტაიმი“ ხელახლა ბეჭდავს ხუთი თვის წინათ გამოქვეყნებულ სტატიას იმის დასტურად, რომ მასში ყველა მხარის პოზიცია იყო წარმოდგენილი. იხილეთ შემდეგ გვერდზე.

PRIME Time

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ჯიპიაის“ მხრიდან 2 000 ლარის დაზოგვის გამო, მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

39 წლის მერაბ ქარჩხაძემ თვითმკვლელობა მას შემდეგ დაგეგმა, როცა საკუთარი შესაძლებლობების ყველა რესურსი ამოწურა. გადაწყვეტილებაზე ზუსტად ორი დღე იფიქრა და შვილის ოპერაციისთვის საჭირო ფულის შეგროვების სხვა ალტერნატივა ვერ დაინახა. მეუღლე მეზობელთან გაუშვა და თავი საკუთარ ეზოში, საკუთარი ხელით გაკეთებულ ვენახის ხეივანზე ჩამოიხრჩო...

მერაბ ქარჩხაძე

13 წლის ირინას ოპერაცია სწორედ ამ უბედური შემთხვევის შემდეგ გაუკეთდა. სადაზღვევო კომპანია დღეს ირწმუნება, საკუთარი პროცედურების მიხედვით ვმოქმედებდით და უარის თქმა არც გვიფიქრიაო, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის უარის თქმის უფლება სადაზღვევოს არ ჰქონდა. თუმცა ფაქტია, თვითმკვლელობამდე მერაბ ქარჩხაძემ და მისმა მეუღლემ დასახმარებლად არაერთხელ მიმართეს და ყოველ ჯერზე პასუხად უარს იღებდნენ.

ირინამ ლავინის ძვალი მეგობრის დაბადების დღეზე, ცეკვისას მოიტეხა. აუტანელი ტკივილების გამო, გოგონა დედამ მეორე დილითვე წაიყვანა ქუთაისის საავადმყოფოში. საყოველთაო დაზღვევის უმწეოთა პროგრამაში ყოფნის მიუხედავად, დედა-შვილს ქუთაისი-ვანის საავადმყოფოებში ზუსტად ერთი კვირის განმავლობაში ამისამართებდნენ. საბოლოოდ მოტეხილობაც დაუდგინდა, თუმცა მკურნალმა ექიმმა ოპერაცია რატომღაც გადაუდებელ აუცილებლობად არ ჩათვალა და სახლში გაუშვა. აუტანელი ტკივილების გამო ირინასთვის სასწრაფოს გამოძახება ორჯერ დასჭირდათ. სასწრაფოს ექიმიც გამაყუჩებლის გაკეთებით დროებით უჩერებდა ბავშვს ტკივილს. ამ პერიოდის განმავლობაში მერაბ ქარჩხაძე ჯერ საავადმყოფოებში ცდილობდა გამოსავლის პოვნას, მოგვიანებით კი, ფულის შეგროვება გადაწყვიტა და დასახმარებლად ნათესავებს მიმართა. ირინას ოპერაციისთვის ზუსტად 2 ათასი ლარი იყო საჭირო.

ლია ქარჩხაძე, დაღუპულის მეუღლე:

– ბავშვი იყო ამხანაგის დაბადების დღეზე, ცეკვის დროს დაეცა იატაკზე, ეს მოხდა 18 მარტს. არ მეგონა, მოტეხილობა თუ ჰქონდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც წავედით ქუთაისში. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ბევრჯერ მოგვიწია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია. როდესაც ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო. ოპერაცია გაუკეთდა ხუთი დღის შემდეგ, ანუ ორ აპრილს. თავიდან, როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში.

– რა მიზეზით გაგიშვეს უკან?

– არ ვიცი, არაფერი არ აუხსნიათ, უბრალოდ, გვითხრეს, აქ არ უნდა მოსულიყავითო.

– ვანში რა გითხრეს?

– ვანში ოპერაციები არ კეთდება, არ არის საჭირო აღჭურვილობა.

– ახლა როგორ არის ირინა?

– ახლა კარგად არის უკვე. ყველაფერი გაუკეთდა.

– მეუღლეზე გვითხარით, როდის მოიკლა თავი?

– ჩემმა მეუღლემ თავი 21 მარტს მოიკლა.

– ანუ ირინას ოპერაცია მას შემდეგ დაუფინანსეს, რაც თქვენმა მეუღლემ თავი მოიკლა?

– დიახ, ასე გამოვიდა. ჩემმა ქმარმა თავი რომ მოიკლა, შემდეგ გაუკეთეს ირინას ოპერაცია. ჩემი მეუღლე ძალიან ნერვიულობდა, რომ ბავშვს ვერაფერს ვუკეთებდით. იმ დღეს, სანამ თავს მოიკლავდა, საღამოს 10 საათი იქნებოდა, მითხრა, გადადი მეზობელთან, ილაპარაკე და ცოტა ხანში გადმოდიო. არ მივდიოდი, მაგრამ დამაძალა. ალბათ, სულ 20 წუთი ვიყავი გასული სახლიდან. როცა დაბრუნდი, უკვე კარგად ბნელოდა და დავინახე ეზოში, ვენახის ტალავერზე რაღაც იყო ჩამოკიდებული. შორიდან ვერ გავარკვიე, რა იყო, შემეშინდა და მეზობელს დავუძახე. მეზობელი გადმოვიდა და ერთად ვნახეთ, რომ ჩემი მეუღლე ეკიდა თოკზე. უკვე დაღუპული იყო...

– მანამდე არ მიმართეთ ან გამგეობას, ან ჯანდაცვის სამინისტროს?

– დავდიოდით ქუთაისისა და ვანის საავადმყოფოებში, მაგრამ არც ერთის მხრიდან იმედისმომცემს არაფერს გვეუბნებოდნენ. დაღუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო. მანამდე ნათესავებსაც დავურეკეთ მოსკოვში, ყველას ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ არავინ დაგვეხმარა.

მერაბ ქარჩხაძის დაკრძალვიდან ზუსტად მესამე დღეს ირინა და დედამისი ქუთაისის „ჯეოჰოსპიტალის“ საავადმყოფოში მოათავსეს და მეოთხე დღეს ბავშვს ოპერაცია გაუკეთდა. თუმცა სასწრაფოს ექიმმა პირველივე გამოძახებისას დაადასტურა, რომ გოგონას გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა.

ნაირა კიკაბიძე, სასწრაფოს ექიმი:

– მე როცა გამომიძახეს, ბავშვი უკვე ნამყოფი იყო ქუთაისის საავადმყოფოში. მწვავე ტკივილების გამო მოხდა ჩვენი გამოძახება, ჩვენ ადგილიდან დავრეკეთ „ჯიპიაიში“, ვთხოვეთ, იქნებ როგორმე დააფინანსოთ დროულად-თქო, თუმცა პასუხი იყო, რომ ათი დღე მაინც უნდა გავიდესო. ძვლის მოტეხილობა იყო. რატომ არ დააფინანსა სადაზღვევომ, არ ვიცი. ბავშვს საშინელი ტკივილები ჰქონდა. გავუყუჩეთ და წამოვედით. ჩვენს სასწრაფოს ქუთაისში გადაყვანის უფლება არ აქვს, შესაბამისად, ჩვენ მეტის გაკეთების უფლება არც გვქონდა.

– თქვენი გამოძახების დროს ბავშვის მამა სახლში იმყოფებოდა?

– კი, მამა იქ დაგვხვდა, ძალიან ნერვიულობდა, განიცდიდა. ჩვენი წამოსვლიდან ორი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ თავი მოუკლავს ბავშვის მამას. ამაზე მთელი ვანი ლაპარაკობდა.

ირინა ქარჩხაძე „ჯიპიაის“ უმწეოთა დაზღვევის პროგრამაში იყო. შესაბამისად, სადაზღვევოს არანაირი უფლება არ ჰქონდა, ოპერაციაზე უარი ეთქვა. თუმცა კომპანია აცხადებს, რომ მომართვაში არ იყო მითითებული გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა. ამით „ჯიპიაი“ საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს და სრულ პასუხისმგებლობას ვანის სასწრაფო დახმარების ცენტრს აკისრებს. სასწრაფო დახმარების ცენტის ხელმძღვანელის, მაკა ზარნაძის განცხადებით, ქარჩხაძეების ოჯახმა სასწრაფო დახმარება პირველად 20 მარტს გამოიძახა და სწორედ ამ დღეს შევსებულ ბარათზე დეტალურად წერია მორიგე ექიმის მიმართვა „ჯიპიაის“ მიმართ – რაც შეიძლება დროულად გაუკეთდეს გოგონას ლავიწის ძვლის ოპერაცია.

მაკა ზარნაძე, ვანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მენეჯერი:

– 20 მარტს გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ტკივილის გამო. მივიდა ბრიგადა ადგილზე, დახმარება აღმოუჩინა, მოახდინა ტკივილის გაყუჩება და შესთავაზა საავადმყოფოში გადაყვანა. პატრონისგან მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ ქუთაისის საავადმყოფოში ბავშვი სწორედ წინა დღით ჰყავდათ. ოჯახი ელოდებოდა დაფინანსებას სადაზღვევოსგან. სასწრაფოს მისია და მისი

„ერთი კვირის განმავლობაში ბევრჯერ მოგვიწია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია“



როგორ მუშაობს სადაზღვევო კომპანია უმნეოთათვის და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ვანში მომხდარ ტრაგედიაზე

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამის ტრაგედია

ადგილი, სადაც მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

„როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში“



ნაირა კიკაბიძე
სასწრაფო დახმარების
თანამშრომელი

„დაღუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო“

ირინე ქარჩხაძე

ჩართულობა ამ საქმეში იყო მხოლოდ ეს. ჩვენ მეტი შეხება ამ საქმესთან არ გვქონია.

– როდესაც ოჯახმა უარი განაცხადათ საავადმყოფოში გადაყვანაზე, ხელწერილის დაწერა არ მოსთხოვეთ?

– არა, რადგან სასწრაფო გამოძახებული იყო ტკივილის გასაყუჩებლად. ანუ ოჯახს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ტკივილგამაყუჩებელი ეყიდა.

– სასწრაფოს ექიმს არ დაუდგენია, რომ ბავშვს გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებოდა?

– სასწრაფოს ექიმი არ ადგენს, გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება თუ არა პაციენტს. გარდა ამისა, ექიმმა ბავშვის დედისგან მიიღო ინფორმაცია, რომ წინა დღეს იყვნენ საავადმყოფოში, გადაღებული ჰქონდათ რენტგენი და ხელში ეჭირათ პასუხიც. ისინი, უბრალოდ, დაფინანსებას ელოდებოდნენ. მე ექიმსაც ველაპარაკე და მითხრა, რომ მან ბარათში დეტალურად ჩაწერა, როგორ მოიქცა: ადგილზე მისულმა ექიმმა დაურეკა „ჯიპიაის“ წარმომადგენელს, ასევე დარეკა სამინისტროს ცხელ ხაზზე და შეატყობინა აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიუთითა, რომ ნამლის ზემოქმედების გავლის შემდეგ ბავშვს კვლავ დაეწყებოდა ტკივილები, ამიტომ თხოვნით მიმართა სადაზღვევოს, რომ იქნებ ოპერაცია დაეჩქარებინათ. ეს ყველაფერი დეტალურად აქვს მითითებული ბრიგადის ექიმს ბარათზე.

რეალურად კი, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, „ჯიპიაი“ შეეცადა, ზედმეტი ხარჯები თავიდან აეცილებინა, რადგან მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან კომპანია უმწეოთა დაზღვევის პროგრამიდან საერთოდ გადიოდა. ანუ მისი მოვალეობის შესრულების ამოწურვამდე სულ ათიოდე დღე იყო დარჩენილი. 2 ათასი ლარის დაზოგვის გამო საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა, იმ მიზნით, რომ იგივე ვალდებულებას პირველი აპრილიდან უკვე სახელმწიფო აიღებდა. თუმცა კომპანიას უარის თქმის უფლება არ ჰქონდა.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაიმ“ თავდაპირველად კომენტარზე უარი განაცხადა. მოგვიანებით კი განცხადება გაავრცელეს, სადაც დაწვრილებით ხსნიან საკუთარ ნაბიჯებს: „ირინა ქარჩხაძე დაზღვეულია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. ირინას ოჯახმა გეგმური ოპერაციის მოთხოვნით მოგვმართა 2014 წლის 19 მარტს. საქმე ეხებოდა მოტეხილობის მკურნალობას და კლინიკისგან იყო მომართვა არა გადაუდებელ, არამედ გეგმურ ოპერაციაზე, რადგან სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო იყო ქსოვილების შეშუპების ჩაცხრობა ოპერაციის ჩატარებამდე. კომპანიის მიერ უმოკლეს ვადაში გაიცა საგარანტიო მოთხოვნილი თანხის 100%-ით დაფინანსებაზე. საგარანტიოს საფუძველზე დაზღვეულს ოპერაცია ჩაუტარდა 30 მარტს ქუთაისის ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში და ამჟამად გაწერილია ბინაზე. ოჯახს რაიმე სახის პრეტენზიით არც ოპერაციის ჩატარებამდე და არც შემდეგ ჩვენთვის არ მოუმართავს“.

მართალია, ქარჩხაძეების ოჯახს არც ჯანდაცვის სამინისტროსთვის მიუმართავს დაფინანსების თხოვნით და არც საჩივარი დაუწერია „ჯიპიაის“ სახელზე, მაგრამ ფაქტია, მერაბ ქარჩხაძის თვითმკვლელობის შემდეგ გოგონას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და დღეს ის უკვე ჯანმრთელია, თუმცა დაობლებული...

აღნიშნული ფაქტით ვანის პოლიციის სამართველო დაინტერესდა და რამდენიმე დღის წინ სასწრაფოს ექიმი, რომელიც ირინა ქარჩხაძის გამოძახებაზე იმყოფებოდა, დაიკითხა.

ნაირა კიკაბიძე, ვანის სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმი:

– დაკითხვაზე წამიყვანეს, დეტალურად გამომკითხეს, რა მოხდა იმ დღეს, როდესაც ჩვენ ირინე ქარჩხაძის გამოძახებაზე ვიმყოფებოდით. ყველაფერი დეტალურად მოვყევი. ვუთხარი, რომ ჩვენ ვნახეთ ბავშვი და მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამამ თავი მოიკლა. ეს ყველამ იცოდა, თუმცა დეტალები მე ნამდვილად არ ვიცოდი. მითხრეს, რომ მეტჯერ აღარ მომიწევს სამმართველოში მისვლა.

ნაირა კიკაბიძე დაკითხვაზე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

„ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ღვინის ტურიზმი“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა

ნანა შონია

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია „ღვინის ტურიზმის“ პოპულარიზაციის საქმეში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველწლიურად, არა ერთ ღონისძიებას გეგმავს. ადმინისტრაციის ინიციატივით, შემუშავდა სპეციალური რუკა, სადაც „ღვინის ტურიზმით“ დაინტერესებული ადამიანებისთვის ყველა ინფორმაციაა. „ღვინის ტურიზმი“ ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა იმ საერთაშორისო გამოფენებში, რომელშიც ტურიზმის ადმინისტრაცია მთელი წელი მონაწილეობს.

რამდენად პრიორიტეტულია „ღვინის ტურიზმი“ საქართველოსთვის? რაოდენ დიდია დაინტერესება უცხოელების მხრიდან უშულოდ ამ პროდუქტის მიმართ, ამაზე „პრაიმტაიმთან“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე მედეა ჯანაშვილი საუბრობს.

მედეა ჯანაშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე: - „ღვინის ტურიზმი“ საქართველოსთვის ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული პროდუქტია. ღვინო ქართული კულტურის ნაწილია და საქართველო ღვინის სამშობლოდ მიიჩნევა, ამას მოწმობს ის არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელთაც ასწლოვანი ისტორია აქვს. ღვინო კომბინირებულია კულტურასთან, სუფრის ტრადიციას ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. შესაბამისად, ბოლო სამი წელია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობას. მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავატარეთ ინვენტარიზაცია და „ღვინის ტურიზმით“ დაკავებული ობიექტები აღვწერეთ. ეს ყველაფერი სამ კატეგორიად დაიყო, ესენია: ღვინის მარნები, ქვევრი და სამონასტრო ღვინო. თქვენ იცით, რომ საქართველოში რამდენიმე მონასტერს თავისი მარანი აქვს და ბერები ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციებს იქ დღემდე ინარჩუნებენ. ეს ობიექტები, რამდენიმე კრიტერიუმით შეფასდა, პირველი, ეს არის ღვინის ხარისხი, მეორე, რამდენად არიან ისინი მზად ტურისტის მისაღებად და როგორ მომსახურებას სთავაზობენ. ამ ინვენტარიზაციის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა ამ ობიექტების და მათი მეპატრონეების, იქ მომუშავე ადამიანების ტრეინინგი, რომ, რაც შეიძლება უკეთ შეიფუთოს ტურისტამდე მისატანი ღვინის პროდუქტი; სააღრიცხვო ობიექტებს დაუმზადდათ და დაუმონტაჟდათ ეს მანიშნებლები. ამ პროექტს კი, მთელი საქართველოს მასშტაბით, „ღვინის გზა დაერქვა“. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, შემუშავებულ იქნა ღვინის ტურისტული რუკა, რომელზეც ყველა ობიექტია დატანილი და ამ ობიექტების მეშვეობით შესაძლებელია მივიღოთ მინიმალური ინფორმაცია. ამ რუკის გავრცელება ხდება ჩვენი საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით და იმდენად მარტივი მოსახმარია, რომ ნებისმიერ ტურისტს შეუძლია ამის საშუალებით მაქსიმალური ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ საერთაშორისო ბაზარზე „ღვინის ტურიზმის“ პოპულარიზაციის კუთხით. წლის განმავლობაში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უამრავი გამოფენა აქვს დაგეგმილი და ყველა ამ გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული ღვინო, როგორც ერთ-ერთი პროდუქტი ქვეყანაში ტურისტების მოსაზიდად. გარდა ზემოაღნიშნულისა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებისთვის და აქ ჩამოსული ტურისტებისთვის აწყობს გაცნობით ტურს. რომლის მთავარი მიზანია, საქართველოს პოტენციალის გაცნობა. ამ ტურების მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ, რომ „ღვინის ტურიზმი“ გახდეს მათთვის მაქსიმალურად ცნობილი. უამრავ ღონისძიებას ვგეგმავთ, წლის განმავლობაში რამდენიმე ფესტივალს ვატარებთ. ტრადიციულად კი გვაქვს ღვინის ფესტივალი. მეტი მასშტაბურობისთვის კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სტრუქტურების მიერ დაგეგმილ ფესტივალებში, რათა ეს ყველაფერი მეტად მასშტაბური გახდეს და სულ უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს მასში ჩართვის შესაძლებლობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2014 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ღვინის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც წლის მოვლენას წარმოადგენდა, რადგან აქ თავს იყრის ღვინის ინდუსტრიაში ჩართული ყველა მხარე. კონფერენცია სამეცნიერო ხასიათსაც ატარებს და ინფორმაციის გაცვლა ხდება, „ღვინის ტურიზმის“ სფეროში არსებული სიახლეების შესახებ; აქ ასევე, უშუალოდ „ღვინის ტურიზმით“ დაკავებული ტუროპერატორების ერთმანეთთან შეხვედრა და დაკავშირება ხდება. 2013 წელს ეს კონფერენცია ხორვატიაში ჩატარდა. მაშინ საქართველომ ამაში მონაწილეობა იმის გამო მიიღო, რომ 2014 წელს ამ ღონისძიებისთვის გვემასპინძლა; წელს კი, მარტის თვეში, საქართველომ უმასპინძლა ამ ღონისძიებას და დაახლოებით 30-ამდე ქვეყნიდან გვყავდა სტურმები.

- ძირითადად რომელი ქვეყნები არიან დაინტერესებული საქართველოში „ღვინის ტურიზმით“?

- იმდენად, რამდენადაც საქართველოში ბევრი ახალი ტურისტული მიმართულებაა, ღვინის ტურიზმი კი ერთ-ერთი წამყვანია, ცალსახად დაინტერესებული ქვეყნების გამოყოფა ძნელია. ფაქტია, რომ მის მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში, თავი რომ დავანებოთ უკრაინას, რუსეთს და სხვა მეზობელ სახელმწიფოებს. ძირითადი კი მაინც ის არის, რომ ჩვენ მაქსიმალური ინფორმაციის მისაწვდომობა უნდა უზრუნველვყოთ, როგორც კერძო სექტორისთვის, ასევე ინდივიდუალური ტურისტებისთვის. უშუალოდ ღვინის ტურისტული პროდუქტის შემთხვევაში ეს გამოიხატება ბეჭდვით, სარეკლამო მასალებში, რგოლებში, ვებგვერდებში და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია „ღვინის ტურიზმის“ ინდუსტრიაში ჩართული კერძო სექტორის მომსახურების ხარისხის გაზრდა, როგორც ტრეინინგებით, ასევე ვიზუალური კუთხით.

- ამაში კერძო კომპანიები, მეღვინეებიც თუ არიან ჩართული?

- რა თქმა უნდა, ტრეინინგებში ზუსტად ეს სეგმენტი იყო ჩართული. აქ კი უნდა გაიმიჯნოს, რამდენად არიან ჩართული ის სუბიექტები, რომლებსაც უშუალოდ „ღვინის ტურიზმში“ ჩართვის სურვილი აქვთ. ეს შეიძლება იყოს დიდი საწარმო. ჩვენი ამოცანაა, რომ „ღვინის ტურიზმის“ ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანებს შევუწყოთ ხელი, რათა განავითარონ სერვისი.

- რა გათვლები გაქვთ, დაახლობით რა პერიოდია საჭირო იმისთვის, რომ „ღვინის ტურიზმი“ რეალურად მომგებიანი გახდეს სახელმწიფოსთვის?

- „ღვინის ტურიზმი“ ერთ-ერთი ძვირადღირებული ტურისტული პროდუქტია, არა მატრო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამდენად, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი კარგად განვითარება. ღვინის ფესტივალი არის საუკეთესო საშუალება იმისა, რომ უშუალოდ მომხმარებელმა და მიმწოდებელმა კონკრეტული ურთიერთობები დაამყარონ. ეს, ძირითადად, შიდა ბაზარზეა მიმართული. რა თქმა უნდა, ამას უცხოელი ტურისტი უნდა დაეწროს, მაგრამ ამოსავალი წერტილი აქ ის არის, რომ შიდა ბაზარზე, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოვანდომოთ ჩვენი პროდუქტი. აქ მონაწილეობენ უშუალოდ ღვინის მწარმოებლები, კერძო მარნები, ისინი, ვისაც სურვილი აქვთ ღვინის ინდუსტრიაში ჩაერთონ და ტურისტს თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ; ეს შეიძლება იყოს ღვინის დეგუსტაცია და ა.შ. ზოგადად კი, თუ ყოველ წელს გადავავლებთ თვალს, უფრო და უფრო მასშტაბური ხდება ეს ფესტივალი. უფრო მეტი ადამიანი ერთვება მასში. თავიდან ერთი რეგიონით დავიწყეთ, ახლა კი ყველა რეგიონია ამაში ჩართული.

- რომ გვითხრათ, უახლოს მომავალში „ღვინის ტურიზმის“ პოპულარიზაციის კუთხით რა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას?

- ძალიან მალე იქნება „ღვინის ტურიზმის“ ახალი კატალოგი, რომელშიც თავმოყრილი იქნება მსუყე ინფორმაცია „ღვინის ტურიზმისა“ და ღვინის სექტორში ჩართული კერძო პირების შესახებ; ეს კატალოგი „ღვინის ტურიზმით“ დაინტერესებულ ყველა პირს საშუალებას მისცემს სათანადო ინფორმაცია მიიღოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სქაი ბარის“ დიჯეის მკვლელობის დეტალები

„დაჩის სისხლი სდიოდა. ჭრილობა ძალიან ღრმა იყო. შველას ითხოვდა. „მიშველეთ, მიშველეთ“, – ამბობდა დაჩი. დაჭრილი მინისქვეშა გადასასვლელთან ახლოს დავაწვინეთ. სასწრაფო გამოვიძახეთ. საავადმყოფოშიც მე გავყევი, მიყვანიდან 10 წუთში გარდაიცვალა“

სალომე გოგოხია

გასულ კვირას თბილისში 35 წლის დიჯეი და რეჟისორი დაჩი დარჩია მოკლეს. მკვლელობა „სქაი ბარი“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც დარჩია მუშაობდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი 20 წლის მიხეილ გ. შსს-მ შემთხვევის ადგილზე დააკავა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით (108-ე) არის აღძრული.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული წარსულში ნასამართლევია. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მკვლელობის ღამეს, „სქაი ბარში“ იმყოფებოდა მიხეილ გ. რომელმაც დიჯეი დაჩის კონკრეტული მუსიკალური კომპოზიციის შესრულება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამაზე მიხელ გ. განაწყენდა. მოგვიანებით, დაახლოებით ღამის 3 საათზე, დაჩი დარჩია გარეთ გავიდა და სომხური ეკლესიის მიმართულებით წავიდა. მას თან გაჰყვა მიხეილ გ-ც, რომელმაც ზურგში დანა ჩაარტყა. დაჭრილი დაჩი კვლავ „სქაი ბარისკენ“ მიბრუნდა, გზად შველას ითხოვდა. იქვე მყოფმა დაცვის პოლიციამ დაჭრილი მინისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე დაანწვინა, ხოლო დამნაშვე დააკავეს. სამწუხაროდ, დარჩიას გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-ს ოფიციალური ვერსიით მკვლელობის მიზეზი ურთიერთშელაპარაკება გახდა.

დაჩის ზოგიერთი მეგობრის ვერსიით კი, სავარაუდოდ, დამნაშავეს დაჩის დაყაჩაღება უნდოდა და შემოაკვდა.

მოკლულის ოჯახი და მეგობრები აცხადებენ, რომ ისინი არ იცნობენ დამნაშავეს. იქვე დასძენენ, რომ დაჩის მხრიდან რაიმე კონფლიქტი და ჩხუბი წარმოუდგენელი იყო, რადგან მას უკონფლიქტო, მშვიდ და მეგობრულ პიროვნებად ახასიათებენ.

დაჩის ახლო მეგობარი, ლინა დოლიძე: „მე როგორც გავიგე, სამსახურიდან გამოსულა და ვიღაც 20 წლის ბიჭთან შელაპარაკება მოუვიდა. არ ვიცი იმ ბიჭს იცნობდა თუ არა. დაჩის მტრები არ ჰყოლია, ის უკონფლიქტო ადამიანი იყო. არავისთან დაპირისპირება არ ჰქონდა. მას საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ასეთი ადამიანი მის გვერდით ვერ იქნებოდა. რამდენიმე კრიმინალს იცნობდა, მაგრამ მათაც კი დაჩის რიდი ჰქონდათ, უყვარდათ. ალბათ, ვიღაც უცხო იყო, შეიძლება დაჩის დაყაჩაღება უნდოდა და შემოაკვდა. ღამის სამ საათზე მოხდა ეს ამბავი. ვინმე მიხეილია, გვარი არ ვიცი. ბოდიში ასეთი სიტყვისთვის და ვიღაც დეგენერატმა ხელიდან გამოგვაცალა ასეთი ადამიანი“.

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა გარდაცვლილის დას, გედა დარჩიას, რომელმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცის.

„არ ვიცით ის ბიჭი ვინ იყო. როგორც გავიგეთ, დაჩი სიგარეტის საყიდლად გადასულა სომხური ეკლესიის მხარეს და იქ მოხდა ეს ამბავი. დანა ჩაარტყა. რისთვის, რატომ, არ ვიცი. დაჩი ძალიან უკონფლიქტო ადამიანი იყო....“- გვითხრა დაჩის დამ.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „სქაი ბარის“ დირექტორმა **დავით კვირტიამ:** „ღამის 4 საათი იყო დაწყებული, მუშაობა დავამთავრეთ და დაჩი სახლში წავიდა. ავლაბრის მეტროსთან სიგარეტი უყიდია და იქვე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაღთან ტაქსის გასაჩერებლად გადავიდა. ამ დროს იქ ვიღაც დახვდა. ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი. დაჩისთვის ზურგის არეში დანა ჩაურტყამს, დაჭრილი ისევ „სქაი ბარისკენ“ წამოვიდა. დაჩის სისხლი სდიოდა. ჭრილობა ძალიან ღრმა იყო. შველას ითხოვდა. „მიშველეთ, მიშველეთ“, – ამბობდა დაჩი. დაჭრილი მინისქვეშა გადასასვლელთან ახლოს დავაწვინეთ. სასწრაფო გამოვიძახეთ. საავადმყოფოშიც მე გავყევი, მიყვანიდან 10 წუთში გარდაიცვალა. ხელებში ჩამაკვდა. როგორც გავიგე, არტერია ჰქონდა გადაჭრილი. დაცვის პოლიცია მოდიოდა და ის ბიჭი ადგილზე დააკავეს“.

როგორც კვირტიამ აღნიშნა, ბარში კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

„ის (დაკავებული) ჩვენს ბარში არ ყოფილა. თუ სამართალდამცველები დაინტერესდებიან, სათვალთვალო კამერებიდან ყველა სტუმრის ნახვა შეუძლიათ“. – ამბობს ბარის დირექტორი.

დაჩი დარჩია წარმოშობით გურიიდან იყო. ის დედასთან და დასთან ერთად თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მამა ადრე გარდაეცვალა. ბოლო რვა წლის მანძილზე დაჩი „სქაი ბარში“ დიჯეიდ მუშაობდა.

დაჩი დარჩიას კარგად იცნობდნენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები. მათ შორის ბევრთან მეგობრობდა კიდეც.

„ძალიან კარგი ადამიანი იყო, საკმაოდ დიდი ხანია, რაც ვიცნობ. თბილი, მეგობრული ადამიანი იყო. შემთხვევითობის ამბავია. ქუჩაში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი დანით გამოეკიდა და დანა დაარტყა. სრულიად უმიზეზოდ მოკლეს“.- განუცხადა „პრაიმტაიმს“ მომღერალმა ზურა ხაჩიძემ.

დაჩის მკვლელობით შეძრწუნებული მისი მეგობრები თავიანთ მწუხარებას „ფეისბუქის“ მეშვეობით გამოხატავდნენ და იქვე აღნიშნავდნენ, რომ საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებით კრიმინალურმა ვითარებამ კატასტროფულად მოიმატა, რასაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი: „დაჩი დარჩიას, ყველაზე თბილ ადამიანს თუ ასე სასტიკად გაიმეტებდნენ მოსაკლავად, მაშინ აღარ მწამს, აღარ მინდა საერთოდ აქ!!!! არ მინდა აქ არაა!! მძულს კაცობრიობა!!!“

რაც შეეხება დაკავებულს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შსს დამატებითი ინფორმაციისა და კომენტირებისგან თავს იკავებს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, დაკავებილი სოფელ გლდანში, გულიაშვილის ქუჩზე ცხოვრობდა. დიჯეის მკვლელობაში ეჭვმიტანილი არც მუშაობდა და არც სწავლობდა.

ეჭვმიტანილის მეზობლების განცხადებით, დაკავებული იშვიათად მოდიოდა მათ უბანში და იქ მხოლოდ მისი მოხუცი ბებია ცხოვრობს.

„ამ ოჯახს სახლი აქვს ავლაბარშიც. აქ ძალიან იშვიათად მოდიოდნენ. როგორც ვიცით, ჰყავთ ორი ბიჭი“, - განაცხადა ეჭვმიტანილის მეზობელმა.

მეზობლების ნაწილი კი ამბობს, რომ აღნიშნული სახლი ხშირად გაქირავებული იყო და მათთვის უცნობი პირები ცხოვრობდნენ.

„როგორც ვიცით, ორი ახალგაზრდა ბიჭი ჰყავთ, ბებიასთან სტუმრად მოდიოდნენ. ის არც მუშაობდა და არც სწავლობდა, თუმცა უბანში არანაირ კონფლიქტში მონაწილეობა არ მიუღია“, - განაცხადა ეჭვმიტანილის მეზობელმა.

მოკლული დაჩი დარჩია მშობლიურ სოფელში გადაასვენეს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მიზნით ჩაატარა NDI

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

NDI-ს აგვისტოს კვლევებმა იმაზე მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე ორგანიზაციის მისამართით როდესმე დასმულა. რატომ გახდა საჭირო თვითმმართველობის არჩევნებიდან ასე მოკლე დროში რეიტინგების ხელახალი გაზომვა, არავინ იცის. პოლიტიკოსებს არ ახსოვთ არც ერთი შემთხვევა, როდესაც პოსტსაარჩევნო პერიოდში განმეორებითი კვლევები ჩატარებულიყოს. თავად NDI ირწმუნება, რომ 2010 წლიდან მოყოლებული კვლევა, როგორც წესი, არჩევნებამდეც ტარდებოდა და არჩევნების შემდეგაც. ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, კრისტინა ვიფორის განცხადებით, კვლევებისა და რეიტინგების მიმართ უნდობლობა პოსტსაბჭოური მენტალილეტია: „კითხვები და ეჭვები ყოველთვის არის, თუმცა ეს განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ახასიათებს, სადაც გარკვეული ისტორიული მახსოვრობა არსებობს, რომ ადამიანები ზოგადად არ ენდობიან ინფორმაციას“. კრისტინა ვიფორის განცხადებით, დროა, ქართველმა საზოგადოებამ ამ მიმართულებით მოდერნიზება განიცადოს, თუმცა იგივეს გაკეთებაზე თავად NDI უარს აცხადებს. ხელმძღვანელის თქმით, NDI არ გეგმავს არანაირ ცვლილებას საკუთარ სამუშაო პროცესში.

კითხვები, რომლებიც პოლიტიკური საზოგადოებიდან მოდის, არანაირად არ აყენებს ეჭვქვეშ თავად NDI-ს ინსტიტუტს. უნდობლობას იწვევს ის ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ასრულებს საველე სამუშაოებს, თანაც უკვე მრავალი წელია. პრემიერ-მინისტრის განცხადებაც სწორედ აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება.





ირაკლი ღარიბაშვილი: „კითხვები არსებობს ადგილობრივი ოფისის მიერ ჩატარებულ და მათ მიერ დაქირავებულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერი:

– NDI-ს კვლევებზე, მგონი, უკვე აღარ დაობენ, ამიტომ კომენტარს ვერ გავაკეთებ იმ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებზე, რომელიც პირდაპირ ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მინდა დავაკონკრეტო, რომ NDI-ს, როგორც ინსტიტუტს, ჩვენ პატივს ვცემთ, მაგრამ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, კითხვები არსებობს ადგილობრივი ოფისის მიერ ჩატარებულ და მათ მიერ დაქირავებულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისადმი კითხვები ჯერ კიდევ წლების წინათ იყო. მით უფრო, მას შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის მეუღლე პირდაპირ კავშირში იყო კვლევით ორგანიზაციებთან და ფაქტიც კი დაფიქსირდა, რომ თარხნიშვილის მეუღლის ორგანიზაციას ბიუჯეტიდან ორ მილიონ ლარზე მეტი გადაერიცხა. მაშინ თარხნიშვილმა მედიის კითხვები უპასუხოდ დატოვა, – ჩემი მეუღლის მაგივრად მე რატომ უნდა გიპასუხოთ, ის ზრდასრული ადამიანია და აკეთებს იმას, რაც სურსო... მიუხედავად ღია კავშირების დაფიქსირებისა, არც კვლევით ორგანიზაციებს და არც ნაციონალებს არ შეუცვლიათ არსებული პოლიტიკა.

რაც შეეხება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს, უკვე წლებია, NDI-სთან თანამშრომლობს და როგორც კრისტინა ვიფორი აცხადებს, აზრადაც არ მოსვლია ხელმძღვანელობას მისი სხვა ორგანიზაციით ჩანაცვლება.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის გარდა, NDI-ს კვლევებმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე მიიქცია ყურადღება. სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგების დაფიქსირების შემდეგ გაჩნდა მოსაზრება პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის შექმნის. სიახლე პირველად „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ „facebook“-ის საკუთარ გვერდზე გააჟღერა... ბუნებრივია, არავის შექმნია ილუზია, რომ გვარამიას განცხადება შემთხვევითი იყო. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, კვლევა სწორედ „თავისუფალი ამომრჩევლის“ რაოდენობის, მოწონებების, ინტერესების განსაზღვრას ემსახურებოდეს... ბუნებრივია, თავად NDI-ს რეაქცია აღნიშნულ კითხვაზე კატეგორიულია და თანაც ცალსახა. NDI აცხადებს, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არანაირი კავშირი არ აქვს, თუმცა ფაქტია, რომ კითხვები კვლევების მიმართ უკვე წლებია, არსებობს და პრობლემა კვლავაც დღის წესრიგში დგას.

„მირჩევნია, ამ შეხვედრის შესახებ დეტალურად არ ვილაპარაკო, ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ამ ადამიანს შევთავაზეთ, დაესწროს ფოკუს-ჯგუფებს, რომელიც წლის განმავლობაში ჩატარდება“

კრისტინა ვილფორი, NDI-ს დროებითი ხელმძღვანელი:

– NDI საქართველოში კვლევებს ატარებს 2010 წლიდან რეგულარულად, მინიმუმ ბოლო ორი წლის განმავლობაში კვლევები წელიწადში ოთხჯერ ტარდება, ანუ კვარტალურად, რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო ფართოდ და დინამიკურად შევხედოთ, რა შეხედულებები და დამოკიდებულებები აქვს საქართველოს მოსახლეობას. აგვისტოს კვლევები დროული და თანმიმდევრული იყო. რაც შეეხება კითხვის იმ ნაწილს, რატომ ჩავატარეთ ახლა კვლევები, ჩვენ ჩვეულებისამებრ ვატარებთ ხოლმე კვლევებს როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდეგ. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდეც გვქონდა კვლევა და ასევე, ნოემბერშიც, არჩევნების შემდეგ. მიმდინარე წელს პირველი კვლევა აპრილში ჩატარდა, შემდეგ – აგვისტოში. როგორც კვლევის შედეგებიდან შეგიძლიათ ნახოთ, ტენდენციები თითქმის იგივეა, რაც აპრილში დაფიქსირდა, თუმცა იყო გარკვეული ცვლილებები, რომლის ხაზგასმაც ძალიან მნიშვნელოვანია.

– დაზუსტებისთვის, NDI კვლევებს არჩევნებამდეც ატარებს და არჩევნების შემდეგაც?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– სწორედ NDI-ს კვლევის შედეგებს დაემთხვა განცხადება ახალი ოპოზიციური ძალის შექმნის შესახებ. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა, რომ ხომ არ ჩატარდა კვლევა სწორედ ახალი ოპოზიციური ძალის შექმნის წინ კონკრეტული საკითხების გასარკვევად?

– რა თქმა უნდა, არა. ჩვენ რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ბუნებრივია, ვითვალისწინებთ ჩვენი პარტნიორების ინტერესებს, რომელთა უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციაა, თუმცა ასევე არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებთანაც უკვე წლებია, ვთანამშრომლობთ. მინდა გითხრათ, რომ არც კითხვების ფორმულირებაში და არც დანარჩენ საკითხებში საკუთარი წვლილი არ შეაქვთ პოლიტიკურ პარტიებს და არც სხვა რაიმე ძალას. ჩვენ არ ვთანამშრომლობთ პოლიტიკურ ძალებთან, როდესაც ვადგენთ კითხვარს და ვმუშაობთ კვლევაზე. ეს ეხება ასევე იმ კითხვებს, რა დამოკიდებულება აქვთ ამომრჩევლებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისადმი. მე მოვისმინე პოლიტიკოსების დამოკიდებულება და შეფასება ბოლო კვლევების მიმართ და მიმაჩნია, რომ ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევა არის ის, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, უბრალოდ, არ ესმის, რა პროცედურებისგან შედგება თავად კვლევა და როგორია მეთოდოლოგიები. რამდენიმე დღის წინ შევხვდი იმ ადამიანთაგან ერთ-ერთს, ვინც ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს მეთოდოლოგიას და უნდობლობით უყურებს. მივხვდი, რომ ადამიანებს, ზოგადად, არ სჯერათ რაოდენობრივი კვლევების. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და რაც გამოვაქვეყნეთ, არის სწორედ რაოდენობრივი კვლევის შედეგები. ეს არის ისეთი ტიპის კვლევა, რომელიც ციფრობრივ შედეგს მოგცემს და ძალიან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. NDI-ს მსოფლიოს 68 ქვეყანაში აქვს ოფისები, ჩვენ გვჯერა, რომ სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი არის ის, რომ სახელმწიფომ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა იცოდნენ, რას ფიქრობს საზოგადოება, რა აწუხებს მათ, რას თვლიან ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად და ასე შემდეგ. ადამიანის ბუნების ნაწილია, რომ მას არ მოეწონოს საკუთარი საქმიანობისადმი კრიტიკული შეფასებები და დამოკიდებულება. შესაბამისად, პოლიტიკოსების რეაქციები ბუნებრივია, ეს ყველა ქვეყნის პოლიტიკოსს ახასიათებს. როდესაც პოლიტიკოსები და, ზოგადად, ადამიანები ეჭვქვეშ აყენებენ NDI-ს მეთოდოლოგიას, სულ ვფიქრობ ხოლმე, რომ სინამდვილეში მათი განცხადებები გულწრფელი არ არის და ამის უკან იმალება ის, რომ მათ შესაძლოა, არ მოსწონდეთ რეალური სურათი. თუკი ვინმეს გულწრფელად არ სჯერა, ან ეჭვქვეშ აყენებს მეთოდოლოგიასა და კვლევის შედეგებს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ჩავერთოთ მათთან დიალოგში და ასეც ვიქცევით ხოლმე. მზად ვართ, მათ გავუმხილოთ და ვესაუბროთ ნებისმიერ დეტალზე. ამ კვლევის შედეგად ძალიან კარგად ჩანს, რომ საზოგადოებას ძალიან დადებითი დამოკიდებულება აქვს მთავრობის მიმართ, ისინი ხედავენ პროგრესს, ასევე ხედავენ მთავრობის მხრიდან ყურადღებას იმ საკითხების მიმართ, სადაც ნაკლებად შეიმჩნევა

„რა თქმა უნდა, არა. ჩვენ რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ბუნებრივია, ვითვალისწინებთ ჩვენი პარტნიორების ინტერესებს, რომელთა უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციაა, თუმცა ასევე არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებთანაც უკვე წლებია, ვთანამშრომლობთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

-ის აგვისტოს კვლევები



EXCLUSIVE

CR Georgia
RC Caucasus Research Resource Centers

პროგრესი, ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ძალიან ბევრ ნაბიჯს აქვს დიდი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან.

– შეიძლება, გაგვიმხილოთ, ვის შეხვდით და იყო თუ არა ის ადამიანი მთავრობის წარმომადგენელი?

– მირჩევნია, ამ შეხვედრის შესახებ დეტალურად არ ვილაპარაკო, ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ამ ადამიანს შევთავაზეთ, დაესწროს ფოკუს-ჯგუფებს, რომელიც წლის განმავლობაში ჩატარდება. ჩვენი შეთავაზება ამტკიცებს ჩვენს გამჭვირვალობას, ყოველთვის მზად ვართ, ადამიანებს შევხვდეთ, მით უფრო მათ, ვისაც ეჭვი ეპარება ჩვენს მეთოდოლოგიასა და კვლევის შედეგების ობიექტურობაში. ყოველთვის მაინტერესებს გავიგო, რა დგას ამ ადამიანების ეჭვების მიღმა. არის ეს მცდარი წარმოდგენები ორგანიზაციის შესახებ თუ გარკვეული ინფორმაციის ნაკლებობა მეთოდოლოგიის შესახებ. იმედი მაქვს, რომ NDI-ს მრავალწლიანი მუშაობა და ჩვენი ორგანიზაციის მხარდაჭერა ჩვენ მაგივრად ისაუბრებს.

– რაც შეეხება ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ ატარებს საველე სამუშაოებს...

– CRRC-სთან ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ კვლევაში ყველა ნაბიჯი და ყველა დეტალი მაქსიმალურად კარგადაა მოფიქრებული, შეთანხმებული და სწორად განხორციელებული. CRRC – ეს არის არამომგებიანი ორგანიზაცია და ის არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ არის დაკავშირებული და არც არასოდეს ყოფილა.

– თუმცა ოპოზიციის უნდობლობას სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია იწვევდა წლების განმავლობაში. დღესაც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ რომ ისინი ნდობას უცხადებენ NDI-ს, თუმცა კითხვები აქვთ საველე სამუშაოებთან დაკავშირებით... ხომ არ იგეგმება რაიმე ტიპის ცვლილება ამ კითხვების მოსახსნელად?

– ჩვენ არც კი განვიხილავთ ცვლილებას CRRC-სთან მიმართებაში. NDI ყველა ქვეყანაში, სადაც ოფისი აქვს, თანამშრომლობს მხოლოდ იმ ორგანიზაციებთან, რომლის ინსტიტუციონალურ გამჭვირვალობასა და პროფესიონალურობაშიც დარწმუნებულია. ჩვენ CRRC საქართველოსთან უკვე წლებია, ვთანამშრომლობთ, აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ მათ პროფესიონალიზმში და არც კი განვიხილავთ მათ შეცვლას.

– თუმცა მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირ უკავშირებენ „ნაციონალურ მოძრაობას“.

– არც კი ვფიქრობ, რომ ღირს იმ ბრალდებებზე პასუხის გაცემა, რაც არსებობს NDI-ს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირებასთან დაკავშირებით, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ბრალდება აბსოლუტურად უადგილოა და ყველანაირ არგუმენტს მოკლებულია. CRRC არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ არის კავშირში. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არსებობს საერთოდ აღნიშნული ეჭვები. ყველამ იცის, ვინ არის CRRC-ის დირექტორი – ეს არის კობა თურმანიძე. ეს პიროვნება არანაირ კავშირში არ არის, საერთოდ, პოლიტიკასთან, ორგანიზაციის მენეჯმენტი აბსოლუტურად აპოლიტიკურია.

– თუმცა NDI-ს ერთხელ უკვე ჰქონდა სერიოზული ცდომილება 2012 წელს...

– კვლევა არის საზოგადოების აზრის დაფიქსირება, რომელიც ძალიან ჰგავს სურათს, რომელიც, ბუნებრივია, შეიძლება მარტივად, კონკრეტული ფაქტების დაფიქსირების შედეგად შეიცვალოს. გარდა ამისა, ამომრჩეველი ყოველთვის არ იძლევა კონკრეტულ პასუხს კითხვაზე. არსებობენ ადამიანები, რომლებიც უარს აცხადებენ პასუხზე, ან არ აქვთ პასუხი იმ კონკრეტულ მომენტში, ან სულაც ვერ იღებენ გადაწყვეტილებას, მაგალითად, რომელი პოლიტიკური პარტია მოსწონთ, ან რომელს დაუჭერენ მხარს არჩევნების შემთხვევაში. პოლიტიკური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ასეთი ტიპის ადამიანებს „გადაუწყვეტელ ამომრჩევლებს“ ვეძახით. ეს არის კატეგორია, რომლებზეც მთელი წინასაარჩევნო პერიოდი მიმდინარეობს მუშაობა, რომ მოხდეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ხმარეს გადაბირება. ბუნებრივია, მათზე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი. კვლევა არ არის წინასწარმეტყველება და მაგიური ძალა. კვლევა ასახავს საზოგადოების განწყობასა და შეხედულებებს იმ კონკრეტულ მომენტში.

– რამდენად ხშირად იცვლებიან რესპონდენტები?

– რესპონდენტები იცვლებიან ყოველ ჯერზე. კვლევის ჩატარების წინ თავიდან რესპონდენტების შერჩევა ხდება ჯერ ოლქის დონეზე, შემდეგ საარჩევნო უბნის დონეზე, შემდეგ ირჩევა ქუჩა, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ირჩევა ოჯახი და ოჯახის შიგნით ირჩევა რესპონდენტი. რესპონდენტის შერჩევაც კი იმგვარად არის დაგეგმილი და წინასწარი სტატისტიკური მეთოდით გათვლილი, რომ შემთხვევით არ მოხდეს ერთი ტიპის ადამიანების ზედმეტად ჩართვა კვლევაში. მაგალითად, არ უნდა მოხდეს ისე, რომ გამოკითხულთა უმეტესობა დაუსაქმებელი ქალბატონები იყვნენ, ან ხანდაზმული მამაკაცები... შერჩევის პირველ ეტაპზე ყველა საარჩევნო ოლქიდან დაახლოებით 320 ოლქი ირჩევა. შერჩევას აკეთებს სპეციალური პროგრამა, მასთან ადამიანებს არ აქვთ შეხება. უკვე შემდეგ სპეციალური პროგრამის მიერ შემთხვევით შერჩეულ ოლქებში ინტერვიუერებს ეძლევათ სპეციფიკურ, შემთხვევითობაზე დაფუძნებული პრინციპი, რის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ.

– გასაგებია, რატომ ტარდება კვლევები არჩევნებამდე. რა მიზანი აქვს კვლევების ჩატარებას არჩევნებიდან ასე მალე?

– ასეთ კვლევაში დიდი ინფორმაცია არის, რომელიც, როგორც ჩვენთვის, ასევე საზოგადოებისთვის არის სასარგებლო. მაგალითად, ჩადებულია ისეთი მნიშვნელოვანი კითხვები, როგორიც არის, რამ იმოქმედა გადაწყვეტილების მიღებაზე ამომრჩეველზე, იციან თუ არა მათი მაჟორიტარი დეპუტატის სახელი და გვარი, ჰქონდათ თუ არა კონტაქტი მათთან არჩევნების შემდეგ, რას მოელიან კონკრეტული მაჟორიტარისგან. მსგავსი ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით პარლამენტისა და საკრებულოებისთვის, როდესაც ახალი სამუშაო წელი იწყება. მსგავსი ინფორმაციები ჩვენს ორგანიზაციასაც ძალიან ეხმარება სამუშაოს დაგეგმვაში. გარდა ამისა, ქვეყანაში, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურ საარჩევნო პერიოდშია, ძნელია, კვლევა არ დაემთხვეს ან წინასაარჩევნო ან პოსტსაარჩევნო პერიოდს.

– ახლა არასაარჩევნო პერიოდი მოდის, კვლევების განრიგი ისეთივე აქტიური იქნება?

– კი, რა თქმა უნდა.

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოდარ ხადურს სასამა

my View

მირიან ბოქოლიშვილი

რა კავშირი აქვს ფინანსთა მინისტრს „მაგნატის“ გაკოტრების სქემასთან?

EXCLUSIVE

წინა წლებში გაკოტრებული ბევრი ბიზნესმენი დღევანდელი ხელისუფლებისგან ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებას რომ ითხოვს, ეს ახალი ამბავი არაა. არც მათი მოთხოვნა უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სწორედ სამართლიანობის აღდგენის ეგიდით მოვიდა. შესაბამისად, მთავრობის წუწუნი, რომ უამრავი ადამიანი დაიჩაგრა წინა წლებში და სახელმწიფოს არა აქვს რესურსი მათ დასაკმაყოფილებლად, დაზარალებულებისთვის არაფრისმთქმელია. სანამ ხელისუფლება წუწუნებს, სამართლიანობის აღდგენის მოლოდინს უკვე შეეწირა ერთ-ერთი ბიზნესმენი. მაგალითისთვის თემურ ჩარკვიანის თვითმკვლელობაც კმარა. ადამიანმა, რომელსაც წინა ხელისუფლებამ სიღნაღი, ქუთაისი, ბათუმი და სხვა ქალაქები გააკეთებინა, რამდენიმე კვირის წინ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და სიკვდილის წინ დაწერა წერილი, სადაც გაკოტრებაში იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს ადანაშაულებდა.

თვითმკვლელობამდე არ მისულა საქმე ბიზნესმენ ჯემალ ლეონიძის შემთხვევაში. ის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოში იბრძვის. ნავთობკომპანია „მაგნატი 2006“-ის ყოფილი მფლობელი ხელისუფლებისგან არა წართმეული ქონების დაბრუნებას, არამედ გაკოტრების პროცესში მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. გაკოტრების დროს აღსრულების ბიურომ ვერ ამოიღო დაახლოებით 8 მილიონი ლარი, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა კომპანიის კრედიტორების დაკმაყოფილება, შესაბამისად, ზიანი მიადგა არა მხოლოდ კომპანიას, არამედ მის 30-მდე კრედიტორსაც, რომლებიც დღესაც უშედეგოდ ელიან კუთვნილი თანხების დაბრუნებას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და კომპანია, რომელიც სახელმწიფოს 8 მილიონ ლარს ედავება, სამეწარმეო რეესტრში საერთოდ გააუქმა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ბიზნესმენი შემდგომ ინსტანციებში ცდილობს, სადაც, როგორც ჩანს, მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართება.

მოსარჩელე მხარე პროცესზე ნოდარ ხადურის დაკითხვას მოითხოვს, ვინაიდან ფინანსთა დღევანდელი მინისტრი იმ პერიოდში კომპანია „მაგნატის“ ფინანსური დირექტორი გახლდათ და ყველა დეტალის შესახებ კარგადაა ინფორმირებული.

რატომ გააუქმა მოსამართლემ შპს „მაგნატი 2006“ სამეწარმეო რეესტრში? რატომ ითხოვს მოსარჩელე მხარე ნოდარ ხადურის დაკითხვას და თავის დროზე, როგორ გააკოტრეს ნავთობპროდუქტების ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე? ამ თემებზე „პრაიმტაიმს“ „მაგნატი 2006“-ის ადვოკატი, ზურაბ თოდუა ესაუბრა.

რატომ გააუქმა მოსამართლემ „მაგნატი“ სამეწარმეო რეესტრში?

„25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა წარმოება შეწყვიტა შპს „მაგნატი 2006“-ის სარჩელზე, რომლის მოპასუხეებიც იყვნენ აღსრულების ეროვნული ბიურო და გაკოტრების ყოფილი მმართველები. თანხა ეხებოდა 8 მილიონ ლარს. ჩვენ ვასაბუთებდით, რომ „მაგნატის“ გაკოტრებამდე ჩვენ მიერ მოძიებული იყო აღნიშნული თანხა, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა კომპანიის კრედიტორებისთვის დავალიანების გასტუმრება. ჩვენ ვითხოვდით ამ 8 მილიონს უკვე სახელმწიფოსგან, რადგან, როდესაც კომპანიის გაკოტრების პროცესი მიმდინარეობდა, აღსრულების ბიურომ არ მოიძია ეს თანხები.

ჯერ კიდევ 2012 წლის 25 ივლისს, მაშინ, როდესაც კომპანია უკვე გაკოტრების ბოლო ფაზაში გახლდათ, ვითხოვე, მოეცათ 6 თვე, რათა მოგვეძიებინა თანხები კრედიტორების გასასტუმრებლად და კომპანიის ფეხზე დასაყენებლად. დაახლოებით 30-მდე კრედიტორი დამეთანხმა, გარდა ერთისა – შემოსავლების სამსახურის, რომლის დავალიანება გვქონდა 70 ათასი. სამი დღის შემდეგ ჩატარდა სასამართლო სხდომა და შემოსავლების სამსახურმა უარი თქვა ვადის გაგრძელებაზე. მალე ჩატარდა არჩევნებიც და ხელისუფლებაში უკვე მოვიდა „ქართული ოცნება“, სასამართლოს გადაწყვეტილება კი იყო, მაგრამ სამეწარმეო რეესტრიდან კომპანიის ამოღებისთვის უკვე არავის ეცალა.

ახალი ხელისუფლების პირობებში შევიტანეთ ხელახლა სარჩელი სასამართლოში და სახელმწიფოს ვუთხარით, რომ თქვენ ხართ სამართალმემკვიდრე, არ მოგვეცით კომპანიის მიერ რესურსების მოძიების საშუალება, ვერ ამოიღეთ თანხები, ამიტომ ზარალი, რომელიც მოგვადგა, კეთილი ინებეთ და აანაზღაურეთ, რათა მოხდეს კრედიტორების გასტუმრება. საქმემ იტრიალა და კვლავ მოსამართლე ქოჩიაშვილთან მივიდა. ცხადია, ის თავის გადაფურთხებულს არ ალოკავდა და კვლავ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. ზოგადად, ეს ადამიანი მიჩვეულია მორჩილებას და ისეთივე წარმატებით ასრულებს დღევანდელი ხელისუფლების დაკვეთას, როგორც თავის დროზე „ნაციონალების“ დაკვეთებს ასრულებდა“.

რა კავშირი აქვს ნოდარ ხადურს „მაგნატის“ საქმესთან?

„ახლა ჩვენ ვასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას და პირველივე შუამდგომლობა, რასაც დავაყენებთ, იქნება ნოდარ ხადურის დაკითხვა. ფინანსთა დღევანდელი მინისტრი გახლდათ „მაგნატის“ ფინანსური დირექტორი, ვის, თუ არა მას, ყველაზე უკეთ მოეხსენება, როგორ გააკოტრეს კომპანია.

ზურაბ თოდუა

არ ვიცი, რას იტყვის ხადური სასამართლოში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას არ აწყობს მოდავე შპს „მაგნატის“ სახით, წინამორბედის დანაშაულის გამო, არ სურთ თანხის გაღება. ამიტომაც მოსამართლეს მიუთითეს და რეესტრში შპს „მაგნატი“ საერთოდ გააუქმეს. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება დღევანდელი ხელისუფლების ინტერესებსაა მორგებული. სასამართლოზე განხორციელდა შეკვეთა. ჩვენ ვითხოვდით სახელმწიფოსგან იმ 8 მილიონს, რომელიც გაკოტრების დროს არ იქნა ამოღებული. ეს თანხა რომ ამოეღოთ, ჩვენ ყველა კრედიტორი დაკმაყოფილებული გვეყოლებოდა და პირიქით, საბრუნავი საშუალებაც დაგვრჩებოდა.

ფაქტობრივად, ბიზნესმენებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს ლაღად გრძნობდნენ თავს, ამ ხელისუფლების პირობებშიც მოძებნეს „კრიშა“, მაგალითად, „გალფი“ ახალ ხელისუფლებასთანაც

„რესტორანი „გვირილა“ ღირდა 2 მილიონი და ბანკმა 645 ათას ლარად მიჰყიდა კომპანია „დანს“, სადაც 70 პროცენტის მესაკუთრე არის ქალბატონი თამარ მერაბიშვილი. ახლა ვეუბნები ფინანსურ პოლიციას, – გაარკვიეთ, რა კავშირი აქვს ივანე მერაბიშვილთან თამარ მერაბიშვილს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პირველივე შუამდგომლობა, რასაც დავაყენებთ, იქნება ნოდარ ხადურის დაკითხვა. ფინანსთა დღევანდელი მინისტრი გახლდათ „მაგნატის“ ფინანსური დირექტორი. ვის, თუ არა მას, ყველაზე უკეთ მოეხსენება, როგორ გააკოტრეს კომპანია“

მშვენივრად თანაარსებობს. არადა ეს არის კომპანია, რომელმაც სრულიად კანონდარღვევით ჩაიგდო ხელში „მაგნატის“ კუთვნილი ქონება და ბენზინგასამართი სადგურები.

სახელმწიფო იცავს კერძო პირის საკუთრების უფლებას. კრედიტორების უფლებების დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივაა. მე ვეუბნები სახელმწიფოს, რომ შემიძლია მათი დაკმაყოფილება და დამეხმარე. ამ დროს მოსამართლე მიშვებს პირდაპირ ლიკვიდაციაზე და ლახავს როგორც ჩემს, ისე კრედიტორების უფლებებს“.

როგორ იწყებოდა „მაგნატის“ გაკოტრება?

ცნობილი ამბავია, რომ ნავთობიმპორტიორთა კარტელმა საქართველოში სხვა კომპანიების შევიწროება 2008 წლიდან დაიწყო. შედეგად, ბაზარზე სულ 5 კომპანია დარჩა, რომელიც თვლიდა, რომ ამ ბიზნესიდან შემოსული მოგება მეექვსესთვის უკვე ზედმეტი იქნებოდა.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჯემალ ლეონიძის გასაჭირიც. „მაგნატი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანია იყო. თვეში 8 მილიონ ლიტრ საწვავს ყიდდა. კომპანიის წლიური ბრუნვა 150 მილიონი ლარი იყო. საბრუნავი თანხებისთვის მას რამდენიმე ბანკიდან სესხიც ჰქონდა აღებული. მათ შორის „თიბისი“ ბანკიდან. 2008 წელს ჯემალ ლეონიძემ, რომელსაც 75-პროცენტიანი წილი ჰქონდა კომპანიაში, ბიზნესი სრულად დაკარგა და ციხეში აღმოჩნდა.

კრიზისის დასაძლევად 2009 წელს გამოსავალი „თიბისიმ“ შესთავაზა. ამ შეთავაზებით ლეონიძეს უნდა შეექმნა ნავთობის სადისტრიბუციო კომპანია, ე.წ. „ნსკ“, რომელშიც „მაგნატის“ ქონება გადავიდოდა. ამიერიდან „ნსკ“ შემოიტანდა საწვავს და განახორციელებდა მის რეალიზაციას. მაგრამ ეს კორპორაცია უნდა ემართა „თიბისის“ მიერ შეთავაზებულ შემადგენლობას, რომელსაც ლეონიძე ჯენტლმენური შეთანხმებით წილებს გადააბარებდა, მაგრამ ამავდროულად გაფორმდებოდა უკან დაბრუნების ხელშეკრულებები თითოეულ ასეთ აქციონერთან. როდესაც „ნსკ“ „თიბისისთვის“ სასურველ თანხას ამოიღებდა, შემდეგ ეს გადაბარებული წილები უკან დაუბრუნდებოდა ჯემალ ლეონიძეს. მაგრამ ამასობაში, 2009 წელს ბიზნესმენი კეზერაშვილის უწყებამ, ფინანსურმა პოლიციამ დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე დაიჭირა, სასამართლომ კი მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შესაბამისად, ხსენებული უკან დაბრუნებების ხელშეკრულებების შედგენა ვერ მოესწრო.

„მაგნატის“ მაშინდელი ქონება და სხვა კომპანიებში წილი სულ 28 მილიონ დოლარად შეფასდა. მოგვიანებით „თიბისის“ მოთხოვნით, ლეონიძეს „ნსკ“-ში 24-პროცენტიანი წილი ხუთამდე შეუმცირდა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ 11 ბენზინგასამართი სადგური კერძო მევალეებისგან იყო დაყადაღებული და მის მოსახსნელად 5 მილიონი იყო საჭირო, რასაც პატიმრობაში მყოფი ლეონიძე ვერ გადაიხდიდა. საბოლოოდ მილიონერი საკუთარ კომპანიაში წილის გარეშე დარჩა. „თიბისიმ“ კი „ნსკ“-ს ხელით 28 მილიონად შეფასებული ქონება 13 მილიონად გადასცა კეზერაშვილის „გალფს“.

თუმცა, ბანკის ინფორმაციით, 28 მილიონი სრულიად არარეალური ფასია - იმ პერიოდში „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ ჩაატარა „მაგნატი 2016“-ის აქტივების შეფასება და მისი ფასი განსაზღვა 9,9 მილიონი ლარით! ანუ, ეს კომპანია იყო ფაქტობრივად გაკოტრებული, რომელსაც გააჩნდა 28,5 მილიონი დოლარის ვალები და გაცილებით ნაკლები ღირებულების აქტივები, რომლის გასხვისება საკმაოდ რთული აღმოჩნდა: თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები როგორც ადგილობრივ მსხვილ ნავთობკომპანიებთან, ისე თურქულ (პეტროლ-ოფისი, პეტრომი) რუმინულ (ო-ემ-ვე), ბერძნულ (ეკო) და ებრაულ (სანოილი) კომპანიებთან. დაინტერესება გამოხატა მხოლოდ ებრაულმა კომპანია „სანოილმა“, რომელთანაც 1-წლიანი მოლაპარაკებების შედეგად „მაგნატი 2006“-ს აქტივები, ნაცვლად დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებული 9,9 მილიონი ლარისა, გაიყიდა დაახლოებით 14 მილიონ დოლარად.

დავით ჩხიტუნიძე

„მაგნატის“ მფლობელის მილიონნახევრიანი სახლის პატრონი გახდა ნატალია კვანტალიანი, დავით ჩხიტუნიძის სიდედრი, იმ ჩხიტუნიძისა, რომელსაც მთელი საქართველო დაეძებს. ეს ის კაცია, გირგვლიანის მკვლელებს სასათბურე პირობებში რომ ამყოფებდა“

თავად ნოდარ ხადური ამბობს, რომ თავის დროზე "თიბისი ბანკის" მიერ კრედიტის შეწყვეტა ობიექტურთან ერთად ვიწრო სუბიექტური ინტერესითაც იყო ნაკარნახევი.

ნოდარ ხადური: "ზოგადად, საბანკო სფეროში პრობლემები დაიწყო 2008 წლის მაის-ივნისში და ამ დროს "თიბისი ბანკმა" უკვე შეამცირა კრედიტების მოცულობა. "მაგნატი" ბანკთან შემდეგი პრინციპით მუშაობდა: აღებულ კრედიტს დათქმულ ვადაში ფარავდა და იმავე დღეს ან მეორე დღეს გამოჰქონდა მორიგი კრედიტი, რასაც საბრუნავ საშუალებად იყენებდა. სწორედ 2008-ის ივნისი იყო, როცა დაფარული სესხი ხელახლა აღარ მისცეს "მაგნატს" და მე ვფიქრობ, რომ ამას ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები".

რა კავშირი აქვს „მაგნატის“ მფლობელთან გირგვლიანის საქმეში ბრალდებულ დავით ჩხიტუნიძეს?

„ჯემალ ლეონიძისთვის ქონება რომ წაერთმიათ და მთლიანად გაეკოტრებინათ, ამაში პროკურატურაც ჩართეს. სისხლის სამართლის დანაშაული შეუთითხნეს, რომ თითქოს თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას. 10 წელი მიუსაჯეს. სახლიც კი არ დაუტოვეს ადამიანს, რომელსაც მისი ოჯახი მთელი ცხოვრება აშენებდა მცხეთაში, მილიონ-ნახევრად შეფასებული სახლი სიმბოლურად ჩაიგდო ხელში ბანკმა „რესპუბლიკამ“. დღეს უკვე ყველაფერი გაიშიფრა. „მაგნატის“ მფლობელის მილიონნახევრიანი სახლის პატრონი გახდა ნატალია კვანტალიანი, დავით ჩხიტუნიძის სიდედრი, იმ ჩხიტუნიძის, რომელსაც მთელი საქართველო დაეძებს. ეს ის კაცია, გირგვლიანის მკვლელებს სასათბურე პირობებში რომ ამყოფებდა. შემდეგ ეს სახლი ქალბატონმა ნატალიამ აჩუქა თავის ქალიშვილს, ჩხიტუნიძის მეუღლეს, ნათია ჩაჩუას. ეს სახლი აუქციონზე მოიგო კვანტალიანმა. ეს ყველაფერი უკვე გაშიფრულია. რატომ ჩემმა, ან თქვენმა სიდედრმა ვერ იყიდა ასეთი სახლი?“

როგორ გადანაწილდა „მაგნატის“ ქონება?

„2009 წლის მონაცემებით, „მაგნატის“ უძრავი ქონება შეფასდა 29 მილიონ 700 ათას დოლარად, საინტერესოა 1 თვეში 13 მილიონად როგორ იყიდა „თიბისიმ“? რა მოუვიდა ამ ქონებას? ეს ქონება „თიბისის“ აუდიტებმა შეაფასეს. „გალფის“ ბაზა წყალსადენის ქუჩაზე 3 მილიონი ღირდა და 2 მილიონად გაიყიდა. საწვავის ბიზნესთან დაკავშირებული ყველა ქონება „გალფმა“ წაიღო „თიბისის“ ხელშეწყობით, სამი რესტორანი წაიღო ბანკმა „რესპუბლიკამ“. მერე ეს ქონება „რესპუბლიკამ“ გაყიდა და ამ ქონების 70-პროცენტიანი წილის მფლობელი აღმოჩნდა ვინმე თამარ მერაბიშვილი, რომელიც გამოძიებამ ამდენ ხანს რატომღაც ვერ დაადგინა, ვინ არის. რესტორან „გვირილას“ მესაკუთრედ ის წერია. მე აღმოვაჩინე, რომ მისი მისამართი შეცდომით წერია – ახალქალაქი, მცხეთის ქუჩა. მესხეთის ქუჩა უნდა იყოს. იმ 58 ნომერს ძალიან საინტერესოდ ემთხვევა ვანო მერაბიშვილის სანათესაოს საცხოვრებელი. რესტორანი „მწვანე კონცხი“, მცხეთაში ბანკმა „რესპუბლიკამ“ წაიღო, „გვირილაც“, მეფრინველეობის ფაბრიკაც. ეს ფაბრიკა ეკონომიკის სამინისტრომ წაიღო 61 ათასი ლარის ვალის სანაცვლოდ. მერე კი ჩუქებით გადასცა ბანკ „რესპუბლიკას“. წარმოიდგინეთ, რა სქემა იყო აწყობილი. მარტო რესტორანი „გვირილა“ ღირდა 2 მილიონი და ბანკმა 645 ათას ლარად მიჰყიდა კომპანია „დანს“, სადაც 70 პროცენტის მესაკუთრე არის ეს ქალბატონი – თამარ მერაბიშვილი. ახლა ვეუბნები ფინანსურ პოლიციას, გაარკვიეთ, რა კავშირი აქვს ივანე მერაბიშვილთან თამარ მერაბიშვილს-მეთქი და რატომღაც ძალიან დიდხანს ფიქრობენ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რაულ ხაჯიმბა - დე ფაქტო აფხაზეთის მეოთხე პრეზიდენტი!

„პრეზიდენტების“ კლანური ინტერესები და შემოსავლის წყაროები

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

რაულ ხაჯიმბამ დიდიხნის ოცნება აისრულა და როგორც იქნა, მეოთხე ცდაზე, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი გახდა. კრემლმა ხაჯიმბაზე ფსონი ბევრად ადრე დადო. თუმცა, სამი ცდა მარცხით დასრულდა. განსაკუთრებით წარუმატებელი აღმოჩნდა ბრძოლა სერგეი ბაღაფშთან, რომელმაც, ხაჯიმბას, ორივე ტურში, ხმების დიდი რაოდენობით აჯობა. ერთი შეხედვით, ხაჯიმბას პოლიტიკური კარიერა აქ უნდა დასამარებულიყო. თუმცა, სამმა წარუმატებელმა ცდამ ის ვერ გატეხა და დღეს, ხაჯიმბა მარიონეტული ხელისუფლების რიგით მეოთხე პრეზიდენტია.

ხაჯიმბა ცნობილია როგორც თავგადაკლული ნაციონალისტი. აფხაზეთის ომის დროს ის ეთნიკური ქართველების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ამიტომ, თუკი გალის ქართველ მოსახლეობას ბაღაფშის და ანქვაბის გაპრეზიდენტებაში ლომის წილი მიუძღვის, იგივეს ვერ ვიტყვით ხაჯიმბასთან დაკავშირებით. შესაძლოა, ეს გახდა იმის მიზეზიც, რომ ამ არჩევნებში დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეთნიკური ქართველები არ მონაწილეობდნენ. თუ არ ჩავთვლით აფხაზური გვარის მქონე ქართველებს. როგორც ჩანს, მათი მხარდაჭერის იმედი ხაჯიმბას ნამდვილად ჰქონდა.

რიგით მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია ჯერ არ შემდგარა, თუმცა, ხაჯიმბა უკვე შეუდგა მოქმედებას. მისი ერთი-ერთი პირველი გადაწყვეტილება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისთვის გაცემული აფხაზური პასპორტების გამოძიების დაწყებას უკავშირდება. რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მომავალში აფხაზური პასპორტების გაცემა ქართველებზე კანონის დაცვით მოხდება, რაც იმას გულისხმობს, რომ ქართველები პასპორტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ თუ საქართველოს მოქალაქეობაზე უარს იტყვიან.

სავარაუდოდ, წინამორბედებისგან განსხვავებით, ხაჯიმბა ნამდვილად არ იქნება ქართველების მიმართ ლოიალური. ამაზე მეტყველებს მისი პოლიტიკური წარსულიც. თუმცა, სანამ ხაჯიმბას წარსულზე ვისაუბრებთ, თვალი გადავავლოთ მის წინამორბედებს და მათ დამოკიდებულებას ქართველების მიმართ.

აფხაზეთმა თავისი „დამოუკიდებლობის“ არსებობის ხანმოკლე პერიოდში 3 პრეზიდენტი გამოიცვალა. აღსანიშნავია, რომ პირველი დე ფაქტო პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა, რომელსაც ქართული მხარის პროვოცირებასა და ომის დაწყებაში ედება ბრალი, ცნობილი იყო როგორც ქართველთ მოძულე. მის სახელს უკავშირდება ათასობით დახვრეტილი ქართველი... რაც შეეხება სერგეი ბაღაფშსა და ანქვაბს, მართალია, აფხაზეთში არეულობის დაწყებისთანავე ისინი არძინბას ნავში აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს ორი პიროვნება ქართველების მიმართ მეტ-ნაკლებად ლოიალურობით გამოირჩეოდნენ. შესაძლოა, ეს იმასაც უკავშირდება, რომ მათ ქართველებთან უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და ამ ურთიერთობებმა თავისი გაიტანა. ალბათ, მათი ასეთი დამოკიდებულებიდან გამომდინარე იყო, რომ გალში მცხოვრები ქართველობა არჩევნებში ყოველთვის მათ უჭერდა მხარს. მათი მმართველობის დროს ქართველები მეტ-ნაკლებად მშვიდად ცხოვრობდნენ და არც დაწიოკების შიში ჰქონდათ. იგივეს ვერ ვიტყვით რაულ ხაჯიმბაზე. მის გაპრეზიდენტებას გალის ქართველობა იმთავითვე შიშით მოელოდა. როგორც ჩანს, შიშის საფუძველი არსებობს, როგორც მისი პოლიტიკური წარსულის გათვალისწინებით, ასევე, ანტიქართული დამოკიდებულებით და განცხადებებით. ამ განცხადებების რეალობაში განხორციელება რამდენად შედის კრემლის ინტერესებში, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

მანამდე კი, საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები კლანური თვალსაზრისით. სეპარატისტული და რუსეთის ხელისუფლებისთვის ოკუპირებული აფხაზეთი ნამდვილი ოქროს საბადოა, როგორც საბანკო სისტემის, ასევე, ნარკოტრაფიკის თვალსაზრისით. არაღიარებულ სახელმწიფოს არანაირი ვალდებულებები არ გააჩნია მსოფლიოს წინაშე, ხოლო, თავის მხრივ, არც რუსეთი აკონტროლებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალის მხრივ აფხაზეთში სიტუაცია ჰყვავის. მით უმეტესს, როცა მფარველები თავად ხელისუფლებაში არიან. სავარაუდოდ, სწორედ ამ გავლენების მოპოვებას შეეცდება ქვეყნის სათავეში მოსული ხაჯიმბაც.

ცხადია, კორუფციული თანხების უდიდესი ნაწილი აფხაზეთში სწორედ რუსეთიდან შემოდის, რაც აფხაზი ჩინოვნიკების შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. რუსეთიდან შემოსული თანხები აფხაზეთის ბანკებში ინახება. აქედან, ერთი პროცენტი აფხაზეთის ხელისუფალის ჯიბეში მიდის, ანუ ვინც მათ ლობირებს და ხელს აფარებს. სქემა ასეთია, აფხაზური საბანკო სისტემა მიბმულია რუსულზე საბანკო სისტემაზე, მაგრამ რუსეთის საგადასახო სამსახური აფხაზურ ბანკებს არ ამოწმებს. თავის მხრივ, აფხაზეთი, როგორც არაღიარებული რესპუბლიკა, მსოფლიო ბანკებთან ანგარიშვალდებული არ არის, აფხაზურ საგადასახადო სისტემას არავინ სცნობს. ამიტომ, რუსი მაღალჩინოსნები, ფსბ-ს წარმომადგენლები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალიტეტი, თანხას აფხაზურ ბანკებში ინახავენ. საუბარია, დაახლოებით 25 მილიარდზე. რაც მთავარია, ეს თანხა არც ერთ მსოფლიო საბანკო სისტემაში არ ჩანს როგორც „შავი ფული“. მეტიც, ოფშორულ ზონებში არსებული თანხებიც აფხაზურ ბანკებშია. ასევე, აფხაზეთში გადის ნარკოტრაფიკის გზა, რომელსაც რუსი სპეცსამსახურები აკონტროლებენ.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალური გზით ფინანსების შემოდინების წინააღმდეგი იყო ანქვაბი, რომელმაც კრიმინალებს ღია ბრძოლა გამოუცხადა. ცნობილია, რომ ანქვაბი კრიმინალურ ბიზნესში არ მონაწილეობდა. რასაც ვერ ვიტყვით ხაჯიმბაზე. თავის დროზე სწორედ ხაჯიმბა აკონტროლებდა ნარკოტრაფიკს. დე ფაქტო ხელისუფლებაში ის კრემლმა მოიყვანა, შესაბამისად, რუსეთისთვის, ამ მხრივ, აფხაზეთში დღეს იდეალური მდგომარეობაა.

და კიდევ, ბიზნესინტერესის სფეროს დაემატა კოდორის ხეობაც. ცნობილია, რომ ანქვაბმა, თავის დროზე, კოდორიდან ხე-ტყის მასალის გატანა აკრძალა და ხეობას ეკოლოგიური პარკის სტატუსი მიანიჭა. თუმცა, ვითარება შეიცვალა და ახლა, კოდორის ხეობაზე გავლენის მოსაპოვებლად ნამდვილი ომია გაჩაღებული. კოდორში წაბლის და მუხის ხეების უნიკალური ჯიშებია. საუბარია რამდენიმე მილიარდზე. კოდორის ხეობით ბევრი ევეყანაა დაინტერესებული. მათ შორის, ტაილანდი, ინდოეთი, თურქეთი. დიდი ალბათობით, რაულ ხაჯიმბა აქაც შეეცდება აბსოლუტური კონტროლის დამყარებას.

რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტების ოჯახების ადგილსამყოფელს და შემოსავლის წყაროს, დავიწყოთ ანქვაბით, გადადგომის შემდეგ მას აფხაზეთი არ დაუტოვებია. ის ამჟამად გუდაუთაში ცხოვრობს. ცნობილია, რომ აფხაზეთში ჩამოსვლამდე ის მოსკოვში ცხოვრობდა და სამშენებლო ბიზნესს ფლობდა.

რაც შეეხება ბაღაფშის ოჯახს. მართალია, ბაღაფშის უეცარი გარდაცვალება იმთავითვე საორჭოფო გახდა და ბევრი დღესაც დარწმუნებულია, რომ რუსებმა ბაღაფში მოკლეს, ამის მიუხედავად, მისი ოჯახი დღესაც მოსკოვში ცხოვრობს. ამბობენ, რომ ისინი ხშირად სტუმრობენ აფხაზეთს. რაც შეეხება ვლადისლავ არძინბას, მას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მადინა, რომლის ბიზნესსაქმიანობა ასევე რუსეთს უკავშირდება. მადინა არძინბა ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის შეფია. მჭიდრო კავშირი აქვს აფხაზეთთან, რამდენადაც მის კომპანიას ტურისტები აფხაზეთშიც ჩაჰყავს. ხშირად სტუმრობს გუდაუთას. თუმცა, მეტწილად მაინც მოსკოვშია. ასევე, ფლობს სასტუმროების ბიზნესსაც.

როგორც ვხედავთ, ყოფილი პრეზიდენტების ოჯახები საცხოვრებლად მაინც რუსეთს ირჩევენ.

როგორი იყო თავის დროზე აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტების დამოკიდებულება ეთნიკურად ქართველების მიმართ და რა შესაძლო უსიამოვნებები ელოდება გალის ქართველობას ხაჯიმბას მხრიდან, ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ გია გვაზავა ესაუბრა.

„ვლადისლავ არძინბა ქართველების მოძულე იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მან თავიდან ბოლომდე შეასრულა ის დავალება, რაც ჰქონდა. მან შეძლო ომის პროვოცირება და დაწყებაც. ომის დამთავრების შემდგომ, 5 000-ზე მეტი ადამიანი დახვრიტეს, სხვადასხვა ეთნიკური ნიშნით, მათ შორის მოხუცები, ქალები, ბავშვები. რა თქმა უნდა, ლომის წილი ქართველებია. ასევე, გალის რაიონში, რომელიც ბრძოლებში აქტიურად არ იყო ჩართული, 2000-ზე მეტი ადამიანი დახვრიტეს. რაც შეეხებათ ბაღაფშს და ანქვაბს, ისინი სოხუმელები არიან, მათ უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველებთან. ბაღაფში ქართულ გარემოში იზრდებოდა. ასევე, ანქვაბიც, თბილისში მუშაობდა, გარკვეული ურთიერთობები ყველა დონეზე ჰქონდა. ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს ქართველების მტრები იყვნენ, მაგრამ როგორც კი მცირე დაძაბულობა დაიწყო, თავისი ადგილი არძინბას ნავში მონახეს. თუმცა, სისასტიკით მაინც არ გამოირჩეოდნენ. ანქვაბს, გარკვეულწილად, მადლობასაც ვეუბნები იმის გამო, რომ ომის დროს მასთან

პირადი ურთიერთობა მქონდა და არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაგვირჩენია. სიკეთეს აკეთებდა. ბაღაფში და ანქვაბი იყვნენ აფხაზი პატრიოტები და არა ნაციონალისტები. მათ ასე ესმოდათ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. ქართველების მიმართ უფრო ადამიანურობით გამოირჩეოდნენ. ამიტომაც, ქართველებმა არჩევნებში მხარი დაუჭირეს. რაც შეეხება ხაჯიმბას, ის უკიდურესი ნაციონალისტია. სხვა საკითხია კრემლი რის უფლებას მისცემს. არამგონია, რომ გალის ქართველ მოსახლეობას დაერიოს და ითარეშოს. ეს არავის აწყობს. პირველ რიგში კრემლს. ისინი შეეცდებიან მაქსიმალურად შეზღუდონ ქართული მოსახლეობა. თქვენ იცით, რომ გალი ყოველთვის აფხაზეთის ბეღელი იყო. საქართველოშიც გამოირჩეოდა მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლით. მეორეც, საერთაშორისო რეზონანსი უარყოფითი იქნება. რაც შეეხება პრეზიდენტების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რა თქმა უნდა, მათი ფინანსური შემოსავალი პერიოდულად იზრდებოდა. აფხაზეთში სხვადასხვა კლანების გავლენა ყოველთვის იყო. რუსეთიდან შემოსული ფულის გაყოფაზე, წილების თაობაზე დაპირისპირება ყოველთვის იყო. ანქვაბი შედარებით გამოირჩეოდა, მობილიზებული, ორგანიზებული და მკაცრი იყო. მასაც ჰქონდა ბიზნესები, თუმცა, ზუსტად არ ვიცი“. - ამბობს გვაზავა.

როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთში, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადიგენში მომხდარი საზარელი მკვლელობის დეტალები



„ეს იყო გამიზნული მკვლელობა. ბიჭები ეხვეწებოდნენ, არ გვესროლოო. მან კი მაინც ესროლა. თან ღამე იყო. იქ რთული გეოგრაფიული ადგილმდებარეობაა. ქვემოთ მდინარეა, ფერდობია, გაქცევა ვერ მოახერხეს. აფხაზეთის ომში ნაომარი ვარ დ ასეთი დასახიჩრებულები იქაც არ მინახავს“

EXCLUSIVE

ვაჟა ნარიმანიშვილი

ხათუნა მგალობლიშვილი

მარიამობის დღესასწაულზე ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანში საზარელი მკვლელობა მოხდა. მოკლულია სამი ახალგაზრდა მამაკაცი, ხოლო ერთი მძიმედ არის დაჭრილი. მკვლელობაში ეჭვმიტანილი მათივე თანასოფლელი, ადიგენის საჯარო რეესტრის უფროსი დავით კუბლაშვილია. შსს-ს ინფორმაციით, კუბლაშვილმა კუთვნილი სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თანასოფლელებს.

სამართალდამცველებმა კუბლაშვილი იმავე ღამეს დააკავეს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის 109-ე მუხლით - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, რაც ოც წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

მოკლულები არიან 27 წლის ვაჟა ნარიმანიშვილი, 25 წლის ბორის სირბილაძე, 20 წლის გიორგი სირბილაძე. ისინი ადგილზევე გარდაიცვალნენ, ხოლო 22 წლის ბექა სირბილაძე (ერთ-ერთი მოკლულის ძმა) ამ დრომდე ახალციხის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

დავით კუბლაშვილი

მკვლელობა დაახლოებით ღამის 11 საათზე მოხდა. ნასვამები იყვნენ როგორც გარდაცვლილები, ასევე დაკავებული დავით კუბლაშვილი.

გარდაცვლილები და დაკავებული თანასოფლელები არიან. მოკლული ბიჭები კუბლაშვილის ვაჟთან მეგობრობდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, მარიამობის დღესასწაულზე ბიჭები კუბლაშვილის ოჯახში იმყოფებოდნენ, სადაც დალიეს, შემდეგ კი კუბლაშვილის ვაჟთან ერთად დაბაში წავიდნენ, სადაც ლუდი დალიეს. ნასვამებს კუბლაშვილის ვაჟთან ჩხუბი მოუვიდათ, მან მამას დაურეკა და საშველად უხმო. თანასოფლელების განცხადებით, დავით კუბლაშვილიც ნასვამიც ყოფილა. სახლიდან სანადირო თოფი წამოიღო და ადგილზე მისულმა ბიჭებს ესროლა. სამივე ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა. მეოთხე კი შემთხვევით გადარჩა, ადგილზე პოლიციელმა გაიარა, რომელმაც მაშინვე პოლიცია გამოიძახა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო გარდაცვლილები პროზექტურაში გადაასვენეს. რაც შეეხება დააკავებულს, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა.

მეორე ვერსიით კი, მოკლულ ბიჭებს წინა დღით კუბლაშვილის ბიჭებთან კამათი მოუვიდათ, მეორე დღეს საქმის გასარჩევად მიაკითხეს და შინიდან გამოიყვანეს. ჩხუბის დროს კი შვილმა მამას უხმო საშველად.

შსს-ს ინფორმაციით არც დაკავებული და არც მოკლულები წარსულში ნასამართლევები არ არიან.

მომხდარის შემდეგ, კუბლაშვილის ოჯახმა სოფელი დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, სოფელი მამა-შვილის დასჯას ლინჩის წესით ითხოვს.

მომხდართან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ მოკლულების ოჯახებს ესაუბრა.

როგორც „პრაიმტაიმს“ ერთ-ერთი მოკლულის, ვაჟა ნარიმანიშვილის მამამ თამაზ ნარიმანიშვილმა განუცხადა, გარდაცვლილები და დავით კუბლაშვილის ვაჟი თანასოფლელები არიან და ერთმანეთთან მეგობრობდნენ. მათ შორის მანამდე კონფლიქტი არ ყოფილა. რის გამო მოუვიდათ ახალგაზრდებს ჩხუბი, მამისთვის უცნობია.

მოკლული ვაჟა ნარიმანიშვილის ბიძაშვილის განცხადებით, გარდაცვლილებს და კუბლაშვილის ვაჟს წინა დღით კამათი მოუვიდათ.

„წინა დღეს უკამათიათ, მეორე დღეს მარიამობა იყო, ნასვამები იყვნენ და ჩხუბი მოუვიდათ. ამ ბიჭმა მამამისს დაურეკა, რომელიც მაშინვე მოვიდა და ბიჭებს იარაღიდან ესროლა. ჯერ გასარკვევია ეს კაცი იმ თანამდებობაზე ვინ დანიშნა, ან ეს იარაღი საიდან ჰქონდა. მეტი ჩვენ არაფერი ვიცით, სანამ დაჭრილი არ გამოჯანმრთელდება და პოლიცია არ დაკითხავს, სიმართლეს ვერ გავიგებთ“.- გვითხრა გარდაცვლილის ბიძაშვილმა.

„ეს იყო გამიზნული მკვლელობა. ბიჭები ეხვეწებოდნენ, არ გვესროლოო. მან კი მაინც ესროლა. თან ღამე იყო. იქ რთული გეოგრაფიული ადგილმდებარეობაა. ქვემოთ მდინარეა, ფერდობია, გაქცევა ვერ მოახერხეს. აფხაზეთის ომში ნაომარი ვარ დ ასეთი დასახიჩრებულები იქაც არ მინახავს. მას მეოთხე ახალგაზრდის მოკვლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ის შემთხვევით გადარჩა. ამ დროს პოლიციელმა გამოიარა, რომელმაც პოლიცია გამოიძახა. არავინ არ ვიცით რის გამო მოუვიდათ შეკამათება. იმ დროს იქ მხოლოდ ეს ბიჭები და მამა-შვილი იმყოფებოდნენ“. - აღნიშნა „პრაიმტაიმთან“ საუბარში სირბილაძეების ბიძამ რეზო ანდღულაძემ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავებული დანაშაულს აღიარებს. მან ადვოკატზე უარი თქვა. ამიტომ, სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს.

„პრაიმტაიმი“ დავით კუბლაშვილის ადვოკატს ესაუბრა. მისი თქმით, ბიჭებს შორის კონფლიქტს ადრე ადგილი არ ჰქონია.

„ზუსტად რაზე მოუვიდათ შელაპარაკება, არ ვიცი. ნასვამები იყვნენ. უაზრო სიმთვრალის გამო შელაპარაკდნენ. გასროლა სანადირო თოფიდან მოხდა. დაკავებული დანაშაულს აღიარებს, მაგრამ მიზეზებზე არ საუბრობს. მომხდარს პოლიციის თანამშრომელი შეესწრო. მან პოლიცია გამოიძახა. კუბლაშვილის ოჯახმა სოფელი დატოვა. მათი ადგილსამყოფელი უცნობია. რამდენი ტყვიაა გასროლილი ამაზე პასუხს ექსპერტიზა გაგვცემს“, - აღნიშნა დაკავებულის ადვოკატმა.

სასამართლომ ადიგენის რაიონის საჯარო რეესტრის უფროსს დავით კუბლაშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე მაკა ზამ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბახიძესთან ერთად

ფოტო: თინა თუთისანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

მაია ასათიანი

მიშა ცინცაძე

დათუნა სულიკაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

სოფო ტოროშელიძე

paparazzi

paparazzi

ქეთი ლორთქიფანიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანი ტყეებუჩავა „ჩემი ცოლის დაქა

„ვცდილობ, ძალიან თავისუფლად გავზარდო. არც მე დავისტრესო და არც ბავშვი დავსტრესო“

my View
თამარ გონგაძე

„ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობების გარშემო, ზაფხულის მიუხედავად, მუდმივი ინტერესი იყო. ეს ინტერესი კი მსახიობების პირად ცხოვრებაში მომხდარი სიახლეების „ბრალია“. ლელა მებურიშვილი დედა გახდა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გმირი სერიალში აღარ ჩანდა, ლელას სიახლეები „ჩცდ“-ს მაყურებლისთვის მუდმივად საინტერესო გახდა. მოულოდნელად გათხოვდა და დედობისთვის ემზადება მაკა ძაგანია. არანაკლებ მოულოდნელი იყო სერიალის პროდიუსერების გადაწყვეტილება თინას გმირთან დაკავშირებით. „თინა, ამ ეტაპზე, გამოეთიშება სერიალს. მერე ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. სერიალის კონტრაქტი იანვრამდე გვაქვს. მერე გაგრძელდება თუ არა, არ ვიცი. საერთოდ, არ გვქონდა გათვალისწინებული ის ამბები, რაც მაკამ სიურპრიზად შემოგვთავაზა. თინას გმირთან დაკავშირებით სხვა გეგმები გვქონდა. საქმიან კონტექსტში, სამწუხაროდ, ისე კი საბედნიეროდ, მოხდა კარგი ამბავი. ეს მისი პირადი ცხოვრებაა და ჯანმრთელ დედობას და ყველაფერ პოზიტიურს ვუსურვებ“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ ირაკლი საღინაძემ. ჯერ ისევ უცნობი რჩება დაუბრუნდება თუ არა სერიალს კატო. ამ მხრივ იღბლიანი აღმოჩნდა ანი ტყებუჩავა, რომლის პირადი სერიალშიც გადმოვიდა, ანუ მასთან ერთად მისი გმირიც, ნინაც დაორსულეს. ანიმ დედობა პირველად სერიალში გამოსცადა. ნენესაც უკვე გამოცდილი ზრდის. ნენეს დაბადება პირველად ჩვენგან შეიტყო საზოგადოებამ. ახლა გოგონა უკვე ოთხი თვისაა. ზაფხულის ცხელი დღეები ბორჯომში გაატარა. ნენე ამასობაში გაქრისტიანდა კიდეც, მისი ნათლიები ნანუკა ხუსკივაძე და მაშიკო ბოჯგუა არიან. „არ ვარ ბევრი ნათლიის მომხრე. ვინც მინდა გავლენა მოახდინოს ნენეზე ეს ორი ადამიანია“, - ამბობს ანი.

გადაღებების დაწყებამდე მსახიობი ნენეს განკარგულებაშია. სერიალის მეექვსე სეზონის გადაღებები 5-დან 10 სექტემბრამდე დაიწყება, ეთერში კი ოქტომბრის პირველ შაბათ-კვირას გავა.

„ვენდობი ნენეს გემოვნებას“

ანი ტყებუჩავა: - ნენე უკვე კონტაქტზე გამოდის და სასიამოვნოა მასთან ურთიერთობა. რეაქციები აქვს სათამაშოებზე, ფერებზე, თვალებში გამოსჭვივის, რომ გიცნობს. გადაცემას ვუყურე და ავსტრიაში ოთხი თვის ბავშვებზე ჩაუტარებიათ ცდა, რომელმაც აჩვენა, რომ ამ ასაკში ძალიან ცოტა მეხსიერება აქვთ. ბურთს თუ წაართმევ და სხვა რამეს მისცემ, ის ბურთი ავიწყდება თურმე. მშობლებზეც ასე ყოფილან. ერთს რომ აკვირდება და მერე მეორე მოვა, პირველი ავიწყდება და ჩვენ ვხუმრობდით - პატარა ჩიპი აქვს და ყოველ ჯერზე თავიდან ეგუება დედას და მამას-მეთქი. კონტაქტური ბავშვია. არც ვიცი ამ ასაკში სხვანაირი როგორი უნდა იყოს. გიყურებს, გაკვირდება. ვცდილობ, ძალიან თავისუფლად გავზარდო. არც მე დავისტრესო და არც ბავშვი დავსტრესო. მივყვები მის სურვილს, იმას, რაც შესაძლებელია. რაც არ მოსწონს, არ ვაძალებ. ვაშლის წვენი არ მოეწონა, დაიჭყანა, სასაცილო გრიმასა მიიღო. მივხვდი, რომ არ უნდა მივცე. აღმოჩნდა, რომ ვაშლის წვენი კბილებისთვის მავნებელია. ნადებს აჩენს ღრძილებზე, ჯობია, რომ ცოცხლად აჭამო. ამიტომ ვენდობი ნენეს გემოვნებას. ჰუმანას გემო მოსწონს. ინფორმაციას „იუთუბიზეც“ ვეცნობი. ზოგი პედიატრი ერთს გეუბნება, ზოგი - მეორეს. ასე რომ, შენით და ბავშვის „კარნახით“ უნდა იმოქმედო. რა ინფორმაციაც გაქვს, შენ შვილს უნდა მოარგო.

მიხარია, რომ ზაფხულის შვებულება იღბლიანად დაემთხვა და ნენესთან ვატარებ მთელ დროს. მის კვების რეჟიმში სიახლეა, რაღაცები დაემატა. მაქვს თავისუფალი დრო და ნენეს ვზრდი, თან ფაფებისა და სუპების მომზადებას ვსწავლობ. ერთი ღამით ჭამა გამოვუტოვე :) 12 საათზე უნდა ეჭამა და გამომრჩა. გამიკვირდა, საქმეები როგორ მოვასწარი და საიდან მქონდა დიდი თავისუფალი დრო. აღმოჩნდა, რომ ჭამა გამოვუტოვე :)

- შეიცვალეთ?

- არა. ახალი ეტაპი რომ დგება, გგონია, რომ ამ ახალ ეტაპს ვერასდროს გადალახავ. მერე ამ ეტაპსაც ეჩვევი. მეგონა, რომ მეუღლესთან ერთად ველარ დავსვენებდი, მაგრამ ეგრეც არ არის. წელს, ჩვენი და ნენეს ინტერესები ბორჯომში გადაიკვეთა. კმაყოფილი ვარ. საერთოდ, კარგად ვისვენებ და ენერგიით ვივსები ჩემს სოფელში, სამეგრელოში. იქ ყოფნა არ მბეზრდება. სრულად აღვიდგენ ხოლმე ენერგიას. თუმცა ზღვა მიყვარს და წელსაც მქონდა რაღაცები დაგეგმილი, ის, რაც მხოლოდ მე და ლევანს გვიხარია. ვნახოთ. ნენე ორი-სამი დღით დარჩება მოხალისეებთან, თავს მიხედავს, დიდი გოგოა. ბებიების გოგოა. ძიძა ჯერ არ მჭირდება. როგორც კი დამჭირდება, ზომებს აუცილებლად მივიღებ. რთულია ძიძის არჩევა, მაგრამ აპრობირებული მეთოდია და ყველას ჰყავს, ჯერჯერობით ორი კანდიდატურა მყავს. დედამთილი თავისუფალია და გაზრდაში მეხმარება. ნუ გერიდება, ეს მხოლოდ შენი შვილი არ არის, ჩემი შვილ-

„მაქვს თავისუფალი დრო და ნენეს ვზრდი, თან ფაფებისა და სუპების მომზადებას ვსწავლობ. მიხარია, რომ ზაფხულის შვებულება იღბლიანად დაემთხვა და ნენესთან ვატარებ მთელ დროს“

„როცა სერიალი ქალებზეა, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა კატოსნაირი და თინასნაირი ფეხმძიმე ქალის ნახვა. ბოლო სერიაში თინა ბუდაპეშტში მიდიოდა, მაგრამ, რეალურად, როგორ გაგრძელდება, ჯერ არ ვიცით. მაინტერესებს, კატოსაც ველოდები. ეს იმათი საქმეა, ვინც თავიდან გადაწყვიტა ჩვენი სერიალში აყვანა. იმედია, ისე გადაწყდება, რომ მაყურებელს არ დასწყდეს გული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლებს“ ძველ ფორმაში უბრუნდება

„ჯერჯერობით დასაკლები კიდევ ბევრია:) ახლა, დაახლოებით იმ წონაზე ვარ, რა წონაზეც დავფეხმძიმდი. თუმცა მაშინაც დიეტაზე ვიყავი“

ლევან ბარამიძე: „ანის დიეტა აღარ სჭირდება, ვეუბნები, რომ დაანებოს თავი და როცა ვარჯიში შეეძლება, ივარჯიშოს. გემრიელად რომ შეჭამს, კარგ ხასიათზეც იქნება და კალორიების თვლაც არ დასჭირდება“

EXCLUSIVE

იშვილიაო, მეუბნება.

- სერიალში გიორგი კალანდარიშვილია თქვენი შვილების ძიძა.

- ზუსტად ვიცი, შვილი რომ მივუყვანო, კალანდარიშვილი მშვენივრად მიხედავს. სერიალში თაზოს გმირი რომ შემოვიდა, „ჩემი შვილები“ თაზოს მივანდე. წავკისში გადაღების დროს თაზო მართლა ძიძა იყო და დავისვენე. კარგი იყო.

„არ უნდა გეზარებოდეს მასზე ზრუნვა“

ლევან ბარამიძე (ანის მეუღლე): - ანი მზრუნველი დედაა. კარგად ათავსებს სამსახურს, შვილის გაზრდას. ეს მარტივი არ არის. კარგია, რომ დაისვენა, თუმცა უფრო ნენემ დაისვენა. ორი კვირა ვიყავით ბორჯომში. დასასვენებლად ამდენი ხანი ერთ ადგილას დიდი ხანია არ ვყოფილვართ. ნენეს მადა მოემატა და ორი დღე ვერ გავუგეთ რატომ ტიროდა. მერე მივხვდით, მოვუმატეთ საკვები და დამშვიდდა.

- რას ცვლის ბავშვი?

- ბევრ ყურადღებას ითხოვს. ეგ არის მთავარი ცვლილება. პირველ რიგში მასზე უნდა იზრუნო და არ უნდა გეზარებოდეს მასზე ზრუნვა. რომ დაამშვიდებ და შენ ადგილს დაუბრუნდები, შეიძლება უცებ ისევ საჭირო გახდე და ამის ნერვები უნდა გეყოს. ეს რთულია. ბოლო დროს მე და ნენე ერთდროულად ვიღვიძებთ და გრილ წყალში ვაბანავებ. ადვილია. ანის დილაობით სძინავს, ღამენათევს და ქალიშვილზე მე ვზრუნავ.

- როგორი ყოფილა მამობა?

- ბავშვობის დასაწყისი - ჩვილობა არ მქონდა წარმოდგენილი. ახლა ვაკვირდები ნენეს. რომ იზრდება, თანდათან მისადმი სითბოს და სიყვარულს უფრო გრძნობ.

ანი: - საერთოდ, ბავშვზე ადვილად გადადის დედის განწყობა და ემოცია. მე რომ ვფორიაქობ, ნენეც აფორიაქებულია. თვითდაჯერებული რომ არ ხარ, ისიც გრძნობს. სამშობიაროში რომ შევხედე, როგორ აიყვანეს და ონკანის ქვეშ როგორ „გარეცხეს“, მას შემდეგ, პირველი დღიდან მე და ჩემი მეუღლე ვაბანავებთ. ლევანს რამდენადაც შეუძლია ცდილობს ნენესთან იყოს. ამბობს, არც ისეთი ადვილი ყოფილა ბავშვის მოვლა როგორც ჩანდაო. მეც ასეთი აზრის ვარ.

„ანის დიეტა აღარ სჭირდება“

- ანი, მშობიარობის შემდეგ წონაში დაიკელით...

- ჯერჯერობით დასაკლები კიდევ ბევრია:) ახლა დაახლოებით იმ წონაზე ვარ, რა წონაზეც დავფეხმძიმდი. თუმცა მაშინაც დიეტაზე ვიყავი. ყველა ქალი, ყველა ასაკში, ხომ წონას ებრძვის?! ბევრი ტკბილეულით და ნახშირწყლებით არ ვიკვებები, ვჭამ ბოსტნეულს და მოხარშული სახის კერძებს. ზაფხულში დიეტებით ტვინი წავიღეთ და ეკა ამირეჯიბი დაგვცინოდა - „ნახშირწყლები“ მოვიდნენო. ყველაზე შედეგიანი ჯანმრთელი კვებაა.

ლევანი: - ანის დიეტა აღარ სჭირდება, ვეუბნები, რომ დაანებოს თავი და როცა ვარჯიში შეეძლება, ივარჯიშოს. გემრიელად რომ შეჭამს, კარგ ხასიათზეც იქნება და კალორიების თვლაც არ დასჭირდება.

სერიალის შემდეგ

- ანი, გადასაღებ მოედანს მალე უბრუნდები. მოგენატრა?

- დიახ, მენატრება გადასაღები მოედანი. მიხარია, რომ მალე ვიწყებთ. რაც არ უნდა დამღლელი იყოს, შენ საქმეს რომ აკეთებ, ძალიან კარგია. ძალიან დიდი შემართებით ვარ. შარშან ახალი სეზონის გადაღებაზე რომ მივედი, უკვე ფეხმძიმედ ვიყავი და ფრთხილად და თითქოს ბუნდოვნად შევუდექი საქმეს. ახლა ნენე რომ წამოიჩიტა, მთლად თოთო აღარ არის და მეც ყველაფერი დავამულამე, დიდი შემართება მაქვს. მეტნაკლებად ძველი პარამეტრებით და „დაბდეითებული“ მივდივარ მეექვსე სეზონის გადაღებებზე. მეუბნებოდნენ, ბევრი არ მოგიმატიაო, მაგრამ გამეორებულ სერიებს რომ ვუყურებ, ვგიჟდები. 14 კილო მქონდა მომატებული.

- რა ხდება მეექვსე სეზონში?

- წარმოდგენა არ მაქვს რა ხდება ახალ სეზონში. შეკრებაზე რომ დაგვირეკავენ, მივალთ და გაგვაცნობენ სიახლეებს, რა თავგადასავლებია და ვინ როგორ იტვირთება. შარშან ორსულად რომ მივედი, მითხრეს, შენ ნუ ნერვიულობ, ამ სეზონზე სამზარეულოში ჭორაობით შემოიფარგლებიო. იმ დროს სახლში უფრო გამიჭირდებოდა ყოფნა. როცა ფეხმძიმედ ხარ და მუშაობ, დრო მალე გადის. გამიმართლა და ჩემი გმირიც დაორსულეს ჩემთან ერთად.

- მაკა ძაგანიას არ გაუმართლა.

- არ ვიცი, მაკასთან დაკავშირებით რა არის გადაწყვეტილი. ბოლო სერიაში თინა ბუდაპეშტში მიდიოდა, მაგრამ, რეალურად, როგორ გაგრძელდება, ჯერ არ ვიცით. მაინტერესებს, კატოსაც ველოდები. ეს იმათი საქმეა, ვინც თავიდან გადაწყვიტა ჩვენი სერიალში აყვანა. იმედია, ისე გადაწყდება, რომ მაყურებელს არ დასწყდეს გული. როცა სერიალი ქალებზეა, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა კატოსნაირი და თინასნაირი ფეხმძიმე ქალის ნახვა. კატოს ფეხმძიმობა ძალიან სასაცილო იქნებოდა.

- სერიალის დასრულების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?

- ამაზე ვფიქრობ. იმედი მაქვს, რაღაც მაქვს გაკეთებული და ჩემთან მუშაობა არ შეეშინდებათ. რადიოდან საინტერესო შემოთავაზება მაქვს. ვფიქრობ, დავთანხმდე თუ არა. სულ მაინტერესებდა რადიოში მუშაობა. სრული თავისუფლება მეძლევა. შემოთავაზება ისეთი უნდა მქონდეს, რომ ბავშვის მიტოვებად მიღირდეს. მოკლედ, ჯერ ამაზე ვფიქრობ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ხურავს გოგა პიპინაშვილი „Art Hall“-ს?

„56 წლის რომ ხდები, აწონ-დაწონა გიწევს, კიდევ შეგიძლია რაიმეს გაკეთება, თუ ისევ ახალ თაობაზე ზრუნვა უნდა განაგრძო?!“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

გოგა პიპინაშვილი მარიამობას 56 წლის გახდა. ძეგვში აგარაკზე აღნიშნა დაბადების დღე. „28 აგვისტო მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ მარიამობაა, ამ დღის მფარველობას სულ ვგრძნობ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მინდა ამ დღის ღირსი ვიყო. ერთი შანსი ღმერთმა მომცა - 28 აგვისტოს გავჩნდი, დანარჩენი ჩემზეა, სწორად უნდა ვცხოვრობდე, სხვანაირად არ შემიძლია. ადრე ვხატავდი, ჭედურობაში ვცდიდი თავს, მაგრამ ღვთისმშობელის ხატი ვერასდროს გამოვჭედე. მივხვდი, რომ ჩემი საქმე არ იყო. შეურაცხყოფის მსგავსი რამ რომ არ გამომსვლოდა, შევეშვი. მას შემდეგ ხელი არ მომიკიდია“, - ამბობს მსახიობი. მიიჩნევს, რომ მისმა ასაკმა მნიშვნელოვანი საქმის კეთების დრო დააყენა. ხელოვნების საყმაწვილო ცენტრ „არტ ჰოლში“ 1996 წლიდან მოყოლებული 7 ათასი ბავშვი აღზარდა. რამდენიმე დღის წინ კი „ფეისბუქზე“ დაწერა - „გამოვაცხადებთ ახალი მოზარდების მიღებას ჩვენს სტუდიაში - ხელოვნების საყმაწვილო ცენტრ „Art Hall“-ში. ეს იქნება, ალბათ, ბოლო ნაკადი“. სტუდიისთვის მსახიობს არასდროს ჰქონია მუდმივი შენობა. პერიოდული ახალმოსახლეობითა და რემონტით დაიღალა, ამ გადაწყვეტილების მიზეზიც ეს არის. ზაფხული დატვირთული ჰქონდა. ქუთაისსა და ბათუმში სტუდიის ბავშვებმა გასტროლით „ჰელადოსი“ითამაშეს. ახლა გოგა რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სერიოზულ პროექტზე მუშაობს. ყოველდღე იკრიბებიან, გეგმებს სახავენ. „პირველ პროექტს ჩემგან არავინ ელოდება, რომელსაც მაღალი რანგის პროფესიონალებთან ერთად ვაკეთებ. ეს კი, თავის მხრივ, მეორე პროექტისთვის სამზადისია. ტექნიკური საკითხები მომზადებული მაქვს“ - ბევრ დეტალს არ გვიმხელს მსახიობი“.

- ბატონო გოგა, რა ასაკია 56 წელი?

- ბევრი რამ ფასდება. უქმად დაკარგული დროის სინანულია, ჰარი ჰარალედ გატარებული დროის სინანული. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, თითქოს ჩვენთვის მილიონი წელია გამოყოფილი. ამიტომ ახლა ყველა დღე განსაკუთრებული თუ არა, მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის. ვცდილობ, სავსე იყოს ყველა დღე და გადაუდებელი საქმე გავაკეთო, რომ რაიმე დამრჩეს გაკეთებული. ხშირად არ გამომდის. დატვირთული დღეები მაქვს, ზაფხულიც დატვირთული იყო. გასტროლებით ვიყავით ქუთაისში და ბათუმში. 14 დადებითად დამუხტული დღე გავატარეთ კვარიათში. „ჰელადოსი“ აღვადგინე და დიდი მოწონება დაიმსახურა. ინანეს, რომ სასკოლო პერიოდში არ იყო ჩვენება.

- სტუდიაში ბოლო ნაკადის აყვანის გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

- სტუდია 1996 წლიდან მაქვს. ახლა მეშვიდე შენობას ვართ შეფარებული, რომელიც ასევე ჩემი გარემონტებულია. ამ 18 წლის მანძილზე რაღაცების ქირაობით დავიღალე, გარემონტებით და მერე საჩუქრად გადაცემით დავიღალე. ჩემი დრო არასდროს მოვიდა. არც ერთ მთავრობას, რომელთანაც ამ წლების მანძილზე შეხება მქონდა, არ მოუცლია ამ სტუდიისთვის. ყოფილ მერთან უსიამოვნო საუბარი მქონდა, რის შემდეგაც სერიოზული ნაბიჯი გადადგა დასახმარებლად... მაგრამ მაინც ასე დავრჩით. გადასვლა-გადმოსვლაში უამრავი ნივთი დავკარგეთ. გაურკვევლად წამოვედი თეატრალური უნივერსიტეტიდან, სადაც ერთი პერიოდი ვიყავით. აუდიტორიებად გადატიხრეს ის დარბაზი, სადაც სტუდია მქონდა. იძულებული გავხდი წამოვსულიყავი. ალტერნატიულ ფართს მთავაზობდნენ და ჯერჯერობით ისევ მოუგვარებელია ეს საკითხი. ილიაუნის ერთ-ერთ სასწავლო ცენტრად ვითვლები. თუ გადაწყვიტეს, რომ ასე არ არის, ოფიციალურად უნდა მომმართონ, რის გამო აღარ არის ასე. სასწავლო წელი რომ არ გამჩერებოდა, ერთი წელია აქ ვართ, კინომსახიობთა თეატრის ეზოში. შესაბამისი ფართის არქონის გამო მომიწია სასცენო მოძრაობისა და ცეკვის სწავლების შეჩერება. სტუდიაში სწავლის მსურველმა ბევრმა ბავშვმა დარეკა და ამიტომაც მივიღებ ბოლო ნაკადს სტუდიაში. აღარ მინდა ამ ხათაბალაში ყოფნა. ამ გადაადგილება-გადმოადგილებამ უამრავ პროექტზე მათქმევინა უარი. 24-საათიან რეჟიმს ითხოვს. პირადად ჩემს მაყურებელს უკვირს - რატომ არ ვარ სცენაზე? აი, ამიტომ არ ვარ. მომავალ თაობაზე ზრუნვას ვერ ვწყდები. თეატრალურ უნივერსიტეტში ერთი ჯგუფიც არ არის, რომ ჩვენი მონაფე არ იყოს. ეს ჩემთვის ცოტა რამეზე არ მეტყველებს. 56 წლის რომ ხდები, აწონ-დაწონა გიწევს, კიდევ შეგიძლია რაიმეს გაკეთება, თუ ისევ ახალ თაობაზე ზრუნვა უნდა განაგრძო.

- მოკლედ, გზაჯვარედინზე დგახართ.

- ერთგვარად გზაჯვარედინზე ვარ. მინდა ისიც გითხრათ, რომ ხარისხი, რომელიც დღეს ქართულ თეატრებში ბუდობს, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია და საშინელი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და შინაგანი პროტესტი მაქვს. ბევრ რეჟისორთან უთანხმოება მომივიდა, ბევრი რეჟისორიც არ მაკავებს სპექტაკლში და ძალიან კარგია, რომ ასეა. ხშირ შემთხვევაში, არც ერთ კითხვაზე არ აქვთ პასუხი. თავიანთ პროფესიას ძალიან ზედაპირულად უყურებენ და არ მსიამოვნებს. მსახიობებში უნიჭიერესი თაობები მოდის, მაგრამ გურუ არ არსებობს, რომ ისინი მაღალი რანგის კვალზე დააყენოს. არიან ისეთ სიბრტყეზე, რომელში მონაწილეობაც საერთოდ არ მინდა. ამიტომ ალტერნატიული გზა მოვიფიქრე, რითიც შემიძლია პროფესიული ინტერესი დავიკმაყოფილო და თავი დავიკავო. რეჟისორის და მსახიობის ამპლუაში ვიქნები. როცა საამისოდ ფულს ვიშოვი, მერე გეტყვით - რა პროექტია. ცოტა რამეს გაგიმხელთ. სკოლა რომ დავამთავრე, თეატრალურ უნივერსიტეტში ანიმაციის სარეჟისორო ფაკულტეტი იხსნებოდა. ხატვით ვიყავი გატაცებული და ამ ფაკულტეტზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მსახიობმა მამამ წინააღმდეგობა გამიწია, რეჟისურა ცხოვრებისეული გამოცდილებაა, ჯერ სამსახიობო დაამთავრე და მერე იფიქრე სარეჟისოროზეო. ახლა იმ პირვანდელი სურვილის მოძალება მაქვს. სირთულის არ მეშინია. უაღრესად სერიზული პროფესიონალები მიდგანან გვერდით. ამ თემაზე ძალიან ვნერვიულობ, რადგან დიდი ფული სჭირდება, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირს. ნაკლებად ვიცნობ ფულიან ადამიანებს, ისეთებს, ვისაც ასეთი საქმისთვის ემეტება ფული. ქვეყანა რომ დაიქცეს, სულ რომ სახლ-კარი გავყიდო, მაინც გავაკეთებ. შინაგანი ინტუიცია მკარნახობს, ზომაზე მეტად საინტერესოა ის, რის გაკეთებასაც ვგეგმავ. ვიცი, ასჯერ მეტს მოიტანს - არა მატერიალური თვალსაზრისით, არამედ სათქმელის მხრივ. სერიოზული პოზიცია იქნება. ქვეყნის გადასახედიდან გაცილებით მნიშვნელოვანი სათქმელია, ვიდრე მხოლოდ ჩემი. ასე მეჩვენება. სამწუხაროდ, შემოქმედებისთვის არავის სცხელა, ერთმანეთის დაჭმაზე არიან გადასული. აღარ დადგა ამ ქვეყანაში იმ თაობის დრო, ვისაც პატარა სურვილები გვაქვს. ეს საქმე არ არის ჩემთვის სამსახური. თუმცა გარკვეულმა რეჟისორებმა და მსახიობებმა გადააქციეს ჩვეულებრივ სამსახურად.



„ალტერნატიული გზა მოვიფიქრე, რითიც შემიძლია პროფესიული ინტერესი დავიკმაყოფილო და თავი დავიკავო. ქვეყანა რომ დაიქცეს, სულ რომ სახლ-კარი გავყიდო, მაინც გავაკეთებ. ამ თემაზე ძალიან ვნერვიულობ, რადგან დიდი ფული სჭირდება, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირს“

- ბევრი ბავშვი აღზარდეთ, როგორი თაობა მოდის?

- ახალი თაობა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ადამიანური ელემენტი არც ერთ მათგანში არ დევს. მათში კატასტროფულად არის ასახული განათლების სისტემაში გატარებული ათწლიანი რეფორმის შედეგი. ამ კატასტროფაზე ხმამაღლა უნდა ხაოდნენ, თაობებს ღუპავენ. იმ ღირებულებებს, რაზეც თაობები გავიზარდეთ, ესენი ვერ ხვდებიან, არ იციან, ვერც აცნობიერებენ. ვერ ხვდებიან, რა საჭიროა ქალის პატივისცემა. ეს მათთვის ზოგადი ცნებაა. წარმოდგენა არ აქვთ, რას ნიშნავს მამაკაცური მიტევება, ან თუნდაც კაცური ჩხუბი. არა, აუცილებლად ერთი კაცი 30-მა უნდა დაჭრას. სულიერ თემებს რომ ეხები, ხედავ, რომ კატასტროფული მდგომარეობაა. არ ღირს მათთან ჭიდაობა და გარკვეულ დოგმებში ჩასმა. თუმანიშვილის თეატრის სცენაზე ავიყვანე ეს ბავშვები და ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ვხედავ ერთი გოგონა ტელეფონზე მესიჯობს. შოკში ჩავვარდი, რას აკეთებ-მეთქი? ერთი წუთიო, მითხრა და განაგრძო მესიჯის წერა. ხედავთ, როგორია მისი დამოკიდებულება საქმის მიმართ? რა აზრი აქვს მის სცენაზე ყოფნას? 7 ათასმა ბავშვმა გაიარა ჩემს ხელში. ასეთი დამოკიდებულებით დავიღალე, ვეღარ შევეწირები მათ აღზრდას. ამიტომაც ვფიქრობ უკვე სხვა პროექტებზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი ცოლის დაქალების“ მეექვსე სეზონი კატოსა და თინას გარეშე

ლელა მებურიშვილი: „ამერიკაში რომ მივფრინავდი, შევთანხმდით, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე უნდა ჩამოვსულიყავი. ორი კვირაა ჩამოვედი და ჯერ არ მისაუბრია პროდიუსერებთან“

მაკა ძაგანია: „როდესაც შენ პირად ცხოვრებას ვიღაც გიკონტროლებს, შესაბამისი კონტრაქტიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს საქართველოში არასდროს მოხდება“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

„ჩემი ცოლის დაქალების“ მეექვსე სეზონის გადაღებები ერთ კვირაში იწყება. სერიალს მაყურებელი ოქტომბრის პირველ შაბათ-კვირას იხილავს. როგორც პროდიუსერები ამბობენ, ისევე როგორც ყველა ახალ სეზონზე, ამ სეზონზეც ახალი ხაზი განვითარდება, შემოვლენ ახალი პერსონაჟები. რაც შეეხება ორ მთავარ გმირს - კატოსა და თინას, ირაკლი საღინაძის თქმით, ისინი სერიალში აღარ ითამაშებენ.

ირაკლი საღინაძე: - ჯერ ბოლომდე არ გვაქვს რაღაცები გადაწყვეტილი, ამიტომ არ მინდა ვიჩქარო და წინასწარ რაღაც ავანსად გავცე, რომელიც მერე შეიძლება ტყუილი გამოვიდეს. სექტემბრის შუაში უფრო გარკვეული ვიქნები. 10 სექტემბრისთვის დავიწყებთ ისეთი თემების გადაღებებს, რომელზეც ჩამოყალიბებული ვართ. არის შანსი, რომ კატოს პერსონაჟი არ დაბრუნდეს. სერიალში აღარც თინა იქნება. თუმცა ბოლომდე ეს თემა გადაწყვეტილი არ არის. სეზონის დრამატურგია დალაგებული ჯერ არ გვაქვს. ამ ეტაპზე ასე ვფიქრობ - შემდეგი სეზონი კატოს და თინას გარეშე და სიახლეების ხარჯზე გადავაგოროთ, რათა მაყურებელმა ინტერესი არ დაკარგოს. ძველი სახეების ცვეთა საკმაოდ მაღალია. ამიტომ მეტი სიახლე გვჭირდება.

- ცოტნე ცოტაშვილს ტოვებთ?

- ცოტნე იქნება. ის ერთი სეზონი იყო მხოლოდ და თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. ასეთი კარგი

მსახიობის ასე მალე ხელიდან გაშვება არამართებული იქნება. გიორგი ბახუტაშვილსაც და ცოტნე ცოტაშვილსაც დიდი რესურსი აქვს, რომ თანამშრომლობა გავაგრძელოთ.

- ბახუტაშვილზე ახალი სერიალის გადაღებას ფიქრობთ?

- ახალი წლიდან ვფიქრობთ მსგავს სიახლეზე.

ჯერჯერობით არც ახლადგათხოვილმა მაკა ძაგანიამ და არც ამერიკიდან დაბრუნებულმა ლელა მებურიშვილმა არ იციან მათი გმირების სერიალიდან გაუჩინარების შესახებ.

მაკა ძაგანია: - თქვენი გაზეთიდან გავიგე, რომ თინა არ იქნება სერიალში. როგორც ჩანს, თქვენ მეტი ინფორმაცია გაქვთ, ვიდრე მე. რახან ეგეთი რამ გითხრეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ასე იქნება. შეკრება არ გვქონია, არ გვისაუბრია. არ ვიცი, რა იგეგმება. მე მათ გადაწყვეტილებაში არ ვერევი, აზრსაც არავინ მეკითხება, თუ აწყობთ ეგრე, იქნება ეგრე.

- რატომ მოხდა ასე, როგორ ფიქრობთ, თქვენი პირადი ცხოვრების უეცარი სიახლის გამო (ფეხმძიმობის) ნაწყენი ხომ არ არიან?

- ნაწყენი, რომ ჩემი ფეხმძიმობა არ შევუთანხმე? როდესაც შენ პირად ცხოვრებას ვიღაც გიკონტროლებს, შესაბამისი კონტრაქტიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს საქართველოში არასდროს მოხდება. მაგ ეტაპზე ასულები არ ვართ ჯერ. უნდა ითქვას - პროექტი სამ წელიწადს გაგრძელდება, იმის მერე რაც გინდათ ის ქენითო. მხოლოდ ამ სერიალზე არ ვსაუბრობ. სხვა არის, როდესაც კონკრეტულ ხელშეკრულებაზე აწერ ხელს და არ იცი - რამდენი სეზონი იქნება სერიალი, მსგავს კონტრაქტს ვერც გააკეთებ. აქ არც პროდიუსერის და არც მსახიობის ბრალი არ არის, ეს, უბრალოდ, საქართველოა, სადაც სტაბილური არაფერია. კაცმა არ იცის, შემდეგში რა მოხდება. შესაბამისად, ასეთ ვალდებულებებს თავის თავზე არავინ იღებს.

- თინას გმირზე გული გწყდებათ?

- გული დამწყდება, ჩემი შექმნილი გმირია და ძალიან მიყვარს. მაგრამ ტრაგედია არც ეს არის.

- თეატრს უბრუნდებით?

- თეატრის სეზონი ოქტომბრის დასაწყისში იხსნება, როდესაც მე უკვე რვა თვის ფეხმძიმე ვიქნები. ალბათ, ვერ მოვახერხებ თამაშს. გავაჩენ თუ არა, თეატრში დავბრუნდები.

ლელა მებურიშვილმა ალექსანდრე საგანელიძე ამერიკაში 4 ივლისს გააჩინა. მსახიობი ორი კვირაა რაც სამშობლოს დაუბრუნდა და სამსახურის მოლოდინშია.

ლელა მებურიშვილი: -ამერიკაში რომ მივფრინავდი, შევთანხმდით, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე უნდა ჩამოვსულიყავი. ორი კვირაა ჩამოვედი და ჯერ არ მისაუბრია პროდიუსერებთან. სავარაუდოდ, იგეგმება კატოს გმირის თაობაში. თუმცა ათასპროცენტიანად ვერ ვამბობ. დავრეკავ „რუსთავი 2“-ში, „ეკივოკსაც“ სხვა წამყვანი ჰყავს უკვე, სერიალზეც შემეხმიანებიან, ალბათ.

- დედობამ შეგცვალა?

- ის ემოცია, რაც შვილმა მომიტანა, არასდროს მქონია. ყველაზე სასიამოვნო და მძაფრი ემოციაა, როდესაც შვილს უყურებ. მგონია ახალი ადამიანი ვარ, თავიდან დავიბადე და ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, დავფრინავ და ალექსანდრე ხელში რომ მიჭირავს, ბედნიერებისგან თავბრუ მესხმის. ვინც ჭოჭმანობს, გააჩინოს თუ არა შვილი, ვეუბნები, რომ აუცილებლად გააჩინოს. ცხოვრება ამისთვის ღირს. მე და ბაჩო ამერიკაში თავიდან მარტოები ვიყავით, მაგრამ მაშინვე ავუღეთ ალღო ბავშვის გაზრდას. ვერ წარმომიდგენია სხვამ როგორ უნდა მოუაროს, მისი მოვლა ისე მსიამოვნებს. ალბათ, ძიძის აყვანა მომიწევს, თუმცა ჩემი ნება რომ იყოს, არ ავიყვანდი და ბოლომდე ვისიამოვნებდი ალექსანდრეს მოვლით.

„ამ ეტაპზე ასე ვფიქრობ - შემდეგი სეზონი კატოს და თინას გარეშე და სიახლეების ხარჯზე გადავაგოროთ, რათა მაყურებელმა ინტერესი არ დაკარგოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N34 (284) ორშაბათი, 1 სექტემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ანი ტყებუჩავა: „ვცდილობ, ძალიან თავისუფლად გავზარდო. არც მე დავისტრესო და არც ბავშვი დავსტრესო“

EXCLUSIVE

„ჩემი ცოლის დაქალების“ მეექვსე სეზონი კატოსა და თინას გარეშე

EXCLUSIVE

მაკა ძაგანია: „როდესაც შენ პირად ცხოვრებას ვიღაც გიკონტროლებს, შესაბამისი კონტრაქტიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს საქართველოში არასდროს მოხდება“

რატომ ხურავს გოგა პიპინაშვილი „Art Hall“-ს?

EXCLUSIVE



ISSN 1987-7404

9 771987 740005

„აღარ მინდა ამ ხათაბალაში ყოფნა. ამ გადაადგილება-გადმოადგილებამ უამრავ პროექტზე მათქმევინა უარი. პირადად ჩემს მაყურებელს უკვირს - რატომ არ ვარ სცენაზე? აი, ამიტომ არ ვარ. დავიღალე. ჩემი დრო არასდროს მოვიდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება